

ქვეყნის გზები



საქართველოს
მხარეთა
კავშირის
გაზეთი
№1 (285)

1 მარტი -
31 მარტი
2021

ფასი 1 ლარი

გამომცემი
თეიმურაზი



სურათში გამოცემული მაცვალა გონაშვილის ლექსების კრებული

- აი, გვესტუმრა მარტის თვე... გაზაფხულის შემობრძანება ყველას ახარებს. ჩვენს ქვეყანაში მარტი 3 და 8 ქალთა სადღესასწაულო დღეებია, თქვენთვის კი - 1 მარტიც - თქვენი დაბადების დღე. გილოცავთ. რას უსურვებდით ქალებს?

- სულიერ სიმშვიდეს უპირველესად და იმედიან განწყობას, რადგან ჩვენს აფორიაქებულ, უსიყვარულო, უამიანობის დროში ისე არაფერი სჭირდება სულს, როგორც სიმშვიდე და იმედი.

დღესასწაული მაშინაა დღესასწაული, თუ გედღესასწაულება, მაგრამ განა ბევრია დღეს საქართველოში ქალბატონი, ვისაც საზეიმოდ აქვს საქმე? კი, ჩვენს ტელეეკრანებს თუ ვუყურებთ, ვითომ ქვეყანაში მარტო ისაა პრობლემა, ვინ რამდენი ბოტოქსი და რა ფერის შილაკი გაიკეთა, რომელი ფირმის ჩანთებით და ფეხსაცმელებით აქვთ გამოტენილი კარადები, ვინ გათხოვდა მეოთხედ და რა მთავარი ბიზნესმენმა ქმარმა სიყვარულის დღეს? ეს შოუა, კი ბატონო! მაგრამ რეალურად?

კაი ხანია, ქვეყანაში აღარავინ დარდობს დემოგრაფიულ პრობლემებზე. მრავალშვილიან დედათა ყოველთვიური დახმარება კი არა, ერთჯერადი თანადგომაც სანატრელია. ამ ორი-სამი წლის წინ 17 მაისს, ოჯახის სინდისის დღეს, რუსთაველის თეატრში მრავალშვილიან დედათა ღონისძიება გაიმართა. ასე 20-25 უმშვენიერესი ქალბატონი, რომელთაგან ყველაზე ცოტა 7 შვილის დედა იყო, საუბრობდნენ საკუთარ შვილებზე, მათ წარმატებაზე, ცხოვრების გზაზე. ხელისუფლებიდან, წამლად, ერთი ადამიანიც კი არ ესწრებოდა ღონისძიებას, განა ძნელია, თუნდაც წელიწადში ერთ დღეს 20 გმირ დედას ფულადი ჯილდოთი და მადლიერების სიტყვით დაუდგე გვერდში? არა, რა თქმა უნდა, აქ მთავარი თანხა არაა, მთავარი გულგრილობაა, ანუ, როგორც იტყვიან, დღეს სულ სხვა რამ არის პრიორიტეტული. ამ უძვირფასეს ღონისძიებას ტელევიზიებიდან მხოლოდ საპატრიარქოს ტელევიზია ესწრებოდა. ან სად იყვნენ 30-იანი წლების კომკავშირელებივით შუბლშეკრული არასამთავრობოების ყოვლისმცოდნე გოგონები, სულ თითქმის რომ უქნევდნენ და წვრილანად უფროს თაობას?

- რას უსურვებთ ჩვენს ქალბატონებს?

- ხელოვან ქალბატონებს საკადრის დაფასებას და ყურადღებას.

უცხოეთში ლუკმა-პურისთვის გადაკარგულ დედებს საკუთარ შვილებთან ყოფნას

და მათი ყოველდღიური ყოფით დატკობას. მოხუც ქალბატონებს - ახალგაზრდებს სგან ზრუნვას და მშვიდ სიბერეს, ყოველწუთში შიშით რომ არ ფიქრობდნენ, როგორ ვიშოვოთ წამლის ფული.

ახალგაზრდებს - სიყვარულს...

ყველას - ღირსეულ ცხოვრებას!

და გაზაფხული მაინც მოვიდა...

ალბათ გახსოვთ, ბრეტის გენიალური პიესა „კავკასიური ცარცის წრე“. გრუშე, ზამთრისაგან ნანამები და დაღლილი მღერის: „და გაზაფხული მაინც მოვიდა“. ვუსურვებდი ჩვენ საყვარელ ქალბატონებს, გაზაფხული მაინც ენვიოთ.

- პანდემია... არჩევნები... მიტინგები...

როგორი იყო თქვენი თვალთხედვით ეს ერთი წელი?

- ნათქვამია, გაჭირვებულს ქვა აღმართში მოენიაო, პანდემიაც ასე მოენია ისედაც წელში განყვეტილ ქვეყანას.

ეს უმძიმესი მდგომარეობა მხოლოდ პოლიტიკოსებისთვის არის მომგებიანი. მთავრობა ყველა პრობლემას: - უსახსრობას, სოციალურ გაჭირვებას, წარუმატებლობას, პანდემიას აბრალებს, ოპოზიცია - მთავრობას, ხალხი კი... უკვე მრავალი წელია ელის, დაუსრულებლად ელის უკეთეს მომავალს. ხან ცხარობს, ხან დუმს, ხან მთვრობას აქებს, ხან ოპოზიციას, ხან ტელეეკრანთან, ხან ვირტუალურ სამყაროში ამზურებს „ბრძნულ აზრებს“. არაფერი იცვლება, ერთ წრეზე ვტრიალებთ, როგორც გალაკტიონი იტყოდა: ჯვარს ეცვი თუ გინდა, საშველი არ არის, არ არის, არ არის...

ჩვენი მდგომარეობაც უცვლელია, ანუ შეურაცხყოფელი. ისევე ღარიბი ნათესავებით თხოვნა-თხოვნით შევდივართ ჩვენს კუთვნილ მწერალთა კავშირის შენობაში, მაჩაბლის 13-ში, მოვა კულტურის მინისტრი მთავრობაში, წავა მინისტრი, ვხვდებით, ვუამბობთ ჩვენს უმძიმეს მდგომარეობას, ჩვენი კეთილი მოკავშირეებით შემფოთდებიან, დაგვიამბებენ, სინამდვილეში არაფერი იცვლება!

ამასწინათ ერთი პოეზიის მოყვარული ქალბატონი გვესტუმრა იმ ავარიულ, დაზარალებულ შენობაში, სადაც ლტოლვილებთან ერთად ჩვენი ასწლოვანი კავშირიც აფარებს თავს. ეს რა დღეში ყოფილა ქართული მწერლობაო, მოსთქვამდა... ისე, სააკაშვილის დროიდან დღემდე, ბევრი რამ მოხდა ისეთი, ცუდ სიზმარშიც რომ არ მეზმანებოდა, რომ ყველაზე ავი ფიქრისასაც ვერ წარმოვიდგენდი, რომ სიტყვა პატრიოტიზმი შეიძლება ფაშისმად მოენათლათ, რომ აღმაშენებლის ძეგლს ქალაქიდან განდევნიდნენ, რომ უნივერსიტეტის გაფიცულ ლექტორებს შენობაში ცხვრებოდათ გამოამწყვდედნენ, რომ მწერალთა კავშირის შენობას გაყიდვას დაუპირებდნენ და მერე 100 ნიღბოსანი დაესხმებოდა თავს ღამის ოთხ საათზე და შტურმით აიღებდა, რომ გალაკტიონის სურათს შენობის კიბეზე ჩექმებით გადაუვლიდნენ, რომ ჩვენი რწმენის და დედაეკლესიის

ავის მსურველნი მოახერხებდნენ და საქმიანად გაუხდიდნენ საქმეს საპატრიარქოს, და ვაი, რომ ბევრი მღვდელმთავარიც შეუწყობდა ხელს ამ განსაცდელს. რომ იაკობ გოგებაშვილის „დედაენას“ საავტორო ნიგნებით ჩაანაცვლებდნენ, და რაც უფრო შემზარავია, სულ ახლახანს, როცა „დედა-ენას“ ქა-

რთველ პატრიოტთა დიდი რუდუნებით, ისევე მისცეს სკოლებში დაბრუნების უფლება, ტელეეკრანზე ათასი მეტიწარა გამოვარდა, „დედა-ენით“ ვლუპავთ შვილებსო, განათლების მინისტრმა კი მორცხვად განაცხადა, არ ინერვიულოთ, ჩვენ „დედა-ენას“ მხოლოდ ალტერნატიული სახელმძღვანელოს უფლება მივეცით, ვინც რას აირჩევს, ეს პედაგოგებისთვის მიგვიანდიაო. წინა ხელისუფლების დროს ენერგიულად ხდებოდა ეროვნული ცნობიერების „წვრთნა“-დაჩაგვრა. ახლა უბრალოდ იგნორირებაა.

იქნებ ვინმეს ჰგონია, რომ ქვეყნის უკეთეს მომავალს, მის აღორძინებას წმინდა სამება: „ენა, მამული და სარწმუნოება“ ხელს უშლის.

იქნებ ვინმეს ჰგონია, რომ სხვათა მიბაძვით და მანჭვა-გრეხით იქმნება ეროვნული კულტურა. იქნებ ვინმეს ჰგონია, რომ წიგნის ფესტივალებზე უცხოეთში ისეთი წიგნებზე გაგიჟებინან, სადაც მთავარი თემები ჰომოსექსუალიზმი და ტრადიციების მსხვერვაა. ქვეყანაში გაჩნდა, (გაჩნდა თუ გააჩინეს?) მისაბაძი, მოაზროვნე ადამიანის დეფიციტი.

სამსახურის ხელმძღვანელებად ინიშნებიან ან პარტიული ნიშნით, ან უცხოეთში მასტერკლასგავლილი ადამიანები. მთავარია იცოდეს უცხო ენა... მთავარია თავი გამოიჩინოს ხელისუფალთა თავყანისცემით...

გულსხმიერება, თანადგომა, ხალხზე გულწრფელი ზრუნვა, საკუთარი აზრის ქონა დღეს აღარ სჭირდება სახელმწიფო თანამდებობაზე დანიშნულებს. არსებობს თარგი, რომელსაც უბრალოდ უნდა მოერგოს...

ერთი სიტყვით, ჩვენი პოზიცია-ოპოზიციის გადამკიდე, ერთის მხრივ, ქვეყანაში დიდად არაფერი იცვლება, მეორეს მხრივ სულ ტურბულენტურ ზონაში ვართ, არ ვიცი, ამდენ რყევა-წვლილს როგორ გაუძლებს ქვეყანა. ქართველ ერს ისეთი ქრონიკული მინიგითი შეეყარა, არ ვიცი, რა მოარჩენს, ყველა პოლიტიკოსია, ყველა ბრძნულ აზრს აფრქვევს. ყველაზე დიდი დეფიციტი კი მოაზროვნე ადამიანია. იქნებ აღარც სჭირდება დასჯილი ბავშვივით კუთხეში მომწყვდეულ ჩვენს ქვეყანას მოაზროვნე ადამიანი?

- პირადად თქვენთვის როგორი იყო ეს წელი?


- არ არსებობს ცუდი, რომელიც რაიმე კარგი არ იყოს... დავინწყით იმით, რომ როგორც იქნა შვილიშვილს თავი შევავარე. არასოდეს მეცალა ცაბუნისათან სათამაშოდ, როცა ეკითხებოდნენ, ბაბი გიყვარს თუ არაო, ისე იჯლანებოდა, გული მიცივებოდა. ახლა კი ძალიან, ძალიან მიყვარხარო მეუბნება და თან ხელებს შლის. ამაზე დიდი ბედნიერება რა უნდა იყოს?!

რაც შეეხება შემოქმედებას, ამ პანდემიის პერიოდში არაერთი წიგნი ვთარგმნე და გამოვეცი, განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო სომეხი კლასიკოსის ჰოვანეს თუმანიანისა და ყაზახი ხალხის სულიერი წინამძღოლისა და კლასიკოსის აბაი კუნანბაევის საიუბილეო კრებულები.

ჩემთვის კი განსაკუთრებით სასიხარულო იყო ის, რომ ჩემი ლექსების კრებულები გამოიცა ყაზახეთში და ევროპული ლიტერატურის ბიბლიოთეკის ეგიდით სერბეთში. ყაზახეთში წიგნის პრეზენტაციას მწერლებთან ერთად კულტურის მინისტრი და აზიის მწერალთა ორგანიზაციის პრეზიდენტი ესწრებოდა, მე, რა თქმა უნდა, ონლაინ პლატფორმის მეშვეობით. გამახარა იმანაც, რომ ნეპალში ყველაზე პრესტიჟულ ჟურნალში დაიბეჭდა ჩემი ლექსების თარგმანები. მთარგმნელი ცნობილი პოეტი, მრავალი ჯილდოს მფლობელი - სუმან პოკრელია.

- და ბოლოს, რას აპირებს მწერალთა კავშირი, რა ღონისძიებები იგეგმება 2021 წელს?

- 900 წელი სრულდება დიდგორის ბრწყინვალე გამარჯვებდან, „ძლევაი საკვირველიდან“ - როგორც ისტორიკოსები მოიხსენიებენ, სწორედ ამ დღის ღირსეულად აღნიშვნას ვაპირებთ აგვისტოში. ჩატარდება ლიტერატურული კონკურსი პატრიოტულ თემაზე. გამოვა ამ დღისადმი მიძღვნილი ალ-



მაცვალა გონაშვილის ლექსების კრებული ყაზახურ ენაზე

ბომი. ღონისძიებები გაიმართება დიდგორში, გორში და ქუთაისში. გორის მწერალთა სახლთან ერთად გამოვეცემთ კრებულს. ასევე სულ მალე გამოვაცხადებთ კონკურსს საინტერესო ფოტო ისტორიებზე და გამოვეცემთ ალბომს. „მე სხვა ვარ, პოეტების ხევედრია, გვახსოვდეს ცოცხალიც და მკვდარიც“, წერდა მურმან ლებანიძე, სწორედ ამ სლოგანს მიეძღვნება ეს კონკურსი - ერთის მხრივ საინტერესო ისტორიებსა და საოჯახო ალბომებს შერჩენილ ფოტოებს შლის სინათლეზე გამოვიტანთ და მომავალ თაობას შევუნახავთ, როგორც უძვირფასეს განძს, მეორეს მხრივ, მნიშვნელოვანი ფოტო-ისტორიების ავტორებს ფულადი ჯილდოთი დავასაჩუქრებთ.

ასევე მნიშვნელოვანია ის, რომ სექტემბერში გვექნება ინტერნეტ-ფესტივალი საქართველო-გერმანიას შორის, რომელშიც ჩვენს ორგანიზაციასთან ერთად გერმანიაში დაფუძნებული მწერალთა გილდია მიიღებს მონაწილეობას.

გეგმები ბევრი გვაქვს... გეგმებიც და იმედებიც!

ესაუბრა მანანა გორგიშვილი



ნიკოლოზ კურტანიძე

გარდასულ დღეთა ლირიკა

ძალიან ხშირად

ძალიან ხშირად, ძალიან ხშირად, თვალს დავხუჭავ და ბავშვობას ვხედავ, გადავიქეცი მარტოდენ ფიქრად, ამდენი ფიქრი რას ნიშნავს ნეტავ!

მშობლიურ სკოლას ვხედავ წერტილად, ხელში ვგრძნობ სიტბოს, გულში კი დაჭრას. ის გრძნობა ჯერაც არ დამრეტილა, სიცოცხლის იმპულსს იძლევა ახლაც.

ვარ მოდინახის კოშკზე ასული, ყველაზე შორს და ყველაზე მაღლა, ხელს მიწვდის ჩემი ყრმობის ქალწული, მისი თვალელები მინათებს ახლაც.

ის გრძნობა იყო მე რომ გამზარდა, გამზარდა უცბად, თითქოს ერთ წამში, ჩემს წინ გაიხსნა ცხოვრების ფარდა, გაფრინდა ჩემი ოცნების რაში!

სიყვარული გულის სწორის

განა ერთი, განა ორი, საქართველომ იცის ბევრი, რომ დაკარგა გულის სწორი, კენტად როცა დარჩა მტრედი.

განა ერთი, განა ორი, ქართლის დედა ებრძვის ეშმაკს, თუ დაკარგა გულის სწორი, ცრემლით შეკრავს მერე ლეჩაქს.

განა ერთი, განა ორის, ტანჯვას ბოლო აღარ უჩანს, თუ დაკარგა გულის სწორი მარტო გასწევს მერე გუთანს.

გინდა ერთი, გინდა ორი, საუკუნე დავდვით სასწორს, სიყვარული, გულისსწორის მაინც ნახავს თავის საზრდოს.

ბევრი ატყუებს უბრალო მოკვდავს, დაპირებებით აივსო გუდა. ხალხი იცინის, ხან კიდევ მოთქვამს, დგას და ტაშს უკრავს, უნდა, არ უნდა.

მიჩერებია ანთებულ სანთელს, სიცრუე უკვე ხანდაზმულია, ვერც კომუნიზმის მოესწრო „ნათელს“ სამოთხის კარიც ჩარაზულია.

ერთმანეთს მივცეთ მხარი ჯობია, რომ განსაცდელში არ დავრჩეთ კენტად სიცრუე ყველა დასაგმობია სიმართლის გენამდეს ყველაზე მეტად.

„ბედნიერი“ ნამებული

იმ დღეს ქვევით მოვდიოდი ქუჩა-ქუჩა, კედელ-კედელ, შენამდე რომ მოვსულიყავ, ვეღარ ვქენი, ვეღარ შევძელ.

წუთი, წუთზე აღარ მყოფნის, შენზე ფიქრში დავალ ქვეყნად, მინდა მშვიდად დაგიგულო, როგორიც ხარ, ერთი-ერთად.

შენი სახე თვალწინ მიდგას, ღიმილჩამოფარებული ჩემთან ერთად მოგზაურობ, ბედნიერი „ნამებული“.

კრიზისი

სად დაიკარგა ნეტავ ხალისი, გული საგულეს ჩაფერფლილია, წაიღო დარდმა ოქროს საწმისი ვარდის ფურცლები დაფლეთილია.

რაა ამ ქვეყნად კაცის ცხოვრება, ცუდი მესაჭე მისვლა-მოსვლისა, ზარალი, ზარალს, თუ წამოება, წინსვლის სურვილებს მისრის-მოსრისავს.

მგლებს ხროვაში ცხოვრება, მგელს შეუძლია მხოლოდ, ალაღ-მართალი მოკვდება წინ ჯვარი გაუძლოლოთ.

კრიზისი დადგა, დიახ, კრიზისი, კაცობისა და სირცხვილ-ნამუსის და გადის ახლა მხოლოდ იმისი, ვისაც მკლავი და ძალა გაუჭრის.

ძმა, ძმას არ ინდობს წიხლს აჭერს, გული საგულეს წენავს, სხვას რალა ვუთხრა, ნეტავი, ან ქურდს და ანდა მეძავს.

საბაზრო ეკონომიკამ, გულმონყალეა არ იცის, ცოტა სისუსტე და მყისვე გარეთ წუმპეში გაგისვრის.

უმიზეზოდ და უმიზნოდ, რა ხდება ამ ქვეყანაზე. სახარეს შუბლზე ეტყობა, საფურეს კიდევ გავაზე.

შემოდარცვია ადამს ზნეობა, ევაც უზნეოდ იცინის. და არც ერთს არ გააჩნია თუნდაც მისხალი სირცხვილის.

ვზივარ ფიქრებით გარსმობვეული, მესმის ყაყანი უცხოტომელის. ეს დღე დაღამდა მშვიდობით, არ ვიცი ხვალ რა მომელის.

დრო შეიცვალა, ქვეყანა უსირცხვილობით აივსო, არ ვიცი ეს უზნეობა მე როგორ გავითავისო. გულზე დარდი, ზურგზე წლები მე რომ ტვირთად მკიდია. მინასა და ზეცას შორის გადებული ხიდია.

რისკი

ო! როგორია რისკი, უცბად შეგასხამს ფრთებს, აგაფრენს მაღლა ცაში, გადაგატარებს მთებს.

ო! როგორია რისკი გაგხდის ღარიბს ან მდიდარს, განახევებს ფერად სიზმრებს, წამოგახტუნებს მძინარს.

მაინც კარგია რისკი ცხოვრების ინტერესით, დაღუპულია ვინც კი ცხოვრობს ბნედით და სტრესით.

თუ რისკავ, უნდა იყო მოთმენილი და წყნარი ურისკო კაცი არის, როგორც მედუზა წყალში.

იარაღების გზაზე

მეჩეთი! ყოველ ნაბიჯზე წამომართულა მეჩეთი, უმძლავრებია ალაჰსა ქართულ მიწაზე ძალიან.

ქართული სულის ნასხლეტი აქა-იქ შემორჩენილა. ჩემი მცნობი და გამგები ცოტალა გამოჩენილა.

თამარის ხიდი ისევ დგას ხახული – ძველი დიდება – ჩამონგრეულა ტაძარი თვალეში ცრემლი მიდგება...

რა დროს ჯიბრი და შურია ქართული სული კნინდება. სისხლის ალება მწყურია, წარსულთან ხიდი იდება.

ტაო, შავშეთი, კლარჯეთი მეჩეთებს დაუქსელია, რა დავაშავეთ ასეთი ტაძრები დაუქცევიათ.

ვინლა დაიცვას ეს მხარე, დავინწყებია იესოს, მტერს მუხანათს და მგრეველსა მისი წილ უნდა მიეზლოს.

უძლური ვტოვებ ამ მხარეს, ძველსაც ვჩივი და ახალსაც მაინც იმედით შევცქერო, ხესაც და ფშანად ნაყარსაც.

ჩემო სამშობლო!

ჩემო სამშობლო, შენი ჭირიმე, ჩემო ლელეკ და ნაგლეჯო მიწავ, შენზე ძვირფასი ამ ქვეყანაზე არაფერი მაქვს, სიცოცხლეს ვფიცავ!

შენა ხარ ჩემი სიცოცხლის წყარო, შენა ხარ ჩემი მუზა და სიტყვა, სადაც არ უნდა გადავიკარგო, ბოლოს შენთან ვარ, სიცოცხლეს ვფიცავ!

ჩემო სამშობლო, ჩემო საძვალევე, ჩემი ბავშვობის ფიქრო და დვრიტავ, არ მოიწყინო, შენ გენაცვალე არ მიგატოვებ, სიცოცხლეს ვფიცავ!

შენა ხარ ჩემი ციხე და ზღუდე, თავს შენ გაფარებ, სხვაგან რომ მიჭირს, ვერ ვიტყვი სხვისი ქვეყანა მძულდეს, სულ სხვაა სუნთქვა მშობლიურ მიწის!

სხვაა ღიმილი, სისხლის და ხორცის, თბილი, ანკარა და უანგარო, როგორც წალკოტით შემკული ბორცვი, გადმოხეთქილი ანკარა წყარო!

მძახლავს

(ხუმრობით)

სიმაღლით კი მჯობიხართ ერთსახელა მძახლები, თქვენს ასულებს ყოველდღე, კრძალვით მივესალმები.

მაგრამ ჩემი სახელი! შეშურდება მონარქებს ყმანვილები დავგეშე ასულები „მოგტაცეს“.

ახლა ზიხართ „მოწყენილი“ გამოსცქერით გზას, რაც გადაგხდათ ყველაფერი დააბრალეთ თავს.

პაატას!

რომ გხედავდი თვითმფრინავთან მავალს, ცა ედემად მეხსნებოდა თითქოს. შენზე ფიქრი ვიდრე სულ არ დამწვავს ცოლსა და შვილს მომასწარი, ბიჭო!



ბორის მიშველაძე

ანაიდა

ნოველა

ომი სოფელში უცბად შემოვარდა. არც ავტომატების კაკანი, არც ჭურვების ჭექა - გრუხუნი, არც ტანკების მუხლუხობა ღრჭიალი არავის გაუგონია, მაგრამ უკვე ყველამ იცოდა, რომ ომი იქვე, ყურისძირში იყო. სოფლები გაფაციცებით შესცქეროდნენ ტელეეკრანებს, ქექავდნენ ინტერნეტს, უსმენდნენ ადგილობრივ და შორეულ რადიოსადგურებს. ინფორმაციები უმეტესწილად ურთიერთგამომრიცხავი იყო. სომხური მედია ამტკიცებდა, რომ ყველაფერი კარგადაა და აზერბაიჯანელთა შეტევას მალე მოვიგერიებთ, კონტრშეტევაზე გადავალთ და ცოტა ხანში კუდიტ ქვას ვასროლივითო. საწინააღმდეგოს ამტკიცებდა აზერბაიჯანის მხარე...

სოფელში პირველი დაჭრილი რომ შემოიყვანეს, ყველამ თავი მოიყარა, უნდოდან გაეგოთ სიმართლე, მაგრამ ყარაბაღელმა მეზობლებმა პირში წყალი ჩაიგუბეს და მხოლოდ ეს თქვეს „ყველაფერი კარგად იქნება“. დაჭრილი სოფლის ერთადერთმა ექთანმა ანაიდამ ჩაიბარა. ჭრილობები დაუმუშავა და მედპუნქტში დაანვინა. ავადმყოფზე ზრუნვა სოფლის ქალებმა ითავეს. ერთ დღეს, ჭრილობებს რომ უხვევდა, დაჭრილი ალაპარაკდა: „რუსებმა გაგვიყიდეს, დახმარებაზე უარი გვითხრეს. მეტიც, ძველი შეიარაღება შემოგვარჩიეს, გვარწმუნებდნენ ეს მსოფლიოში საუკეთესოაო. აზერბაიჯანელებს კი უახლესი იარაღი აქვთო. ორნაირი დრონები - ერთი პატარა, ფრინველივით მოფარფატე, თავს დატრიალებდა ჩვენს სატანკო კოლონებს და კოორდინატებს თურქული ლიცენზიით აზერბაიჯანში დამზადებულ უპილოტო თვითმფრინავებს გადასცემდაო. ხუთიოდე წუთში ჩვენს ტანკებს სულ ბდღვირი გაადინესო. მერე ჩვენც შევიცვალეთ ტაქტიკა, პატარ-პატარა

ჯგუფებად დავიყავით, თითო-თითოდ ვუშვებდით ტანკებს და უკან „გაზიკებით“ მივყვებოდითო. მაგრამ ამანაც არ გვიშველა, ის ისრაელური პატარა დრონები ტყიამფრქვევიდან გვიხსნიდნენ ცეცხლსო. მოკლედ ჰაერიდან სულ დაუცველები ვართო,“ - ამოღერღა დაჭრილმა და თან დაუმატა, - დაო, არავის უთხრა ჩემი მონაყოლი, თორემ ადგილზე დამხვრეტენო.

ისმენდა ანაიდა დაჭრილის მონაყოლს და თან ახსენებოდა ის კომმარი, რომელიც სირიაში მას და მისნაირებს რუსეთმა მოუწყო. გაახსენდა, როგორ უდარდელად ცხოვრობდნენ სირიაში სომხები. მერე ერთბაშად როგორ აირია ყველაფერი. ხალხი დიქტატორს აუჯანყდა, რუსეთმა კი დიქტატორის მხარე დაიჭირა და მთელი სირია გადაბუგა. გაახსენდა მისი მშობლიური ქალაქის - ალექსის დაბომბვა. ხუთიოდე წუთში მისი მიწასთან გასწორება. მაშინ იქცა სირიის სომხობა ლტოლვილებად. ზოგი დასავლეთისკენ გაიქცა. ნაწილმა სომხეთისკენ აიღო გეზი. ნითელმა ჯვარმა ლტოლვილები შეიფარა. ანაიდა და დედამისიც მათ შორის იყვნენ. სომხეთში ჩასულს ახალი უბედურება დაატყდა თავს - დედამისს ჭრილობა გაუმიზეზდა, ფეხზე განგრენა დაემართა. ამპუტაციამაც ვერ უშველა, ტანჯვით გარდაიცვალა. რადგან წასასვლელი არსად ჰქონდა, ანაიდამ ჰოსპიტალში დაიწყო მუშაობა, ბინაც იქვე დაიდო.

ტიგრანი მაშინ გაიცნო, როცა ახალწვეულები სამედიცინო შემონმებას გადიოდნენ. მათი ნაწილიც იქვე იყო, ჰოსპიტლის მახლობლად. ყოველ შაბათს მოდიოდა ბიჭი, მინდვრის ყვავილები მოჰქონდა. ტიგრანის დემობილიზაციამდე შეუღლდნენ. ქმარს მის მშობლიურ სოფელში წაყვა, ალდამის რაიონში. - ეს ძირძველი სომხური მინებიაო, - გზაში უყვებოდა ტიგრანი, - დიდი სომხეთი ორ ზღვას შუა იყო გადაჭიმული და სამხრეთით სირიამდე სულ სომხეთი იყოო. მერე დაგვასუსტეს მომხდურებმა და ახლა ერთი ბენო ადგილი გვიკავიაო. ალდამი ამ ადგილს აზერბაიჯანელებმა დაარქვეს, თორემ ადრე სხვა ერქვა და ახლა ისტორიული სახელი აკნა დაუბრუნესო. 1993 წელს აზერბაიჯანელებს წავართვით ჩვენი არცახი, რომელსაც ისინი ყარაბაღს უწოდებენო და მის ირგვლივ მდებარე შვიდი რაიონიც მივითვალეთო. ამაში რუსები მაგრად დაგვეხმარნენო. ყოველმა სომხებმა უნდა იფიქროს დიდი სომხეთის აღდგენაზეო. რუსების ხსენებაზე ანაიდას უსიამოდ გააჟრჟოლა, ერთი კი დააპირა, შეპასუხებოდა - მაგ ლოგიკას თუ გავყვებით, ნახევარი მსოფლიო მონღოლებს უნდა ეკუთვნოდესო, - მაგრამ ქმარი ისე გატაცებით ლაპარაკობდა, მისთვის სიტყვა არ შეუნწყვეტინებია.

მერე იყო ბედნიერი დღეები, ერთი წლის თავზე ულამაზესი გოგონა შეეძინათ, მანუშაკი (ია) დაარქვეს. ცოტა ხანში ანაიდას ძმამაც დაურეკა საფრანგეთიდან, ახარა თავშესაფრის მიღება. ქმარი ტრაქტორზე მუშაობდა, ანაიდა სოფლის მედპუნქტში ექთნად. ექიმი რაიცენტრიდან კვირაში ერთ დღეს ჩამოდიოდა. ავადმყოფებს გასინჯავდა, დანიშნულებას გამოუწერდა და ანაიდას ავალებდა კონტროლს. ექიმი იმდენად ენდობოდა, რომ ხელმოწერილ და ბეჭედდარტყმულ რეცეპტის ბლანკებსაც უტოვებდა - გადაუდებელ შემთხვევაში გამოსაყენებლად. ანაიდაც ზოგს წნევის დასაწევს, ზოგს თავის ტკივილის, ზოგს კი გულძმარვის საწინააღმდეგო აბებს უწერდა.

უბედურებას, თურმე, არ ეძინა. ერთ დღეს ეზოში სოფლის ქალები შემოვიდნენ, ანაიდას უთხრეს, გამაგრდით. ტიგრანს ფერდობზე ტრაქტორი დაუგორდა და ქვეშ მოიყოლაო. ანაიდა მართლაც გამაგრდა. მტკიცედ გადაწყვიტა, ოჯახი არ დაექცია და ერთადერთი ქალიშვილის ბედნიერებისთვის მიეძღვნა თავი. სკოლაში ინგლისურის საათები აიღო. სახლშიც მეურნეობას უძღვებოდა, ძროხას უვლიდა, ქათმებსაც. სამი წლის მანუშაკი მამას კითხულობდა, ეუბნებოდნენ ცაშია და თუ კარგად მოიქცევი, ღრუბლებში დაინახავო. ასე გადიოდა დრო.

აი, ახლა კი სოფელში ომი შემოიჭრა. ტელევიზიამ გადმოსცა, რომ მოსკოვში შედგა სამშვიდობო შეთანხმება, რომლის ძალითაც ალდამის რაიონი ათ დღეში უნდა დაცლილიყო სომხური ძალებისგან და გადაცემოდა აზერბაიჯანს. სწორედ ამ სამშვიდობო ხელშეკრულების დადებისთანავე დაიწყო სოფელში ნამდვილი ომი. ხალხი ერთბაშად შეიცვალა. ჯერ დაიწყეს სახლებიდან ავეჯის და ნივთების გამოლაგება. მერე დაინახეს, რომ ამოდენა ავლადიდებას ვერსად წაიღებდნენ. დაიწყეს გადარჩევა. მაინც ბევრი გამოდიოდა. ზოგმა სამუდამოდ მიტოვებული ორთვალა მისაბმელები შეაკეთა და მანქანას გამოუბა. ნივთების გამოტანას რომ მორჩნენ, სახლებს კარები და ფანჯრები მოხსნეს, ზოგმა სახურავიც გადახადა. მალევე მიხვდნენ,

რომ ამასაც ვერ წაიღებდნენ და აქა-იქ პირველი კოცონები აგიზგიზდა. წვავდნენ ყველაფერს, რისი წაღებაც არ შეეძლოთ. გაღმა ფერდობზე უკვე რამდენიმე სახლიც ინვოდა... ყველაზე საშინელი სანახავი კი მაინც უროთი თავგახეთქილი პირუტყვი იყო.

ანაიდამ ბავშვს თვალბეზვებზე ხელი ააფარა. ცხრა წლის გოგომ უკვე იცოდა, რომ უბედურება ტრიალებდა.

- დედა, ჩვენი როზაც უნდა მოკლან?

- არა, შვილო, მოდი, როზა ჩუმად გავაპაროთ.

ანაიდამ ეზოს უკანა კარი გააღო და როზას წკებლა გადააკრა. ფერებას მიჩვეულმა მაკე საქონელმა იუცხოვა წკებლა და ადგილზე გაშეშდა, მაგრამ როცა ანაიდამ მოუნაცვლა. ზანტად წავიდა ტყისკენ.

უკან მობრუნებულს ეზოში მეზობელი არშაკა დახვდა, არყის სუნი კილომეტრზე გეცემოდა, ხელში გასისხლიანებული ურო ეჭირა.

- სადაა შენი ძროხა, თავი უნდა გაუჩქრქვო, აზერებს ხომ არ დავუტოვებთ.

- დამშვიდდი, არშაკ, ძროხას მეც ვეძებ, დღე-ღამეზე უნდა მოეგო, ალბათ ტყეში მოილოგინა, - დაუყვავა ქალმა.

არშაკა ჭიშკრის ბოძს მიეყრდნო.


- შენ არ იცი, ანაიდ, რამდენი ცოდვა მანვეს კისერზე. რაც ჩვენ აზერებს გავუკეთეთ ოთხმოცდაცამეტში, უკან მოგვიბრუნდა, - კაცმა ჭიშკართან ჩაიშუხლა და ბავშვივით აქვითინდა.

ანაიდა სახლში შევიდა. ქმრის დანატოვარი ძველი ჟიგულის გასაღები აიღო. ნივთები ჩალაგებული ჰქონდა. ჭიშკრის მიღმა მტვერში მანქანების კოლონა მიიზღაზნებოდა. მიემართებოდა უნესრიგოდ, ჩართული ფარებითა და მოჭყვიტინე სიგნალებით. ქალმა ცოტა ხანს კიდევ დაიცადა. დაელოდა კოლონის შეთხელებას. მერე მანქანიდან გადმოვიდა. მანუშაკიც თან გადმოყვა. ანაიდამ ეზოში აქა-იქ სასწაულად შემორჩენილი ვარდები და მინდვრის ყვავილები დაკრიფა, სასადილო ოთახში შევიდა, უჯრიდან ოთხად გაკეცილი სუფთა სუფრა ამოიღო, მაგიდას გადააფარა, თაროდან ლარნაკი ჩამოიღო, წყალი ჩაასხა და ყვავილები შიგ ჩაალაგა.

- დედა, რას შვრები?

- იცოდნენ მომსვლელებმა, შვილო, რომ აქ ხალხი ცხოვრობდა.

...ძველი ჟიგულის საჭეს უკვე მერამდენე საათია ტუჩებმოკუმული და თვალბეზვებმოკუმული ქალი უზის. არაფრად აგდებს იმას, რომ დასავლეთის ჩამავალი მზე თვალბეზვებში აჭყიტებს. გვერდით სავარძელზე გოგონას ძინავს და სიზმარში, საფრანგეთში, უცნობ თანატოლებს ეთამაშება.



ბაგრატ ბადიდი

„მე ილია ვარ“

ფრაგმენტები პოემიდან

პროლოგი

მინდა, ერთ საკითხს საგანგებოდ გავუხსნა ხაზი: თქვენ ალბათ ყველას გაგიგიათ კოტე აფხაზი, დახვრიტეს იგი 24 წელს კომუნისტებმა, რადგან აშკარად შეებრძოლა მთელ მათ სისტემას.

იყო დისშვილი ილიასი, გენერლის ჩინით, სახელოვანი, ნაომარი, ნაიარევი. არ დამჭირდება თქვენთან ალბათ ბევრი ჩიჩინი, მინდა, გავაცნოთ ბატონ კოტეს მეგობრები:

„დილით ჭალაში გავემართეთ მე და ილია, ყველაზე კარგი სანადიროდ ეს ადგილია. წინ გავირეკეთ მარეკები, ყურმა ძაღლები და გავემგზავრეთ სანადიროდ მათი თანხლებით. ვერ მოვიპოვეთ საამაყო ნანადირევი... უცებ ილიას წამოუხტა ცხვირწინ ირემი. შევძახე კიდეც: „რას უდგახარ, ესროლე თოფი...“ ის კი არ იძვრის, სდის წურწურით შუბლიდან ოფლი.

და მეუბნება: „მე იმ ირმის დაეკარგე კვალი, ზუსტად რომ გითხრა: შემებრალა, ვეღარ მოკვალ“.

„ისე ამაყად, ისე ლაღად ეჭირა თავი, რომ ვერ ვესროლე, და ფიქრებით სხვაგან ვიყავი“.

„ადამიანი ზოგჯერ მხეცზე უფრო მხეცია,“ - დასძინა ბოლოს, დღემდე მახსოვს ეს სენტენცია“.

ამ ფაქტში კარგად იკითხება მწერლის ბუნება და ეს ამბავი თქვენ არაფერს, არ გეუბნებათ?

P.S. როგორც იტყვიან: კარგ მთქმელს უნდა კარგი გამგონი, არსებობს ხერხი, ფარსი, მწერლის გამოხატვის ილია წერდა: „ნადირობის ტრფიალი ვარო“, კოტე (ილია ჭავჭავაძის ის დისშვილია...) სხვა რამეს ამბობს (დავიმონმოთ ის, როგორც წყარო): არ უყვარდაო ნადირობა ბატონ ილიას.

ქვეყნის ტვირთი მხრებზე აწევს დიდ ილია ჭავჭავაძეს. ხომალდით მიაქანებს მას ფიქრების იალქანი. გვახსოვს თერგი, დარიალი... გვახსოვს ბრძენი ლელთ ლუნია, ცას ვრცელი აქვს არეალი და მტრედების ლულუნია. სტვენს ბულბული, შაშვი გალობს, მზე დაგცქერის, როგორც ბადე... მოკვდავი ხარ შენც, უბრალო, თუ ზეკაცად დაიბადე? საქართველო, როგორც ბაევი, ნელში ბევრჯერ მოიკაკვა... ვინ ხარ, ბაზალეთის ტბაში, რომ დაეძებ ოქროს აკვანს?

და დაემსგავსა ცისქვეშეთი ავგიას თავლას... სახიფათოა, სარისკოა ქუჩებში გაგლა. ისე ტორტმანებს საქართველო, თითქოს გემია... სწრაფად ვრცელდება იდეების ეპიდემია.

ისერის ჰაერი უნდობლობის, მტრობის ბაცილებს, ომს და სისხლისღვრას ამ ქვეყანას ვინ ააცილებს?

სანამდე გასტანს ეს სტიქია, ეს ქარტყელი? ეპოქა - ციდან დაშვებული მძიმე უროა... დადის ილია ჭავჭავაძე გულგატეხილი და დღეში ასჯერ იმეორებს: „უმაღურობა!“ საკვირველებს ქვეყანა უმზერს... სიტყვა ეძლევა ახლა მაუზერს... ეძებს გასაქანს ოხლოკრატია, ხელმწიფე გულზე არ ახატია, დრომოჭმულ „ნესრიგს“ რა მოუცია? ახლო არს, ახლო - რევოლუცია...

თავი აქვს ოღლა გურამიშვილს მხრებში ჩარგული და ასე ამბობს: „ცუდს მიგრძობსო რამტომღაც გული“. ცუდს უგრძობს გული და ბანქოსაც ამის გამო შლის, გადანყდა მათი გამგზავრება საგურამოში.

უკვე ავგისტოს თვე მიილია და ენკენისთვის ქრიან სიონი... და ქალაქიდან გადის ილია და დაარისხებს ზარებს სიონი. ბალახ-ბულახი ფარდაგვით მიდამოს ფარავს,

ქუჩის გადაღმა ღრუბელივით მოჩანს ცხვრის ფარა. ჭიშკართან ძველი ფაეტონი, თითქმის „დროგია“,

შლურტულებს ჩიტი გულყვითელა: „ბიჭო გოგია...“ შორს მიაქანებს ჩვენს ილიას ფიქრის გორგალი

და ცათა წიაღ ილანდება კოშკი გრაალის. თვალწინ დაუდგა ციფრომბორი, კავკასიონი, ცა ვარსკვლავებით ანთებული, ვით მაყრიონი.

თავისი სახლი ენატრება, ვით ბავშვს მშობელი,

ხოლო ყვარელი ილიას დროს იყო სოფელი. ნატრობს ყვარელში გამგზავრებას ახლა ილია, (როგორც იტყვიან: „მშობლიური კვამლიც ტკიბილია“).

გადაიარეს დიდმის მინდორი, ჩამოტოვებს უკან ავჭალა, გაბეზრებული უამინდობით, ამბობს ილია: „ქარმა გამჭყალა...“ ცა სარკესავით მოწმენდილია, უკვე ჩამოჭკრეს ცისკრის ზარებმა... ქართველი ერის მამა ილია საგურამოში მიემგზავრება. წინ მიიწვევენ ნელი ტაატიო, მეეტლე თედო ლაბაურია... შესრულდა ზუსტად 2 საათი და თვალწინ უკვე წინამურია. არის ცხოვრება თან საამური და ამავე დროს არის კირთება, მე ის მაღონებს, ეს წინამური სიტყვა „წამებას“, რომ ერთმეება. პოეტი მაინც შავი გედია და არა ვაშლი თურაშაული, დატრიალდება აქ ტრაგედია და სუკუნის დანაშაული. არის ბუნება წყნარი და მშვიდი... თოფის გრიალი გაისმა ცაზე... ეტლს თოფიანი ყაჩაღი შვიდი შემოსჯარვოდა სიავის მაცნედ. უცებ დაირღვა ტყის იდილია... ზეზე წამოხტა მყისვე ილია... „მე ილია ვარ“, - ეს იყო მისი გულის ძახილი და ლაღადისი. ნათელი დღეა, ცაზე არ ჩანს ნასახიც ღრუბლის,

წინ ჭაობივით უსიცოცხლო სივრცე გაშლილა, „ბერდანკას“ ტყვია დაახლა ბერბიჭაშვილმა,

მერე კონდახით ჩაუნგრია ბერიკაცს შუბლი. კოფოზე იჯდა გაუძნრველად მეეტლე თედო... და სისხლიანი ქალბატონი მიწაზე ეგდო.

იმდროინდელი ტფილისური პრესა ავრცელებს ცნობას: ილია მოუკლავთო ყაჩაღ-მძარცველებს. დრომ ყველაფერი სულ ერთ ქვაში მოთუთქ-მოხრაკა... მტრობდნენ ილიას მარქსისტებიც, „მეფის ოხრანკაც“.

გამოუტანეს განაჩენი ქართველთა ბელადს... პილატესავით დაიბანა ხელები ყველამ. მას მტრობდა ნოე ჟორდანიაც, მტრობდა ფილიპე მახარაძე და თავად სერგო ორჯონიკიძე. დაუკრეფავში გადავიდნენ, არ ყოთ სიბრძნე და ის პრესაშიც არაერთხელ გააქილიკეს. ცილსა სწამებდნენ და ხმაური ბევრჯერ ატეხეს,

„წყლის ასაღებად არ უშვებსო ეზოში გლეხებს...“ ასე ჭორავდნენ, უთხრეს კიდეც: „ბობოლა ხარო“,

იმ კაცს, ვინც სოფელს გაუყვანა სასმელი წყარო. „ილიას მკვლელებს რომ შეეძლოთ, - ამბობდა ვაჟა, საქართველოსაც მოკლავდნენო“, - ასეა, ასე... ილიამ ზარი დაარისხა, და ირიჟრაჟა... თუმც ზოგ-ზოგებმა მისი ღვანლი ვერ დააფასეს.

„როდესაც მუხა მოიჭრება, ნაფოტი ცვივა...“ ასე თქვა ნოე ჟორდანიამ, გულგრილად, ცივად,

ილია ნაფოტს შეადარა, სხვა რაღა გინდათ, არ დაუტოვეს არაფერი სუფთა და წმინდა. როგორც ბელადი, წინ მიუძღვის ილია მასებს, ვინც სიტყვას აწრთობს ფოლაღვით და ააღმასებს

და არ ყოფილა იგი მწირი, მეუდაბნოე, „მარქსის თუთიყუშს“ უწოდებდა ილია ნოეს.

მზე დასციმციმებს დედამიწას, ვით სარდიონი, ხალხს გამოეყო ევდოშვილი იროდიონი, ქვები, კენჭები შეაგროვა ხელის კანკალით, ნასისხლარ ადგილს შემოავლო იმ ქვებით რკალი

და თქვა: „აღმართთ ამ ადგილას ობელისკი“ და მოიპოვა თანაგრძობა ხალხისა იქ მან. ესეც ებრძოდა თავის დროზე ილიას, ის კი დიდსულოვანი და ყველასთან

„უხინჯ-უბრალო, ასე ამოდა: „მიუტევე ჩემს მტრებს, უფალო, არა უწყიან ჩემმა მტრებმა, რასაცა იქმან“.

არ იმსახურებს შებრალებას ილიას მკვლელი, მაგრამ ხომ არის უცნაური და საკვირველი ის, რომ აგზავნის პეტციას გუბერნატორთან ოღლა, მეუღლე ილიასი: „გთხოვთ, აპატიოთ იმ უბედურებს ჩადენილი დანაშაული, ძალიან მკაცრად ნულარ დასჯით, შეუწდეთ ცოდვა,

თავად ილია სწორედ ასე მოიქცეოდა, გამოიჩინეთ სულგრძელობა და სიბრაღული. წერს ასეთ წერილს ქალბატონი გუბერნატორთან...

თავად ილია ჭავჭავაძეც იმას ნატრობდა, რომ აეკრძალათ ქვეყანაში სიკვდილით დასჯა და ეს ოცნება სულკურთხეულს ოცნებად დარჩა.

წერს პეტციას გარდაცვლილის მეუღლე ოღლა! და ასეთ ნაბიჯს მალე დიდი ამბავი მოჰყვა: ოღლას ნაბიჯი შეირაცხა გმირობად, ჰოი, თურმე ამ ამბით აღფრთოვანდა თვით ლევ ტოლსტოი!

და შინ და გარეთ ასეთ ამბავს ვინ მოელოდა? „სინათლე მოდის (ესეც ითქვა!) - საქართველოდან“.

რა უნდა გითხრათ ბერბიჭაშვილ გიგლას შესახებ? ერთ ფაქტს გავაცნობთ, საგულსხმოს და ხელშესახებს.

როცა გადანყდა საქართველოს გასაბჭოება და შეიცვალა ჩვენში დრო და გარემოება, შემოჰყვა გიგლა მე-11 არმიის ბანდებს... თუნდაც ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, უკვე ეჭვს ბადებს.

მისი სახელი დაგინყების ქარმა გახვეტა, თუმცა საჯაროდ მიუსაჯეს გიგლას დახვრეტა,

სასჯელი თითქოს შეუცვლიათ გადასახლებით (არ განირაგდნენ თავიანთ ძაღლს თავად ძაღლები). და ერგო გიგლა ბერბიჭაშვილს ტყვეთა ბანაკი...

ტანზე აცვია თბილი ჯუბა და გვაბანაკი... და რამდენიმე კილომეტრი ანუ ვერსია ბანაკთა ქსელი. მაგონდება ერთი ვერსია: არიან თურმე ერთ საკანში ის ჩვენი გიგლა და მასთან ერთად ვინმე კაკო ბელიაშვილი. გიგლას არავინ არ აკითხავს. ასე, ამრიგად „სხვის კმაყოფაზე“ იმყოფება ჩვილი ბავშვივით.

რას ეყოფოდა ხარივით კაცს კვება ამათი, შემოუგზავნა დედამ კაკოს სადილად თევზი და კაკომ იცის მის წინ ვინ ზის და რა მიზეზით, მაგრამ რაღა ქნას, მაინც გახსნა ის ამანათი, ყოფილა თურმე ორაგული საკმაოდ ბევრი... ბერბიჭაშვილი თევზს ეძგერა...

იმ ღორმუცელამ არ დაუტოვა კაკოს ერთიც, შესანსლა ყველა... გადაენასკვნა ნანლაგები, დაკარგა ფერი... ძირს დაენარცხა, თითქოს თავზე დაეცა მუხი, როგორც ლუარსაბ თათქარიძემ: გაფშოკა ფეხი.

ბოლშევიკებმა სამწუხაროდ გვიან შეიგნეს ილიას ფასი და ილიას დამსახურება (მას კომპარტია კარგი თვალთ არ უყურებდა).

იჯდა ქუჩაში და ჰყიდიდა ილიას ნიგნებს ქალბატონი ოღლა გურამიშვილი, ამბობენ: სული ძვრებოდაო საწყალს შიმშილით.

უნახავთ თურმე მთანმინდაზე: ილიას საფლავს დაჰკანკალებდა დედაბერი, თავს ხრიდა დაბლა...

თვლები ვინრო და გონება ჰქონდა ნათელი, ტანზე ემოსა იმ დედაბერს ბებრული ძაძა, უთქვამს: „ილიას აუნთეთო თითო სანთელი, უთქვამს: „სანთელი აუნთეთო მას როგორც „ტაძარს“.

ეპილოგი

ერთხელ ილია სანადიროდ წავიდა ტყეში... უცებ ირემი დანახა მარტოკა მყოფი, ბალახსა ძოვდა... ძირს დაუშვა ილიამ თოფი, „ვერ გავიმეტე მოსაკლავად“, - ესა თქვა ხვნეშით.

გავიდა ხანი, წინამურთან მოკლეს ილია (ავისმოქმენდი ამ მიწაზე არ დაილია...) და წინამურთან, სადაც მწერალს ესროლეს ტყვია,

რომელსაც ახლა ტრაგედიის ადგილი ქვია, გამოჩნდა სწორედ ის ირემი, ვით კრავი უფლის

და იმ ადგილას განუტევა უმანკო სული. სასწაულების, ჩემს ასაკში თითქმის არ მჯერა, მაგრამ მზადა ვარ დავიჯერო მაინც ამჯერად.

„ივერიაში“ გამოქვეყნდა ასეთი ცნობა და გადავწყვიტე ახლა თქვენთვის მისი გაცნობა.

„სამამულე რქა...“

ჯერ კიდევ ახალგაზრდა მწერ-
ალს ლადო მრელაშვილს დიდმა
კონსტანტინე გამსახურდიამ „ქა-
რთული პროზის სამამულე რქა“
უწოდა.

დრომ და ლადო მრელაშვილის
სწორუპოვარმა შემოქმედებამ
გაამართლა ქართული მწერლო-
ბის პატრიარქის ეს წინასწარმე-
ტყველება.

ახლახან 95 შეუსრულდა.

ქვეყნისა და მხატვრული სი-
ტყვისთვის ამ ყველაზე მჭავე დროს,
როცა ცალკერძ ხელისუფლების
წარმოდგენელი (აბუჩად ამგდები
კინალამ წამომცდა) გულგრილობა
ლიტერატურის მიმართ, ჭეშმარიტი
მკითხველის მაგიდაზე სათაყვანე-
ბელი სიტყვის ქურუმების ნააზ-
რევთა გვერდით დევს „იყალთოელი
ბიჭები“, „ყაბახი“, „ოლოლები“, „და
შეჰქმნა ღმერთმან კაცი...“

ამას უკვდავება ჰქვია.

ლადო მრელაშვილი სჭირდება
თანამედროვე საქართველოს.

სჭირდება ფარად და მახვილად,
სჭირდება გამხნევენად, წელში
გასამართავად, ავი ფიქრების გასა-
ფანტავად...

უშურველი კაცი იყო. რუსთავე-
ლის სიტყვა რომ ვიხმარო, მღმო-
ბელი გულის პატრონი. მახსოვს,
პირველმა მომილოცა რუსთაველის
პრემიის მიღება.

არც მე დამიკლია, რაც შემეძლო,
ჩემის მხრივ სიკეთე.

მეამაყება, რომ მომხსენებელი
გახლდით ლადო მრელაშვილის
60,70,75 და 80 წლისთავის საიუბილ-
ეო საღამოებზე.

მეამაყება, რომ მე მოვანერე
ხელი მისთვის მინიჭებულ, ღირ-
სეულ, დაამსახურებულ ჯილდოს -
ილია ჭავჭავაძის პრემიას.

საუკუნის პროზაიკოსი, სწორედ
რომ, მისი შესაფერისი - დიდებული
ოჯახის პატრონი იყო. ღირსეულ-
მა თანამეცხედრემ - ნათელა მიშ-
ველაძემ ორი ვაჟკაცი გაუზარდა
- ზაზა და პაატა. ზაზა მამის კვალს
გაჰყვდა და მშვენიერ რომანებს სწერს,
პაატა სახელოვანი ჟურნალისტი.

ქალბატონმა ნათელამ ახლახან
ლადო მრელაშვილის ხსოვნას მშვე-
ნიერი წიგნი უძღვნა „ხანგრძლივი,
ხანმოკლე სიცოცხლე“.

დრო გარბის.

ლადო მრელაშვილის სიცოცხლე
გრძელდება.

რევაზ მიშველაძე

როგორ აკლიხართ ამ გულს
და მამულს

როდესაც სიტყვა ხდება უძლიერი,
როდესაც სევდა ხდება უძირო,
ცარიელდება როცა სასახლე,
მინდა, შენს მაღალ ზეცას ვუცქირო.

აქედან როგორ შორია ზეცა,
ზეციდან აქეთ რა შორი გზაა,
მოკვდავს აშინებს დრო და მანძილი,
უკვდავისათვის მანდ ყოფნა რაა?

არც რა თუ არა მამულზე დარდი...
გულზე ნაჭდვეი უკურნებელი,
ვით ხევ-ხუვები ღრმა და უძირო,
ვით ყვარლის მთები - ისე ბებერი.

როგორ აკლიხართ ამ გულს და მამულს,
ჩემი ცრემლები უკეთ გეტყვიან,
გადავლი შენს წიგნს, ქართული სიტყვის
ხოდაბუნებში ვინყებ ხეტიალს.

მაყვალა გონაშვილი

ემოლიური
ენის სტიქიდან


ჩემს ბავშვობაში გატაცებით
ვკითხულობდი „იყალთოელ ბი-
ჭებს“, როცა სკოლა დავამთავრე
- „ყაბახს“. მაშინ ყურადღებას არ
ვაქცევდით, თუ რატომ გვიზიდავდა
ეს წიგნები. მხოლოდ შემდეგ გავაც-
ნობიერე, რომ ეს იყო მშობლიური
ენის სტიქია, რომელიც არაცნობი-
ერად გვახვევდა თავის წიაღში.

ლადო მრელაშვილისთვის განსა-
კუთრებით მძაფრია ენის შეგრძნე-
ბა, სიტყვის განცდა, რაც არის ქცეუ-
ლი სინამდვილის ეპიკურ აღქმად,
რეალობის მასშტაბურ სურათებად,
დრამატულ სიუჟეტებად და ხასი-
ათებად, ასე რომ გვამახსოვრდება
და გვრჩება ცნობიერებაში.

ავტორის მიზანია - ხალხური მე-
ტყველების დაწმენდა და ამაღლე-
ბა, ახალ მეტაფორულ სისტემად
გარდაქმნა, ცხოვრებისეული სახ-
ეების ეროვნულ ხასიათებად და-
კრისტალება, ყოფითი მასალისთვის
დრამატული ტონალობის მინიჭება.

ლადო მრელაშვილს არ უწე-
რია მოდურ თემებზე, რაც იოლი
პოპულარობის მომტანი იქნებო-
და. იგი ყოველთვის იყო ქართული
ტრადიციების, ქართველი ხალხის

ნათელა მიშველაძე
მრელაშვილი



ხანგრძლივი ხანმოკლე
სიცოცხლე

ბატონი ლადო ისე წელგამართუ-
ლი მოდიოდა, რომ ვინ იფიქრებდა
თუ უკვე წასაქცევად იყო განწირ-
ული, მაგრამ ლადო მრელაშვილის
გული ფეთქავს და ცოცხლობს მის
მშვენიერ წიგნებში, რომელთაც
მკითხველი არასდროს მოაკლდება.

სოსო სიგუა

ლადო მრელაშვილს

კარზე არი მომდგარი შემოდგომა
მნიფე,
მევენახე იყავი და სიტყვები კრიფე;
ფეხზე იდექ ნიადაგ, ტრიალებდი
ზვარში,
შურით ჭვრეტდა მავანი, შენს
საკუთარ არშინს.
შენს ეზო-კარს, შენს მამულს, შენს
მზესა და მთვარეს,
ლხინი ცოტა იგემე, ბევრზე ბევრი
მწარე;
თავი აღარ დაუდე ამ ცხოვრებას
მანც,
აფერუმ, შენს გაძლებას და
26 მაისს!
ადრე თავს ევლებოდი „იყალთოელ
ბიჭებს“,
მერე იყო „ყაბახი“, მერე იყო იჭვი,
მერე იყო ქაქუცას რომ დაუდგი
ძეგლი,
აკვირდებდა ნახელავს შენსას -
კახიც, მეგრიც;
მერე ომარ ხაიამს გაუტოლე მხარი,
მერე რობაიები, რეკე დედო-ზარი.
მე რაც ვიცი, იმას ვწერ და ვარ
რისიც მოწმე,
საქართველოს უმთავრესს
მიუყვები პროსპექტს,
ვით ხატება ქართული ჯიშისა და
გორის;
ჯერაც მუხლი გერჩოდა და
მოგდევდა ღონე,
წუხდი, როგორც სარდალი,
გადაუხდელ ომებს,
თუმც, ვინ დაიტრიაბახოს, რაც
სიტყვები კრიფე...
ვაჰ, რომ ცულმა მიაგნო
მინიშნებულ წიფელს...
მურმან ჯგუბურია



მთვარისა კერესელიძე

ჩემი სალამი

სიხარულს უთქმელს, მოზღვავებულს, გულში ვერაფრით რომ ველარ იტევ, ჯებირს გადმოსულ მდინარეებს ვარდებს და ტიტებს... ფერად ოცნებებს, აფრებად გამლილს, რალაცას გრძნეულს... რომ ვერ აღწერ სიტყვით, კალამით, ატმის ყვავილებს - მოფრიალეს აპრილის ქარში დღეს უდიადესს - ჩემი სალამი! ჩემი სალამი შინდისის ვაზებს და სადღეგრძელოდ ავსებულ თასებს! ჩემი სალამი - სიყვარულით გაშლილ ყვავილებს და მზის დაირებს! ვინაც სიხარულს გულში გაივლებს, მაშვრალს რწმენას რომ აუნთებს სულში. იმედის თესლს რომ ჩააგდებს ხნულში... და უქართულესს იტყვის შაირებს! იმ ზეალმართულ იმედის თასებს და მაღალ კოშკებს - იფრიალებს სადაც ალაში, ჩემი სალამი! ჩემი სალამი - გაუშლელ ვარდებს, რომ გაგიქარვებს ტკივილებს, დარდებს, მზისაკენ განვიდელ უამრავ ხელებს, „ხელებს, რომლებმაც დახურეს ჭერი“, ხელებს, რომლებმაც მოქარგეს ველი, ხელებს, რომლებიც სიკეთეს შველის, ხელებს, რომლებიც მილიონ ფერის მზის ყვავილებს და სიხარულს ქარგავს, ხელებს, რომლებიც არვისას არ ჰგავს, ხელებს, რომლებიც აცოცხლებენ დაუმჭენარ ველებს... იმ კეთილ ხელებს - ჩემი სალამი! ახალ სახელებს თამთას და ლელას, ყველას, - ვინც ქვეყნის მომავალს კვერავს... ვინც არ მოსულა ამ ქვეყნად ჯერაც, ვისაც მამულის ხვალის დღის სჯერა, ვისაც მამული ეგულვის ჭერად, ყველას და ყველას, ალუბლებს ფერადს... ყვავილებს ფერადს, ველებს ფერადებს,

ვინც სადღესო ცას აფერადებს, - მოსპო წკვარამი, ჩემი სალამი! ჩემი სალამი აპრილის დღეებს, მაისის წვიმებს, ივლისის მზეებს, ვარსკვლავთა წყებას ახალ დღეების, ახალ მზეების წინ წამოწევას, მომავლის დღეებს - შორიდან რომ ბრწყინავს ალაშით, - ჩემი სალამი! ახალ სიცოცხლეს, ახალ სიხარულს, ულევ სიყვარულს - რომ ვერ აღწერს ენა, კალამი, იმ ნათელ დილას, რომ გაუძლებს ყველა გამოცდას და მზის ამოსვლას, - ჩემი სალამი! ჩემი სალამი ხვალის დიდებას, მზე ქართულ ცაზე რომ გაბრწყინდება... უჭკობ სახელებს, - ბექას, მინდიას, ვინაც მომავლის ხატად გვინთია, რომ გაგვინათებს დღეებს ბინდიანს, დღეებს, იმედის მზედ რომ გვინთია, დღეებს, რომლებიც მზისკენ მიდიან და მომავლის ჩვენის ხიდიან... ვინც გვასახელებს საქმით, კალამით - ჩემი სალამი! უკვდავებისთვის სულ რომ გვახელებს, იმ უკვდავ გმირებს, უკვდავ სახელებს... ხვალის იმედებს და მზის დაირებს, ჩემი სალამი - ატმის ყვავილებს... ნაირ-ნაირებს, როკებს, შაირებს, მილიონ ხმას და ათას სიკეთეს, ჩიტი რომ ხეზე ბუდეს იკეთებს და მზეს უგალობს... ყველას სიცოცხლე მიეც, უფალო! მილიონ თამთას, მილიონ ლელას, რომ გასწვდეს ცხრა მთას, რომ გასწვდეს ყველას, ვინაც ამ დღეებს ვარდისფრად ფერავს, ვინც ნამს აპკურებს ყვავილებს ველად, და ბედისწერად - უხმლოდ, უფაროდ დარჩენილ მხედარს, მომავლის მგზავრს და ადგილის დედას, ყველას და ყველას... მკითხველს და მწერალს, ყველას სიცოცხლე მიეც, უფალო! რომ ვარსკვლავები სულ ენთოს ცაზე, რომ გადავასწოთ გრიგალებს გზაზე, მზით სავსე თასებს... მილიონ მასებს... ჟრუანტელივით რომ დაუვლით უკვდავი წამი, - ჩემი სალამი! ჩემი სალამი ათას მაისებს, მზეს რომ თანაბრად გაითავისებს, ყველას, ვინც ქვეყნის მომავალს კვერავს, ყველას, ვინც ჭერქვეშ არ აქრობს კერას, რომ ააღვლებს დღეს და გაისებს, ყველას, ვინც ამ ლექსს გაითავისებს, გათიბული აქვს ვისაც წალამი, - ჩემი სალამი! ჩემი სალამი - წინანდლის ვაზებს,

სიყვარულით და მზით სავსე თასებს! ასებს, ათასებს, მილიონებს, იმ ხალხთა მასებს, საუკუნეს რომ გადააფასებს! ვისაც მარადის უფრიალებს სულში ალაში, ჩემი სალამი! ათას ბაკურის და ათას ბერას, ცა მიაჩნია რომელსაც ჭერად და საუკუნის ტყუილ-მართალი ერთგვარად სჯერა! ... და აი, ასე, ათასებს, მასებს იმედებით და რწმენით რომ გავსებს, ვისაც შარაზე უდგას მარხილი, ვისაც სულ ესმის ქვეყნის ძახილი, ნუკრის, თორნიკის, დავითის და საბას საუკუნეთა ვინც ჰყვება ამბავს... მაშვრალს იმედს რომ დაანეცს გზაზე და მამულისთვის სალოცავად ანუულ თასებს ვინც უკვდავების სასმისით ავსებს, გაშლილი მოაქვს ვისაც ალაში და საქართველოს ცის გაბრწყინებას, მზის მობრძანებას, - ჩემი სალამი! ვის უკვდავება მომავლის სჯერა, ვის მამულის ცა ეგულვის ჭერად! ვინც მარადიულ მომავლის გზაზე მზის სასმისებით ფიალებს ავსებს, ვინაც აცხია მამულს მაღამოდ, სწორედ მას უნდა მივესალამოთ! ვინც აფრიალებს ცას საალამოდ, ვინც უდიადესს გაგვანდობს აზრებს, ვინც წარგვიძვება მომავლის გზაზე და მომავლის სიცოცხლე სჯერა - დიდება ყველას! მზე რომ იცინის ცის საუფლოში და ეფინება ვაზებს მარადისს... ზღვებსა და როშებს, არ გასცვეთია მზის ქებაში ვისაც კალამი, და მზის ყვავილებს, ზეანუელ მამულის დროშებს, - ჩემი სალამი!

ფიქრობს ოდიში...

განფენილია ცისარტყელა - ვრცელი ზღვაური, ფიქრობს ოდიში, - არსაიდან საშველი არ ჩანს! არავინ გვიხმობს დარჩენილებს ენგურის კართან არც ჩუმი სევდით, არცა ხმაურით! აღარც ის ვიცით, შეგვიფარებს ხვალ ვისი კალთა, ან ხმალი მტერზე ვიღამ ალესოს? როგორ გაგვყიდა ვიღაცა ჩარჩმა, ვის რჩება ჩვენი ბალ-ბოსტნები, უზენაესო?!

არავინ არ ჩანს მოგვეფეროს, მოგვეალერსოს, საკუთარ თავთან მარტო ვრჩებით, ალბათ, მარადის. საიმედოც კი არავინ არ ჩანს - და ვიღაც უცხოის მიჰყავს „პარადი“ აღარსაიდან საშველი არ ჩანს! აღარ შრიალებს აბრეშუმი და აღარც ფარჩა! სადღაც შორს დარჩა კურთხეული ჩემი ოდიში, გაგვიორმაგდა დარდი და გარჯა, ვდგავართ შენს კართან - სამართალის და მზის ლოდინში... . . . განფენილია ცისარტყელად ვრცელი ზღვაური...

ნიკორწმინდა და გალაკტიონი ხილვა

დღე უღიმღამო ფერებით მოდის, თითქმის გასულა უკვე ზაფხული. მაღალ სარკმელთან დაეცა ბინდი და ნიკორწმინდის ცა, მოხატული. ისე მომინდა რამე ქართული და აგუგუნდა იქვე „ჩაკრულო“, სად ნიკორწმინდა, ცად აღმართული ზეცას გაჰყურებს... ცა იშმუშნება ნალაციცარი, მთვარე კი მაღალ ზეცით დაჰყურებს, ერთგვარად ნამავს ნამი ცინცხალი, ვარდკაჭაჭას და მინდვრის სამყურებს. დგას საუკუნის წყვილი საყურე, სადღაც ხეებში მოჰქუხს რიონი და ვარსკვლავიან ზეცას გაჰყურებს ნიკორწმინდა და გალაკტიონი.

პილატა

გადაიბანა ცოდვებისგან ხელი პილატემ და სარბიელი დაუტოვა ველურ „პირატებს“! სინამდვილეში დასასჯელი არ იყო ქრისტე, სინამდვილეში დასასჯელი იყო ბარაბა, მაგრამ სიმართლეს სათნოებით თუ უნდა მისწვდე, გამოიხურა სამართალმა მაშინ დარაბა! გადაიბანა ცოდვებისგან ხელი პილატემ! . . . ზურგის ქარია სანატრელი ქარი სატივე, ზურგის ქარია იასამნის და მიმოზების. ო, ღმერთო ჩემო, შენ შემინდე, შენ მაპატიე თუ სათნოებით და სიკეთით შევიმოსები... არ გისრულდება, თურმე, ქვეყნად რასაც ინატრებ. გადაიბანა ცოდვებისგან ხელი პილატემ...



დილარ ივარდავა - 80

80 წლისა შესრულდა გამორჩენილი ქართველი პოეტი დილარ (დილიკო) თომას ძე ივარდავა. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო დილარ!

ჩვენო ძვირფასო და საყვარელო თანამოქალაქე!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულითადად მოგესალმებიან თანამედროვე ქართული პოეზიის ერთ-ერთ კოლორიტულ წარმომადგენელს, მშობელი ქვეყნის ერთგულებით გამორჩეულ მამულიშვილს და გილოცავენ დაბადების 80 წლისთავს.

ექვს ათეულ წელზე მეტი გასულა მას შემდეგ, რაც თქვენი სამწერლო დებიუტი შედგა. 1957 წელს სრულიად ყმაწვილმა ჟურნალ „მნათობში“ გამოაქვეყნეთ თქვენი პირველი ლექსი „დიოსკურია“. „მნათობში“ - სავანე ნათლისაში დაბეჭდვა ჭეშმარიტ შემოქმედად აღიარებას ნიშნავდა და ახლა სრული პასუხისმგებლობით უნდა ითქვას, რომ არც თქვენთან მიმართებაში შემცდარა ჟურნალის იმჟამინდელი მთავარი რედაქტორი, ქართული პოეზიის აღიარებული მეტრი, ლიტერატურული ალღოთი და გემოვნებით გამორჩეული სიმონ ჩიქოვანი. თქვენ ხომ ამ პირველსავე ლექსში იწინასწარმეტყველეთ აფხაზეთის - საქართველოს ამ უმშვენიერესი ძირძველი კუთხის ახლანდელი ტრაგიკული ხვედრი, როდესაც ის ზღვაში ორივე მუხლით ჩაჩოქილ გოლიათს შეადარეთ. ამ ლექსმა მართლაც რომ გაუძლო დროთა მდინარეებს და მსოფლიოს ოცდაათზე მეტ ქვეყანაში ითარგმნა.

მას შემდეგ თქვენი ნაწარმოებები - ლექსები, მხატვრული თარგმანები, ესეეები სისტემატურად ქვეყნდება ქართულ სალიტერატურო პერიოდიკაში, გამოდის ცალკე ნიგებებად. ორმოცზე მეტი პოეტური კრებულის ავტორი ხართ, რომლებმაც სამართლიანად დაგიმკვიდრათ ადგილი ნამყვან ქართველ პოეტთა შორის.

თქვენმა პოეტურმა კრებულებმა, ისეთებმა, როგორცაა „ასე იწყება ლერწმის შრიალი“, „ღარჭემის ხმები“, „ჩუქურთმა ხეზე“, „ჟამი“, „თიბათვე“, „გაფრენილი ციცარი“, „ჟამი გოდებისა“, „ჟამი მოხდომისა“, „ჟამი განსჯისა“, „ჟამი ქმედებისა“, „ჟამი მწუხრისა“ ქართველი მკითხველის დიდი დაინტერესება და მოწონება დამისახურა, რადგანაც ამ კრებულებით მათ წინაშე წარსდგა საქართველოს ერთი გულანთებული პატრიოტი, საკურთხეველთან დაჩოქილი რომ შეღალადებს არსთაგამრიგეს მშობელი ქვეყნის გადარჩენას, ღმერთო, სამშობლოს ფარი უფარე ცათა შინა და სატანას ზედაო. ყველა-

ფრის მიუხედავად, მაინც გამოუსწორებელ ოპტიმიტად რჩებით და ვერავინ გადაგარწმუნებთ იმაში, რომ სამაჩაბლოს მუხაც და პიტიუნტის ბზაც სულ მალე ძველებურად ამოისუნთქავენ, დაიბრუნებენ ლაზათსა და ანდამატს...

საოცარი ხილვები გაქვთ. მართლაც რომ მხოლოდ ჭეშმარიტ შემოქმედს შეუძლია იმის დანახვა, თუ როგორ ეფერება ზღვა მისი ნატიფი ლურჯი ხელებით გაშლილი პალმების მწვანე სინაზეს, თუ როგორ ეცემა სირბილისგან გადაქანცული სიო სანაპიროზე მუხლებით, თუ როგორ ძინავს უცოდველ ყრმას დამსგავსებულ ფანტლებით განსპეტაკებულ უშბას ზეცის თაღებზე...

თქვენთვის ალავერდის დიდებული ტაძარი გედის წუხილია, კოლხეთი - მზის ამორძალი. ამიტომაც ძალიანაც გვსურს დავიჯეროთ, რომ ნოეს კიდობანში თქვენც იმყოფებოდით, რომ ზეთისხილის რტოს, მშვიდობის ნიშანს, თქვენც შეანიეთ ძალა მცირედი, რომ თქვენც აპურებდით ხორბლის მარცვლით მტრედს - გადარჩენის მაცნეს... თქვენს პოეზიას აქტიური მოქალაქეობრივი პოზიცია, ორიგინალობისკენ სწრაფვა, სათქმელის ნათლად გამოხატვის უნარი გამოარჩევს სხვათაგან.

თქვენი პოეზიის საუკეთესო ნიმუშები ითარგმნა ინგლისურ, გერმანულ, პოლონურ, რუსულ, აზერბაიჯანულ, სომხურ ენებზე; შესულია პოეზიის არაერთ ანთოლოგიაში.

თქვენი მშვენიერი თარგმანებით გაეცნო ქართველი მკითხველი ადამ მიცკევიჩის, ალექსანდრე ბლოკის, მიხეილ ლერმონტოვის, ანა ახმატოვას, მარინა ცვეტაევის, ტარას შევჩენკოს, მიკოლა ბაჟანის, პავლო ტიჩინას, იანკა კუპალას, ალექსი ლასურას, პლატონ ბეზიას, კოსტა ხეთაგუროვის და სხვათა შემოქმედების ცალკეულ ნიმუშებს. უნდა აღინიშნოს, რომ თქვენს მიერ თარგმნილ ადამ მიცკევიჩის „პან თადეუში“ სულ მალე ხელმეორედ გამოიცემა ბელოსტოკის სახელმწიფო უნივერსიტეტის (პოლონეთი) ხელშეწყობით.

ძალზე საინტერესოდ იკითხება თქვენი ლიტერატურულ-ბიოგრაფიული ესეეები ვიქტორ ჰიუგოზე, ო, ჰენრიზე, ერიკ მარია რემარკზე, პაბლო ნერუდაზე, ანტონ ჩეხოვზე, ალექსანდრე გრიბოედოვზე, ჰანს-ქრისტიან ანდერსენზე, მამა-შვილ დიმუბზე...

თქვენი მრავალწლიანი ნაყოფიერი შემოქმედებითი ღვაწლი ღირსეულად დაფასდა. მონიჭებული გაქვთ დავით აღმაშენებლის, მემედ აბაშიძის, გალაკტიონ ტაბიძის სახელობის, სსრკ კომკავშირის და საქართველოს კომკავშირის პრემიები. 1966 წელს იმდროინდელი საკავშირო „ახალგაზრდული პოეზიის“ კონკურსში, რომელშიც 32 ათასზე მეტი ახალგაზრდა შემოქმედი მონაწილეობდა, პირველი პრემიით დაჯილდოვდით.

თქვენი პოეტური ძალმოსილების დასტურია სულ ახლახან გამოცემული კრებულის „მძაფრი განცდებით“, რომელშიც გაცხადდა, რომ პოეტს, თუ ის ჭეშმარიტი შემოქმედი, ვერარას აკლებს წელთა სიმრავლე.

თქვენი მეგობრები გულის სიღრმემდე შეგვძრა თქვენმა „წარმართულმა ელევგებმა“, მარადიული სიყვარულისა და ერთგულების ჰიმნმა, რომლებიც თქვენი ცხოვრების თანამგზავრისა და მუხის, ანტონ

ფურცელაძის ღირსეული შთამომავლის, ქალბატონ ცირას ხსოვნას მიუძღვნით.

ბატონო დილარ!

კიდევ ერთხელ გულმხურვალედ გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს ძვირფას მეგობარს, დღეგრძელობას და მზეგრძელობას გისურვებთ ჩვენი საესავი ქვეყნის სადიდებლად.

საქართველოს მწერალთა კავშირი

დაუსჯრომალი სულის შამოქაედი

დილარ ივარდავა დაუცხრომელი სულის შემოქმედი, მაძიებელი, ამასთანავე - სხვისი შრომის დამფასებელი, რომლის გემოვნება სანიმუშოდაც შეიძლება ჩაითვალოს.

დილარის ერთ-ერთი პირველი და საუკეთესო ლექსი არის „დიოსკურია“, რომელიც დაკარგულ დიდებაზე სევდაა. ეს სევდა გასდევს მის ცხოვრებასა და შემოქმედებას, რომელსაც ვერ ფარავს შფოთი, ხმაური, მაჟორი და ხალისი.

დრომ კიდევ უფრო გაამძაფრა პოეტის სიმძიმელი, რომლის დაძლევა, რომლის არეკვლა, არის ლექსი, ესე, პუბლიცისტური სიტყვა.

დილარ ივარდავა ცხოვრობს და იღწვის, როგორც შეშვენის ნამდვილ პროფესიონალს. იგი მუდამ არის ლიტერატურულ სიახლეთა კურსში, ცოცხლობს სიტყვით და სიტყვისათვის. შეიძლება ეს იყოს გაფლანგული დროის შევსების ცდაც. ამიტომ ეს მოგზაური და ღვინის გადაყოლილი კაცი დღეს დასვენების ნებას არ აძლევს თავის თავს.

ღმერთმა ხელი მოუშაროს.

სოსო სიგუა

გულგართალი ქოშობიდან გამოძინარი!

მოუღლელობა დრომ, ყოვლისმომცველმა სივრცემ, ურთულესმა გარემომ, ძლიერმა, ბრძნულძარღვიანმა პოეზიამ, ადამიანურმა უდრეკმა დამოუკიდებელმა სულმა და ირგვლივ ვარსკვლავეთურმა ენერგიამ იბოხოქრა შენში. ამ ფორმა-სახის ცხოვრება - შემოქმედებითი გზის გავლისას ბევრი დიდება, სიამე იგემე და მრავალი ურვა-სევდაც გეახლა. ამასობაში გარდაუვალი ღვთითადალოცვილი 80 წელი კანონიერად მოგიშინაურდა, უთუოდ უკვდავო ხელოვანო, კეთილად შორეული, მაღალი მომავლის ნიშნებით.

გილოცავ, ჩემო დილარ, ულამაზესსა და დიდებულ ამ თარიღში მოქცევას. ნათლად მჯერა, იმდაგვარი ჯიმ-ჯილაგის ბრძანდები, ჩვენს ღირსეულ შემოქმედებითი მიღწევებით დახუნძლულ 100 წლისთავსაც იზეიმებს ბრძენი პატრონი - ერი და კუთხე საყვარელი, რომლის გულანთებული პატრიოტი და მოყვარული ხარ. გჯეროდეს, როგორც შენი შუქ-მრავალი პოეზიის თაყვანისმცემელი, მაშინაც ზეცის სიღრმეებიდან სიყვარულ-სიამაყით შემოგეხმინები და ამინ...

შენი რეზო ადამია

ყაყაჩოაზი ჩხენი სიყვანვილის ყანაში

ზოგჯერ პოეზია ცხოვრებას, ხოლო ცხოვრება პოეზიას ემსგავსება. სწორედ ამდაგვარია დილარ ივარდავას ყოფა და შემოქმედება - ისინი ერთმანეთში ბუნებრივად გადადიან, ძალდაუტანებლად ერწყმიან ერთმანეთს და ეგ ისე ფაქიზად ხდება, იტყვი: ასე ბუნებრივად და მშვიდად ხეკორძულა უერთდება მტკვარსაო! ქართული სიტყვის ფესვებთან მწოლი მისი იმთავითვე გულქართლი ფრაზა პირველივე პოეტურ კრებულშივე მძლეთ წამოიმართა ჩვენ წინაშე და მგოსნურ ხმაზე აშრიალდა. ასე დაჩნდა მის პირველ და მომდევნო კრებულებში ღონიერი და გონიერი თქმები, მოულოდნელი სახეები, ცალკეული მიგნებები და ყაყაჩოს სინთლესავით თვალმომტაცი ლექსები, რომლებშიც ავტორი მალღდება მინაზე მცოცავ რეალიზმსა და ნაცრისფერი ყოფიერების პროზაზე. მართლაცდა, რა გვირდა ამ უამურ და მდაბალ რეალობაში, როდესაც არსებობს მეორე მყოფობაც - უფროე ამალღებული, უფროე ფერადი და ზეაღმტაცი.

ამ ერთობ ამალღებულის, ფერადისა და ზეაღმტაცის ხელმარჯვე მეზადურია 80 წელს მიტანებული ჩვენი მესიტყვე. მისი ყოველი მომდევნო წიგნის კითხვისას ასე მეჩვენება, თითქოსდა ჩემი ყმანვილკაცობის ყაყაჩოებიან ყანაში შევდიოდე, რომელიც გრძნულ ხელს საკუთრივ ჩემთვის და მხოლოდ ჩემთვის დაუხატავს:

თითქოს აქ იყო დიდი მხატვარი და შეუხამა ფერები ფერებს; დახატა ყალმით, ირგვლივ რაც არი, და, რომ დახატა, წავიდა მერე. ათასი ფერის შუქი ჩამტყდარი ააბრჭყვიალეხს ვერცხლისფერ ღელეს, თითქოს აქ იყო დიდი მხატვარი, დახატა ტყე და წავიდა მერე.

არ მიყვარს წასვლა!

მენიაზება მოსვლა!

ოლონდ ესეც ვიცი: მოსვლა - წასვლა ერთმანეთზე აუცილებლობის ჯაჭვით არის გადაჭდობილი.

ამჟამად კი მოდი, მო, ჩემო მეგობარო, და შეისმინე ჩემი მომართვა, ეგების უკანასკნელიც კი:

შენ, ჩემო ძვირფასო ძმაო და პოეტო, მუხლჩაუხრელად ატარე ორმაგი ტვირთი - ტვირთი ერისა და ყოფიერების ტკივილებით გულდამძიმებული კაცისა და ტვირთი პოეზიის საოცარი ზღაპრებით გულდაამებული პიროვნებისა. და ჩემი შუბლიც, დაკოცნილი მერაბ კოსტავასაგან, სასწაულივით ელოდება შენს პოეტურ ამბორს, გამოხატულს ხვალ - ზეგ დაწერილი მომდევნო ლექსი - შედევრით, როგორიც არის, მაგალითად, საყოველთაოდ ცნობილი „დიოსკურია“.

მურმან თავდიშვილი

მზიური აფციაური

ქალა სინფინდისა და სინოცხლისა

2020 წელს რეალურ სამყაროს მოვევლინა: საქართველოს სახალხო მწერლის, ქართული ლიტერატურის კლასიკოსის, რუსთაველის პრემიის ლაურეატის რევაზ მიშველაძის რომანი „ქრისტე“. წიგნი - ყველასათვის საყვარელი, ხელდახელ მისაწვდომი, მსოფლიო კულტურის საცნობარო, ენის ასადგმელი - ბიბლიის, არათუ სამაგიდო, გულის ჯიბით სატარებელი და ახალი აღთქმის „დედა ენა“ - „ქრისტე“ ანუ მეხუთე სახარება.

წიგნი ჩვილობიდან სიბერემდე საკითხავი და სასწავლებელი, ყველასათვის ყოველ ნაბიჯის გადადგმაზე მისადევნებელი, გზის გამსწვლელი, ცხოვრების სინამდისა და სიმაართის მაცნედი იქნოს „ათი მცნების“ მქადაგებელი და დამამკვიდრებელი ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანისათვის და არა მარტო მათი, არამედ ყველა მორწმუნე, კრისტალურად სუფთა რწმენით განწმენილი ადამიანის არსებობისათვის, ვისაც ცხოვრება იმ იდეალად წარმოუდგენია, რომელსაც დასასრული არ აქვს...

ბატონ რევაზ მიშველაძის წიგნი - „იესო“, რომელსაც სახარებისეული „დედაენა“ ვუწოდებ მანძილს, როცა ქართველმა კოდნის მისაღებად ჩვენმა უდიდესმა მეცნიერმა, იაკობ გოგებაშვილმა ენის ასადგმელად და სწორედ უფლისაგან მოძღვნილი ცხოვრების სანყისის შესასწავლად „დედაენა“ შეგვიქმნა, რომელმაც ფეხი აგვადგმევინა ყველა თაობას (და კვლავ აგრძელებს მას) და ცხოვრების უმაღლეს ფაზას მიგვადგვინა, სათავე, სწორედ ქრისტეს ახალი სახარებიდან მიიღო.

„ქრისტე“ სულიერი მოძღვრების „ბიბლიის“ დიდი ვარსკვლავური წარმონაქმნია - ბავშვის, მოზარდის, თუ მცოვანის ერთადერთი სარწმუნო რწმენის - ცხოვრების სიყვარულის სათნოეთით ასაშენებლად, როგორც ამას თვით ქრისტეს „სახარება“ და უდიდესი მწერალი - უფლისა და ხალხის მონა-მორჩილი, ბატონი რევაზ მიშველაძე გვასწავლის თავისი მსუბუქი, ყველასათვის შესატყვისი, მისაწვდომი და გამობრძმედილი ენით.

მწერლის საოცარი, მეტად მიმზიდველი, ნაზი, მსუბუქი ემოციურობაშეპარული გამოწვევათქვაშეხი (წიგნს) რომანს თავის ფილოსოფიურობასთან ერთად, დიდი სიბრძნის სინამდისით აღქმის პირდაპირ თავისუფლებას ანიჭებს.

„ბიბლია“, ეს ხელისხელსაგოგამანები სიბრძნე ერისა, ერად ჩამოყალიბების დიდი წინაპარი, უფლის მიერ მოძღვნილი კანონმდებლობა ყველასათვის. სისპეტაკე - მორწმუნე, სპეტაკი სულისათვის, რამეთუ სული ყველასათვის მიძიება, ვიდრე სხეული და რეალური არსებანი ჩვენს სულს უნდა დავეხმაროთ, რათა აღმსუბუქდეს და თავისუფლად იღვანოს ზეშთაგონებით, რათა მივაღწიოთ თავისუფლებას, სიმშვიდეს და სითბოს ყველასა და ყოვლისათვის, რომ შევქმნათ მსოფლიო კულტურის ახალი ცხოვრებისეული სტილი და უკვდავყოთ ახალი სულიერი აღმოჩენებით, რეალურ-მატიერიალურ თუ იდეალურ-იდილიურ სამყაროში...

გვიტხოვლობ რომანს „ქრისტე“ და ბევრ ცხოვრებისეულ პარალელს ვხვდებით.

სიმბოლურია რამეთუ: „მოგვთა შვიდაქლემიანი ქარავანი წელა მიიწნოდა...“

„გამოცხადება“-ში იოანე ღვთისმეტყველი ამბობს: „შვიდნი ლამპარნი ცეცხლისანი იწუებოდეს წინაშე საყდარსა მისსა, რომელნი არიან შვიდნი იგი სულნი ღმრთისანი“.

იოანე ღვთისმეტყველი (4,5)

პავლე მოციქული ბრძანებს: „...მადლითა ხარტ გამოხსნილი სარწმუნოებისა მიერ და ესე არა თქუენგან, არამედ ღმრთისა ნიჭი არს“. სულიწმინდის მადლი საიდუმლოდ გარდამოვიწინება მორწმუნეებზე ეკლესიის შვიდ საიდუმლოში: ნათლისღებით, მირონცხებით, სინანულით, ევქარისტიით (ზიარება), ქორწინებით, მღვდლობით, ზეთის კურთხევით... ამ საღვთო საიდუმლოთა მიღმა უხილავად და საიდუმლოებითად მოქმედებს ღმრთის მადლმოსილი ძალა.

უფალი ჩვენი იესო ქრისტე ბრძანებს: „ითხოვით და მოგეცეს თქუენ; ეძიებდით და პპოვით; ირეკდით და განგელოთ თქუენ, რამეთუ ყოველი რომელი ითხოვდეს, მოიღოს და რომელი ეძიებდეს, პპოვოს და რომელი ირეკდეს, განელოს...“

(მათე, 7,7-8)

ბიბლიიდან ვიცით, რომ „7“ რიცხვს აქვს დიდი სულიერი და ღვთიური ძალა. ამიტომ ყველამ უკლებლივ უნდა შევასრულოთ დღის განმავლობაში 7-გზის ლოცვანი.

ტრაპეზის აღმოსავლეთით დგას შვიდსანთელა-შვიდტოტა ლამპარი - „...შვიდნი ლამპარნი“ ცეცხლისანი... რომელი არიან შვიდნი იგი სულნი ღმრთისანი“.

გამოცხადება (4,5)

შვიდსანთელა სიმბოლურად აღნიშნავს სულიწმინდის მადლს, რომელიც მორწმუნეებზე გარდამოვიწინება ეკლესიის 7 საიდუმლოში. შვიდსანთელას უკან აღმართულია ჯვარი.

წაწარმოებში ვკითხულობთ: „მეუდაბნოეთათვის მზე ერთადერთი ორიენტირია“ - ესეც სიმბოლურია, რამეთუ მზედ უფალი იგულისხმება.

უდიდესი ფილოსოფიური სიბრძნე გამოსჭვივის ბიბლიის „დაბადებასა“ და იუდეის მეფის - ჰეროდეს მიერ ხალხის აწიოებაში, რომლისთვისაც მწერალს აუცილებელი პარალელი გაუვლია და ეს მძიმე განცდა ერთ სურათად წარმოუდგენია. წაწარმოებში მთელი სიბრძნით და ნათლად არის წარმოდგენილი იესოს მიერ მოსეს სიბრძნის განმარტება და მის კვლავ გაზრდილი კაცობრიობის ღვთის გზაზე შემობრუნების იესოსული გაძლიერის სარწმუნო შეგონებანი იგავების სახით და საკუთარი სულის განწმენდის შესაძლებლობით აღიარება; დაფიცების აკრძალვა და მტრის სიყვარულის სწავლა; იესოს დახასიათება და მისი წინასწარმეტყველური მშვიდი ჭყრეტა...

იოანე ნათლისმცემლის სინოცხობა და მონანიება ცოდვებისათვის: ნათლობა იორდანეში - სულიწმინდის გადმოსვლა იესოზე. უფლის უდიდესი მაგალითი კაცობრიობის წინაშე და ღმერთის ზეციური ხმის მოსმენა - ირეალური სამყაროს რეალური რწმენით გამსჭვალული ღვთიური სიტყვის სიბრძნით წარმოთქმა - წარმოდგენა...

ჰეროდესა და ჰეროდისა - ამ ბოროტების სიმბოლოების გამოვლენა და ბრძოლა მათი უხამსობის წინააღმდეგ.

სასწაულებრივად, მთელი თანამედროვე სიმართლით განმარტავს მწერალი თომას კითხვას ღვთისადმი: (წაწყვეტი რომანიდან)

- „შენ ამბობ, რომ ყოველი ქმედება ღვთის ჩაგონებით ხდება?“

- ჰო.

- თუ ასეა, რატომ ჩააგონა ღმერთმა ჰეროდეს იოანე ნათლისმცემლისთვის თავის მოკვლა?“

ქრისტე არაფერი უპასუხა.

იგი წყალს ჩასცქეროდა და თითქოს წყლის გასაგონად ჩაილაპარაკა:

- უმიზეზოდ ხეს ფოთოლიც არ შეერხება, თომა.

- იოანე ნათლისმცემელი ებრაელობას ცოდვათა მონანიებისაკენ მოუწოდებდა. ასეულებს წყლით ნათლავდა და სიკეთისაკენ შემობრუნებას ასწავლიდა. თავისთვის გამოქვაბულში ცხვრობდა, ვეღური თაფლით და კალიებით იკვებებოდა, ვის რა დაუშავა?

- თომა, იოანეს თავი იმიტომ მოჰკვეთეს, რომ მე მთელი სიცოცხლე მეგლოვა მისი გაარდასვლა ამ ქვეყნიდან და კიდევ იმიტომ, რომ შენ მოსულყავი ახლა ჩემთან და ეს კითხვა დაგესვა.

- ეგ მიზეზი ძალიან ცოტა საზღაური ხომ არ არის პატიოსანი კაცის მოკვეთილი თავისთვის, რაბი?

- ცოტა როგორ არის, თომა, იცი თუ არა, რომ იოანე ნათლისმცემელზე დღეიდან ათასწლეულები ილაპარაკებენ.

თვით იოანეს წინაშე რომ არ დამდგარიყო ასეთი არჩევანი, იგი უყოყმანოდ დასთანხმდებოდა თავის მოკვეთას.

- რღაც არ მჯერა, იესო, მე მართალია, ურწმუნო თომა შემარტევი, მაგრამ ამ ჩემს ეჭვებს ხშირად გონიერი მიზეზი აქვს და შენ იმისთვის ხარ ჩემი მოძღვარი, რომ გამაგებინო?

- რა გაგაგებინო?

- არ დამიბალო, იესო, კიდევ რამე სხვა ძალა ხომ არ მოქმედებს სამყაროში, რომლის წინაშე ღმერთიც უძლურია?

- ჩუ, ეგ არსად წამოგცდეს, თომა, იცი, თუ არა, რომ რაც ახლა მითხარი, ღვთის გმობაა?

- ღვთიურ ჭეშმარიტებაში ეჭვის მოტანა გულშიც არ გამოივანი, რაბი, მაგრამ შემეცი ნება, ვიფიქრო, რომ იოანე ნათლისმცემლისთვის თავის მოკვეთა არ იყო უზენაესის სურვილი.

- იყო, იყო, თომა, ამით ღმერთმა სამუდამოდ ახადა ნიღბი ჰეროდეს და სამუდამოდ შეაძულა კაცობრიობას არა მარტო ჰეროდე, არამედ საერთოდ ბოროტება და ძალმომრეობა.

- ამისთვის იქნებ სხვა გზა აჯობებდა.

- სხვა გზასაც არაერთგზის მიმართავს ღმერთი, თომა, მაგალითად, უკვე დაწყებულია სისხლისმღვრელი ომები, ძმა ძმისკენ წაიწვეს ზოგჯერ და შვილი მამისკენ. ამგვარი სისხლისღვრა კაცობრიობას ჭკუის სასწავლებლად სჭირდება. დიდიომის მერე ცოტა ხანს კვლავ ჩამოვარდება მშვიდობა და როცა ქარქაში და-

უნგებას იწყებს მახვილი, როცა მოქალაქეებს მოსწყინდებათ მშვიდობა, როცა გამრავლდება ცოდვები, ღმერთი კვლავ დარეკავს ზარს და მოუვლენს უკვე სხვა თაობას ჭკუის სასწავლებელ სისხლიან ვაკხანალიებს. შენ როგორ ფიქრობ, თომა, დროდარო მინისძერები რისთვის არის?

- ვერ გეტყვი, - დაიბნა თომა.
ამონარიდი წიგნიდან „ქრისტე“.

ეს და ამგვარი მწერლისეული მხატვრული შეპირაპირებები ბიბლიასთან, რომანის ღირსებას ამძლეებს, რადგან ნათლ ფერებში და გასაგებ ენაზე დაწერილი ფურცლები ადვილად გასაგებს ხდის წაწარმოების შინაარსს, საჭოჭმანო საკითხებს:

- „უთხარი მაგ გონებაბრძობილს, ფილიპე, რომ მკურნალი ჯანმრთელებს კი არა, ავადმყოფებს ჭირდება, - თქვა იესომ.

„არ დაპირდე და თუ დაპირდები, შეუსრულე კიდევ“.

„არავინა თვალთმაქცზე და ორპირ კაცზე უფრო საცოდავი, რამეთუ მისი გზა პირდაპირ სვლით ჯოჯოხეთისკენ მიდის“.

უფალმა დედამიწაზე ყველასთვის ყველაფერი შექმნა, მაგრამ გონიერება> - ყველაზე მეტად ჭიანჭველათა ყოფასა და საქმიანობაში გამოიხატა:

- „რა ღვთიური სიმწყობრეა, ყველამ თავისი ადგილი, თავისი გზასავალი იცის...“

- „რა ერთგულად მიჰყვებიან ერთმანეთს...“

- „რა მონიერებით ხედებიან და ცხვირს ცხვირზე მიდებთ ესალმებიან...“

- „რა კეთილად ემბარებთ თანამომქმს, რომელსაც იმოდენა ტვირთი აუკიდებია, მის ძალას რომ აღემატება. აი, ჭეშმარიტად ღვთის მწერები. რამდენი გვაკლია ადამიანებს აქამდე...“

ფიქრობდა ქრისტე“.

რა დიდი ფილოსოფია ჩაუდევს მწერალს უმწო ჭიანჭველებსა და მარიამ მაგდალინელის გულწრფელ აღიარება-მონანიებას შორის - ეს ხომ რეალური ცხოვრების ყოველდღიური ტანჯვა-წამების სრული სურათია, რომლის გამო კაცობრიობას ცოდვები დასცემია და გამოხსნა უჭირს...

უფალმა დამაშავედ სცნო მარიამ მაგდალინელი, მაგრამ ხელი აღმართა და მდევარს მიმართა: - ებრაელნო, მე ამ ქალის პატიებას არ მოვიტხოვ, იგი ჩაქოლვის ღირსია, ოღონდ, ვისაც არასოდეს შეუცოდავს, პირველმა იმან ესროლოს ქვაო“.

უდიდესი თავშეკავება გამოიჩინა იესომ მაგდალინელის ხელების შეხებისას და მაშინაც კი, როცა სიყვარულში გამოუტყდა იგი ქრისტეს...

- „ჩემი თავი მე არ მეკუთვნის, მარიამ, სულ სხვა ცხოვრებისათვის მომიწინადა უფალმა“.

ეს ფაქტი - უდიდეს ხორციელი სიყვარულის უარყოფა სულიერი სინამდის ზეშთაგონება, რისთვისაც მეძავი ამაღლდა უხრწნელად და უცოდველად ღვთისმშობლის მსგავსად. რომანში ბევრი დრამატული ასპექტია მწერლის მიერ თანამედროვეობის ფონზე გაცოცხლებული და წმინდა სულიერი ორიენტაციისაკენ მიმართული, რომელიც წვდება მკითხველის აზრსა და არსს.

...და ყოველგვარი სიკეთის კეთების შემდეგ იესო მაინც სინდრიონის წინაშე წარდგა.

- „რატომ გაყარე ტაძრიდან მოვაჭრენი და ფულის გადამცვლელნი?“

- იმიტომ, რომ ტაძარი ღვთის სახლია.

- განა ისინიც ღვთის შვილები არ იყვნენ?

- იყვნენ, მაგრამ უღირს საქმეს სწადიოდნენ.

- განა ღვთის ნების წინააღმდეგ წასვლა არ იყო, დიდიდან საღამომდე ავადმყოფებს რომ მკურნალობდი: ის ბრძანი ხომ ღმერთმა დააბრძავა, ის მუნჯები ხომ ღმერთმა დაამუნჯა, ესე იგი, ასე იყო საქმე. ვინ გკითხავდა, ღვთის მიერ დაკონინებულ ნესრეგში რომ ეროდი?

- მე იმით ვმკურნალობდი, ვინც კაცთა ცოდვების გამო გაუბედურდა.

- არ ხარ გულწრფელი. შენ ამას აკეთებდი თავის გამოსაწენად, განდიდების მიზნით.

- რა მსურდა, თქვენი ჭკუით?

- გინდოდა ყველას შეეძინე, ყველა მორჩილებაში გყოლოდა, ჩვენთვის მრეველი წაგერთმია და მერე ჩვენს ტახტზე, მღვდელმთავართა ტახტზე დამჯდარიყავი.

- ეს თქვენ იბრძვით, მსაჯულნო, თავის გამოსაწენად, ეს თქვენ შეჰყურებთ შურით ერთმანეთს და ფეხის დადებით, მლიქვნელობით, დასმენით წინ მიიწვეთ ერთმანეთის გვაგებზე გადაბიძებით.

- ვისმინოთ, მოშიარე, დღეს აქ ღვთისმგმობელისაგან ჩვენი ლანძღვა-გინება?!

ლანძღვად იმიტომ მოგეჭვენათ, რომ სიმართლეს ვამბობ, ხოლო სიმართლე ზოგჯერ მწარეა...

- გამოვუტანოთ განაჩენი!..

- ვიცი, რა განაჩენიც გაქვთ გადაწყვეტილი, მაგრამ პირდაპირ გეუბნებით თქვენ, ეს განაჩენი ჩემი კი არა, თქვენი განაჩენი იქნება!

და სინდრიონმა განაჩენი ვერ გამოიტანა. შეშინდნენ“.

ეს და მრავალი სხვა მხატვრული განზოგადება ბიბლიისეული სიბრძნისა, ავტორის გენიალობაზე მიუთითებს, რამეთუ დადგა დრო, პირდაპირ ჩახედო კაცობრიობას თვალეში და უთხრა: - მხოლოდ ღმერთია ჩვენი პატრონი, ჩვენი მშველელი და არ შებღალო მისი სინამდისე... მწერალი თავის შემართებით ყოველთვის სამწერლობო ასპარეზის წინა ხაზზე დგას. იცის ბრძოლის გაძლიერება და არასოდეს დაიხვეს, არასოდეს უჩვენებს ზურგს ათასგვარ იჭენარე შეძახილს და თამამად უსწორებს თვალს უსულგულო ბრბოს ბოძებს.

მე-19 საუკუნის სახელგანთქმული მეცნიერი და მეისტორი ერნესტ რენანი, რომელმაც დაწერა „ცხოვრება იესოსი“, (რომელიც მხოლოდ ერთი კარია ორმოცტომეულისა) ფარდას ხდის ჩვენს სარწმუნოებრივ ცხოვრებას და ჭეშმარიტად დიდებულ, უმნიველო სახეს გვიჩვენებს ქვეყნისათვის, ხალხისათვის თავდადებული იესო ნაზარეტელისას, რეალური ღვთაებრივი პიროვნებისა, „ხალხის გულიდან ამოხეთქილი ხალხის თავისუფალი სულისკვეთების პირმშოსი...“ (ე. რენანი).

„ქრისტიანობა პირველი გამარჯვება იყო სარეველოვციო მოძრაობისა, პირველი ლელო ხალხის გრძობისაგან გატანილი, პირველი თავყანისცემა იყო მშვენიერებისადმი. როგორც კი ხალხს ესმა ეს მშვენიერება, ძველებურ არისტოკრატიულ გემს, იესომ გვერდი შეუწვრია და დახვეწებულთა საზოგადოებაში ახალი ჰაერი დაატრიალა“ (ერნესტ რენანი).

ყოველგვარი დოგმატების უარყოფილი ქრისტიანობა ნავსაყუდარია სინდისის თავისუფლებისა, რასაც იესო მის მიერ ჩამოყალიბებულ სახარებაში ქადაგებს: „სასუფეველი ცათა, როგორც ჩვენ გვესმის, დიდად განსხვავდება იმ ზებუნებრივ სასუფეველისაგან, რომელსაც პირველი ქრისტიანები მოულოდნენ, მაგრამ თვით გრძობა კი, რომელზედაც დაამყარა იესომ თავისი მოძღვრება (მოსეს მოძღვრება), ჩვენი გრძობადაა.“

მისი იდეალიზმი უმაღლესი საზომია წმინდა და სიკეთით აღსავსე ცხოვრებისა. მან შექმნა ახალი ცა, დაასახლა იგი უმანკო სულებით, რომელნიც გაქცევიან ამქვეყნიურ ბოროტებას (როგორც 9 მარტელები, როგორც 9 აპოლოლები და ბევრი სხვანი მსოფლიოში) მიწიერი გულისტქმით, გამხდარან ღმერთის შვილებად და თავისუფალნი არიან, ვით თვით ღვთაება, ვით აზრი ადამიანისა!.. დაე, თანამედროვე საზოგადოებამ სდევნოს თავისუფლება, დაე, ნუ დაიჯერებს, რომ იგი არსებობს... იესოს მოძღვრება, მისი სარწმუნოება ოდესმე გამოაფხიზლებს გულამღვრულ კაცობრიობას. იესომ მისცა კაცს სარწმუნოება, როგორც სურათმა ფილოსოფია, არისტოტელემ მეცნიერება“ (ე. რენანი)...

თუმცა ამ ფილოსოფოსთაგან განსხვავებით იესოს მოძღვრება განვითარებდა და თვით თვითმეტი (მონაფე), ის ყოველთვის მოუწოდებს გაავრცელონ და გააფართოონ მისგან დაწყებული საქმე დაუსრულებლად და დიდება ეკუთვნის მას, ვინც დიდ საქმეს პირველი საძირკველი დაუდო.

სწორედ ასეთ ადამიანად მიმაჩნია გენიალური მწერალი და საზოგადო მოღვაწე რევაზ მიშველაძე და მისი რომანი „ქრისტე“, რომლის უპირველესი დანიშნულებაა აღზარდოს ადამიანები (დაბადებიდანვე) სრული თავისუფლებითა და იესოს მიერ სიყვარულითა და სათნოებით, რომლის ამოსავალ ნერტილად მხოლოდ სიკეთე ითვლება და რომელიც აუცილებლად იმარჯვებს შუთითხნილ ბოროტებაზე, სახავს იმ პროგრესულ გზას, რომელსაც ქრისტიან რწმენის ანუ რეალური ცხოვრებისეული მართალი და სამართლიანი ბრძოლით მოპოვებული გზა ჰქვია და რომლის სანინდარია სინამდისე გრძობისა, რაც ადამიანებს გააჩნიათ და არ უნდა მერყენან ის.

მე შემოიღა პარალელი გავაგლო, როგორც ერნესტ რენანის, ფრანგი მწერლისა და მეცნიერის, ისე ლუდვიგ ფოიერბახის - „ქრისტიანობის არსება“ (გერმანელი) და რევაზ მიშველაძის „ქრისტეს“ შორის ღმერთის - იესოს, როგორც პიროვნების არსის ცნობიერებაზე, რომელსაც მარადიულობამდე მივყავართ და ასეა ყველა ქრისტიანულ წიგნებში წარმოდგენილი.

ჩვენი, როგორც მართლმადიდებელი ქრისტიანების ვალია: ვიყოთ ჭეშმარიტი ადამიანური თვისებებით აღჭურვილი ადამიანები და დავამკვიდროთ სამყაროში განვითარებადი, კეთილგონიერი ქრისტესმიერი პროგრესი მარადიული ცხოვრებისა, რომლის „დედაენა“-და დასაბამად სახარებიდან ნაქადაგები თანამედროვე მწერლის და ქართველი მოაზროვნის ბატონ რევაზ მიშველაძის წიგნი - რომანი „ქრისტე“ მივიჩნიე.



ნანა დარჩიაშვილი – 80

80 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი საბავშვო პოეტი ნანა ნიკოლოზის ასული დარჩიაშვილი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ქალბატონო ნანა! ჩვენო ერთგულო კოლეგავ! საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულთბილად მოგესალმებიან მხცოვან შემოქმედს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში - დაბადების 80 წლისთავს.

სრულიად ნორჩმა გადადგით პირველი ნაბიჯი შემოქმედებით სარბიელზე. 1951 წელს გაზეთ „ნორჩი ლენინელში“ გამოაქვეყნეთ ლექსი „სკოლისაკენ“. მას შემდეგ თქვენი საბავშვო და ლირიკული კრებულები პერიოდულად ქვეყნდება ჩვენს სალიტერატურო პერიოდიკაში, გამოდის ცალკე წიგნებად.

ქართველი მკითხველი გიცნობთ, როგორც საბავშვო პოეტს, რომელსაც ზედმინვენით ზუსტად აქვს გასიგრძე-განებული მოზარდი თაობის სულიერი ფორმირების მნიშვნელობა და, რა გასაკვირია, რომ თქვენი საყმანვილო პოეზიის კრებულები, ისეთები, როგორცაა „ნიკუშა“, „ზღაპრული სკივრი“, „ჩემი სამშობლო საქართველო“, „ანბანის საუფლოში“, „აი ია“, სწორედ ამ სულისკვეთებითაა გამსჭვალული. ამიტომაც ისწრაფვით იმისკენ, რომ თქვენმა ლექსებმა პატარებს ჩაუნერგოს სამშობლოს სიყვარული, მისთვის თავდადების გრძნობა, აღზარდოს ისინი ქვეყნის ჭეშმარიტ პატრიოტებად...

ამავე დროს თქვენ ჩინებული ლირიკოსიც ბრძანდებით, რისი დასტურიცაა თქვენი ლირიკული ლექსების კრებული „აფრენილი ტუსალები“, რომელშიც დაივანა სამშობლოს ბედითა თუ უბედობით გულგასენილი შემოქმედის მართალმა და გულმიწამწვდომმა ლექსებმა... არაა შემთხვევითი, რომ პატრიოტული პოეზიის ანთოლოგიაში თქვენმა ლექსმაც დაიდო ბინა.

თქვენ საინტერესო ცხოვრებისეული გზა განვლეთ. მუშაობდით არაერთ დანესებულებაში და ყველგან პირნათელი იყავით თქვენი ღმერთისა და სინდისის წინაშე, რედაქტორობდით თქვენს მიერვე დაარსებულ საყმანვილო ჟურნალ „წყაროსთავალს“, რომელსაც მუდამ სიამოვნებით კითხულობდნენ ქართველი ბავშვები, არჩეული იყავით გლდანის რაიონის ქალთა საბჭოს წევრად...

თქვენს ჯილდოებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემიას და იაკობ გოგებაშვილის საზოგადოების საპატიო სიგელს.

ქალბატონო ნანა! კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს ღვანლმოსილ შემოქმედს, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და შემოქმედებით წინსვლას გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი

ჰანთოვის ოთხმოციც არაფარია

ქალბატონო ნანა, იაკობ გოგებაშვილის უკვდავი, შეუცვლელი „დედაენის“ გვერდით მიდევს შენი ორი წიგნი „აი ია“ და „ანბანი საუფლოში“. ამ წიგნებით ვასწავლი ჩემს შვილთაშვილებს - რეზიკოს და იოანეს წერა-კითხვას.

შენ, შიო მღვიმელის კვალზე მავალმა, მაცვალა მრევლიშვილის, ილია სიხარულიძის და გივი ჭიჭინაძის თანამოკალემ უკანასკნელ ათწლეულებში უდიდესი სამსახური გაუწიე ქართულ საბავშვო მწერლობას და ყრმათა ქართველად მოქცევის უკეთილშობილეს საქმეს.

ოთხმოცი წელი ცოტა როდია, მაგრამ შენისთანა, ნიჭით და ენერჯით სავსე, მკვირცხლი გონებისა და ბაღალთა მესაიდუმლე ქალისთვის ცხოვრების ნახევარგზასაც არ ნიშნავს.

დიდებული მექართულე, ექსპრომტების დიდოსტატი, ჭეშმარიტი პროფესიონალი, სიკეთით აღსავსე, შენი სამშობლოს დაუღლეელი ქომაგი და მეზიარახტრე - ასეთი ხარ შენ თანამედროვე და ხვალისდელი საქართველოს წინაშე ვალმოხდილი პოეტი ნანა დარჩიაშვილი.

დიდხანს გველოს, ძვირფასო ნანა, შენი საყვარელი პატარა მკითხველების ფერხულში ჩამდგარს ქართული საბავშვო მწერლობის უძნელეს გზაზე.

პირბადეს მალულად ვიხსნი და შენს სადღეგრძელოს ვსვამ.

რევაზ მიშველაძე

ქართული პოეზიის მშვენიერებას ქალბატონ მაცვალა გონაშვილის დაბადების დღისადმი

„ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვალია“, ლომს გადრი, ლომური ძალით მოგიაღერსო, მწადია, მრავალ პირველ მარტს შეუღე კარი ცის თალის ცქერაში, სიყვარულს ბნკარებით ვაფრქვევ მაგ მეტყველ თვალთა მზერაში.

დაბადების დღე, ჟამთა სვლა, წლების თავნება თარეში, შენნაირები ამრავლოს უფალმა ივერთ მხარეში, ქებად რაცა მაქვს სათქმელი კალმით არ აინერება, ძვირფასო მამულიშვილო, ქალი ხარ ბედნიერება.

ნანა დარჩიაშვილი

აფსუს, არ დასცალდა

იგი ისე მოულოდნელად გაქრა ქართული ლიტერატურის ასპარეზიდან, როგორც მოვიდა.

წლების განმავლობაში ვიცნობდით რეზო სტურუას მეცნიერს, სტუდენტებისათვის საყვარელ ლექტორს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ერთ-ერთ თავკაცს.

თითქმის თანატოლები ვიყავით, მაგრამ იქნებ ჩემი განზოგადებული ლიტერატურული ცხოვრების გამოც, ერთ დღეს საკმაოდ სქელი საქალაქო მომიტანა და ჩემს მაგიდაზე დადო.

- არ გაგიკვირდეს, რეზო, ლექსებია. თუ მოიცალო, გადახედე. თუ არ მოგეწონოს, არავის უთხრა. დადექი მტკვრის რომელიმე ხიდზე და სადაც ყველაზე ჩქარი დინებაა, იქ გადააგდე.

მთელი ღამე ვკითხულობდი. დილით დავურეკე. - ძვირფასო სეხნიავე, შენ ჭეშმარიტი პოეტი ხარ-მეთქი.

არ მინახავს მაშინ მისი სახე, მაგრამ ყელში მოწოლილი ცრემლისგან ხმა რომ შეეცვალა, აშკარა იყო.

სამოცდაათი წლის გახლდათ რეზო სტურუა, პირველი ლექსი რომ დაწერა და სულ ახლახანს უღმობელმა კორონამ წაგვართვა მისი სიცოცხლე.

ვერ ეგუებოდა მისი რაინდული ბუნება ქართველთა შორის სკამები-სათვის გამართულ სამკვდრო-სასიცოცხლო მარათონს. ამ ოჯახაშენებულებსო, ამბობდა, პარლამენტის



წვერობა ეცოტავებათ, მაინცდამაინც პირველობა უნდათო. ამას წინათ ერთი ლექსი მოგიტანა თავისი პოზიციის დასტურად. მოაგონა მკითხველს სამეგრელოს მთავრის ქუჯის და ივერიის მეფე ფარნავაზის ურთიერთობა. ქუჯიმ მიმართა ფარნავაზს: შეიერთე ეგრისი და შენ იყავ მეფე, ხოლო მე შენი ქვეშევრდომი ვიქნებო. ვაი რომ, ზოგ ჩვენს პოლიტიკოსს აღარც ქუჯი ახოვს და არც ფარნავაზი.

სამიოდე დღის წინ ორმოცი შესრულდა, რაც ჩვენს შორის აღარ არის.

ხუთიოდე წიგნის გამოცემა მოასწრო და დაბეჯითებით დაიმკვიდრა ჭეშმარიტი პოეტის სახელი.

ლიტერატურისადმი გაგულგრილებულთა ამ მკაცრ საუკუნეში ჯიუტად ცდილობდა თავგზაბუნეული მკითხველი ლიტერატურისაკენ შემოებრუნებინა.

ნაცნობ-მეგობართა დიდი წრე ჰყავდა და, რაც მწერალთა კავშირის წევრად მივიღეთ, რაც შეეძლო ჩაება ჩვენი



კუთვნილი შენობის დაბრუნებისათვის ბრძოლაში. კარგი, 2007 წელს უსამართლოდ წაგართვეს მწერალთა სასახლე, მერე? „ოცნების“ ხელისუფლებამ რატომ არ დაგიბრუნათო. პასუხი არ მქონდა და ხავსს ჩავებლაუჭებოდი. ჯერ კახი კალაძემ ჩვენთვის ვერ მოიცალა-მეთქი.

დაგვიმზავრებდა მის ერთგულ მეგობრებს: არჩილ ფრანგიშვილს, დავით გურგენიძეს, ჯემალ გახოკიძეს, ლევან კლიმიაშვილს, კოკა კუტუბიძეს, გიორგი სალუქვაძეს, თეიმურაზ ჯა-



გოდნიშვილს... თქვენს მონა-მორჩილს და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გვინიანამძღვრევედა საკუთარი პოეზიის საღამოზე.

ლექსს კითხულობდა დინჯად, ხავერდოვანი ხმით, მომწუსხველი არტისტიზმით, შთამბეჭქდავად.

ხანდახან მეტყვოდა: ასე მგონია, ამ ბოლო წლებში ჩემი თავი ვიპოვეო.

აფსუს, არ დასცალდა.

მე, ჩემდა თავად, ნიადაგ საამაყოდ დამრჩება, რომ მწერალთა კავშირის წვერობის წიგნაკს და მისთვის გალაკტიონის პრემიის მინიჭების დიპლომს მოვანერე ხელი.


ასე დაიხურა რეზო სტურუას სიცოცხლის წიგნი, მაგრამ ფურცლების ათვლა დაიწყო მეორე უფრო დიდმა წიგნმა - პოეზიაში სამუდამო სიცოცხლე რომ ჰქვია.

...დგას საბურთალოზე, რეზო სტურუას ეულ საფლავთან, მისი უერთგულესი თანამეცხედრე ქალბატონი თამარი.

დგას შავებით შემოსილი, თავდახრილი, სევდიანი.

მივალ და ხელზე ვაკოცებ მონინების და მადლობის ნიშნად.

რევაზ მიშველაძე



ოთარ ბაქანიძე

დიდი უნივერსიტეტი

დედა-უნივერსიტეტის ისტორიას მისი დამაყენებლები და შემარცხვენი - ხუბუბები, კვიტაშვილები და სიმონგულაოვები კი არ წერენ, არამედ ისინი, ვისაც გასიგრძელებული აქვს უნივერსიტეტის მალაღობისა, ვინც იცის, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტი ეროვნული ინტელიგენციის სამფლობელოა და ვინც თანმიმდევრულად იბრძოლა ჩვენი „ალმა მატერის“ მალაღობის შენარჩუნებისათვის.

უნივერსიტეტისთვის დამაშვრალ მამათა შორის ნათობს პროფესორი ოთარ ბაქანიძე და იგი თავის საპატიო ადგილს დაიმკვიდრებს უნივერსიტეტის ისტორიის ყველაზე მოკლედ და კონსპექტურად შედგენილ ნიგშიც.

ოთხმოცდაათი წელი მოათია ამქვეყნად და აქედან შეგნებული სიცოცხლის სამოცდაათი წელი უნივერსიტეტს შესწირა.

კარგა ხანს იყო უნივერსიტეტის მოთავეთა რაზმის წევრი და ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი. მერე საერთაშორისო ლიტერატურულ ურთიერთობათა კათედრა შექმნა და სააკაშვილის მიერ უნივერსიტეტის არნახულ დარბევამდე (ანუ იმ შავზნელ დღემდე, როცა უნივერსიტეტი ფაქტიურად პირქვე დაამხვეს და რექტორის კაბინეტიდან ივანე ჯავახიშვილის სურათი ქუჩაში მოისროლეს...) ხელმძღვანელობდა.

იგი უნივერსიტეტის ცოცხალი მატრიონი იყო.

დედა-უნივერსიტეტს შეწირული ნაფიცო ინტელიგენტების, თანამედროვეობაში მისი დიდების უკანასკნელი მოპიკანების გივი ჟორდანიას, მარიკა ლორთქიფანიძის, ოთარ ჯაფარიძის, ლევან სანიკიძის და სხვათა თანატოლი და მხარის მიმცემი გახლდათ.

დინჯი, სპორტული ნაბიჯებით, ხავერდოვანი ხმით, საოცარი თავმდაბლობით, შესაშური ორგანიზატორული თვისებებით ირგვლივ მყოფთა მონივნებას და პატივისცემას იმსახურებდა.

მან პირველთაგანმა გაუხსნა მიზეზთა გამო ათწლეულობით დახშული სარკმელები ქართულ ლიტერატურას ევროპულ ასპარეზზე გასასვლელად.

შემოიღო სტუდენტთა გაცვლის უაღრესად სასარგებლო პრაქტიკა მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტებში და აღზარდა პროფესიონალ მთარგმნელთა არაერთი თაობა.

პირველად გამოსცა არაერთი კრებული დედამიწის სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები, ლამის მივიწყებული მწერლების ნაწარებისა ორენოვანი გამოცემით; დედანის გვერდით ბატონი ოთარის მიერ აღზრდილი ახალგაზრდა მთარგმნელის ნამუშევარი რომ იყო გამოჩვენებული.

საქართველოში არსებულ თითქმის ყველა საელჩოსთან საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა და დაუცხრომლად, აგურ-აგურ აგებდა სახელმწიფოთა და ერთა კულტურული დაახლოვების ნათელ შენობას.

საკუთარ თავზე ლაპარაკი არ უყვარდა, მაგრამ ერთხელ მოცალეობის ჟამს (რაც იშვიათად ხდებოდა) მიაბო თავისი უმძიმესი ბავშვობის შესახებ:

ოცდაჩვიდმეტში დედ-მამა დაუპატიმრეს, მამა დაუხვრიტეს და დედა გაუციმბირეს. ბებიის ანაბარა დარჩენილნი ბინიდან გამოასახლეს და დიდუბეში სანაგვესთან ახლოს კიბის ქვეშ ათენ-ალამებდნენ. რამდენიმე წლის შემდეგ დედა დაბრუნდა და შვილების ძებნა დაიწყო. კარგა ხანს ამოდ ეძებდა. ერთხელ ტრამვაიდან ჩამოვარდნილი ბავშვის ირგვლივ შემოჯარულ წრეში შევიდა და „უპატრონო ბიჭში“ თავისი შვილი შეიცნო. ეს ბიჭი ოთარ ბაქანიძე იყო.

ამ ამბავზე ნოველა დაწერე და ოთარ ბაქანიძეს მიუძღვენი.

როგორ გაეხარდა, როცა წიგნში დაბეჭდილი იხილა.

დამთავრდა კიდევ ერთი დიდი უნივერსიტეტელის სიცოცხლე. ოთარ ბაქანიძეს დარჩა ვაჟკაცობით, გულისხმიერებით გამორჩეული შვილები და უსათნოესი მეუღლე - ქალბატონი ნელი.

ახლახან ბატონ ოთარს წლისთავი გადაუვხადეთ.

ნათელში იყოს მისი სული.

რევაზ მიშველაძე

თეიმურაზ ფანჯიკიძე

ბედნიერება

„ეჰ! ჩემს ასაკში პირად ბედნიერებაზე ლაპარაკი ალბათ ძალიან ძნელია, უხერხულიც და ალბათ შეუძლებელიც, — გამანდო თავისი ფიქრები ერთმა ხანშიშესულმა, მანამდე ჩემთვის უცნობმა ადამიანმა, რომელიც ბაღში დასასვენებლად ჩასულს დაუკითხავად სკამზე ჩამომიჯდა, — ჩემი ცხოვრება მორჩა, მოუბრუნებლად წავიდა და გაფრინდა, იყო და აღარ არის! ახლა, როცა საკუთარი სხეულიც კი აღარ მემორჩილება, როცა მისი თითოეული ნაწილი წუნუნებს, რაღაცას გაუდმებით მთხროს და მანუხებს, მუდმივად ტკივილსა და ნამლებში ხარ, შენ უკვე ის აღარა ხარ, რაც იყავი, არამედ რაღაც სულ სხვა, თვითონ რომ არ მოგნონს, ისეთი საცოდავი არსება. ახლა მხოლოდ ჩემი ახლობლების, შვილების, შვილიშვილების ბედნიერებით თუ გავიხარებ და დავტკბები!...“

გაკვირვებული და შეცბუნებული ვუსმენდი ამ უცხო კაცის მონოლოგს, ვერაფრით ვერ მივხვდი თუ რატომ მოვიდა ჩემთან, რატომ ჩამომიჯდა, რატომ ამომარჩია ამდენ ხალხში ამ თავისი უცნაური აღსარებისათვის, მაგრამ სიტყვა არ გამიწყვეტინებია, ყურადღებით ვუსმენდი. უცნობი კი, თითქოს ძველისძველ მეგობართან დიდხნის წინ დაწყებულ საუბარს აგრძელებსო, მშვიდად და დინჯად ყვებოდა:

„ეჰ, ცხოვრება მართლაც წავიდა და გაფრინდა, მაგრამ არ გჩივი, მას ვერც ვუსაყვედურებ და ვერც დავემდურები: ერთი კაცის პირობაზე თითქოს ნორმალურად ვიცხოვრე, ბედნიერიც ვიყავი და უფრო იშვიათად უბედურიც, წარმატებულიც და ზოგჯერ, უფრო ნაკლებად, ხელმოცარულიც. ცხოვრებაში თითქოს ყველაფერი მქონდა და ვნახე კიდევ. ჩემი თავისთვის არაფერი დამიკლია, ყველაფერი გამოვცადე, მაგრამ ამ უწყალო, შეუბრალებელმა, სწრაფწარმავალმა დრომ ყველაფერი წაიღო. მოსახდენი მაინც მოხდა, ის, რაც გარდუვალად იყო შესრულდა, ხოლო ის, რაც მომავალში უნდა მოხდეს, ისიც მშვენივრად წარმომიდგენია. ვიცი, რომ აუცილებლად შესრულდება, წინ რაღა დაუდგება? მაგრამ, ერთ რამეს, ძალიან ღირებულს და მნიშვნელოვანს ჩემთვის მაინც მივხვდი და მგონი სწორად დავასკვნე: თურმე ადამიანი ჩემს ასაკშიც შეიძლება ბედნიერი იყოს!“

გაკვირვებით და კითხვის ნიშნით შევხედე: „აქი არ შეიძლება! აქი არ შეიძლება ბედნიერი იყოსო?! განა თვითონ არ ამბობდა წელან, საკუთარი პირობით?“, - ეს მე მხოლოდ გონებაში გავიფიქრე და გავაპროტესტე, მაგრამ ხმა არ ამომიღია. უცნობი კი განაგრძობდა:

„მისმინეთ, გუშინ, ღამე საშინელი სიზმარი ვნახე: ვითომ აღარ ვიყავი! სადღაც შორს, ურჩხულეთში თუ უბედურებაში ვიყავი გადავდებულე. მართალია, დიდად არ მჯერა ჯოჯოხეთის არსებობის, მაგრამ მგონი მართლა იქ ვიყავი. ჩემდა გასაოცრად ცეცხლი არსად არ ენთო, არც კუპრი დუღდა, ძალიან გამიკვირდა თუ რატომ მოვხვდი იქ, მე ხომ რაიმე დიდი ცოდვა არ მანეჭი კისერზე, ცხოვრებაში სერიოზული რამ მართლაც არა დამიმავებია რა. ამას ჩემთვის ფიქრობდი, მაგრამ რაღას ვიზამდი? უცილობელი ფაქტი მხოლოდ ის იყო, რომ რაღაც, თუნდაც ჩემთვის გაუგებარი, სრულიად უცნობი მიზეზის გამო სწორედ აქ ამოვყავი თავი და არა სხვაგან.“

ყველაფერი, რაც იქ დამხვდა და ვნახე, ბოლომდე ვერ აღვიქვი, ვერც დავიმახსოვრე და ვერც გავაცნობიერე, მაგრამ ერთი რამ კარგად დამამახსოვრდა: ირგვლივ ვრცელი, საშინელი სივრცე და სიცარიელე იყო, საოცრად ნაგავადა მონათალო ფერის ქვიშა უდაბნოს. ირგვლივ არავინ ჩანდა. მხოლოდ ერთი, ეულად ამოთხრილი და მიწადაუყრელი საფლავე ჩანდა. სწორედ ამ საფლავეთან მიმიყვანეს და ჩამაგდეს. მთელი ძალით ვენინააღდეგებოდი, ვყვიროდი, მშველელს ვუხმობდი, მაგრამ ჩემი ხმა არავის ესმოდა. საოცრად ციოდა, მთლიანად გავითოშე, ვითხოვდი: ძალიან მცივა, რაიმე დამაფარეთქო, მაგრამ ირგვლივ მოკეთე და გულშემატკივარი არავინ იყო.

საფლავეში რომ ჩამაგდეს იქაც ვერ ვისვენებდი, იქიდან ამოსვლას, ამოხტომას ვლამობდი, მაგრამ საფლავე მეტად ღრმა იყო და ისევე ქვემოთ ვვარდებოდი. ძალიან დავილაღე, გავწვალდი და სასონარკვეთილებში ჩავვარდი. სწორედ ამ ამო, განწირული მცდელობისას გამეღვიძა...

ერთხანს გაბრუნებული და გაოგნებული ვიყავი, ერთხანს ვერც კი მივხვდი, რომ ეს სიზმარი იყო და არა რეალობა. მერე, ნელნელა გამოვერკვიე და შევხვდი ამოვისუნთქე. შუბლზე ხელი მოვისვი, საბოლოოდ რომ გამოვფხიზლებულიყავი და დავრწმუნებულიყავი, რომ ეს მხოლოდ ღამეული, კომმარული სიზმარი იყო და სხვა არაფერი. და რომ, ცივი სამარის ნაცვლად, სინამდვილეში ლოგინში ვინექი.

ნამოვინე, ნამოვჯექი. ერთხანს ასე გავჩერდი და საბოლოოდ, როცა დავრწმუნდი, რომ ცოცხალი ვიყავი და არაფერი მემუქრებოდა, რომ ყველაფერი ცუდი მხოლოდ სიზმარს ეკუთვნოდა, საოცრად გავიხარე. ახლა ყველაფერი თითქოს კარგად იყო, არაფერი მტკიოდა, არ მანუხებდა, ეგ იყო, ოდნავ შემციებოდა, მაგრამ ამას რას დავეძებდი, მთავარია რომ ცოცხალი ვიყავი.

ჯანმრთელად რომ დავიგულე თავი, უკვე არჩევანი მქონდა:

შემეძლო რაიმე თბილი დამემატებინა, გვერდზე გადავბრუნებულიყავი და ძილი გამეგრძელებინა, რომლის დროსაც შესაძლოა, უფრო უკეთესი და იმედინი სიზმარიც მენახა ან ავმდგარიყავი, მესაუზმბა, მერე კი ქუჩაში გავსულიყავი და გამესიერნა.

ჩემდა უნებურად, რაღაც უცნაურმა, ენით აუნერულმა სიხარულმა და ნეტარებამ ამიტანა, იმის გამო, რომ ის, რისი გაკეთებაც მინდოდა დაუბრკოლებლად შემეძლო გამეკეთებინა, ახლაც მინდოდა იქ ნავსულიყავი... მიხაროდა, რომ ჯერ კიდევ სიცოცხლის ნაწილი, ყველაფრის შემდეგ დამომქმედი არსება ვიყავი, რომ ამქვეყნად, ჯერ კიდევ არსებობდა ჩემი კუთვნილი მზის სხივი, საკუთარი სამყოფი ადგილი, სითბო და ნათელი.

იმ დღეს შაბათი იყო. მიხაროდა რომ ეს შაბათი ჩემი იყო, მე მეკუთვნოდა. მერე დღეს კვირა იყო, ისიც მე მეკუთვნოდა. მომავალი შაბათიც და კვირაც ნამდვილად ჩემი იყო. იქითის იქითი შაბათ-კვირაც, იმედი მქონდა, ჩემი იქნებოდა და შემდგომ, ვინ უწყის, განგება კიდევ რამდენ ასეთ შაბათ-კვირას გამოიმეტებდა და მარგუნებდა. ჩემთვის ეს რაღაც ახალი, მანამდე განუცდელი, უცნაური გრძნობა იყო. მხოლოდ ახლა, ამ საშინელი სიზმრის შემდეგ აღმოვაჩინე, კიდევ უფრო შევიგრძენი, დავაფასე სიცოცხლე და თავი ბედნიერად ვიგრძენი...

უცნობი ნამონითლებული, აღვზნებული და აუტირებული ლაპარაკოდა. მივხვდი რომ არ უნდა ჩაერეულიყავი, სიტყვაც არ უნდა ჩამეგდო, არავითარ შემთხვევაში არ უნდა დამერღვია მისი განწყობა, არ გამეფანტა არც მისი შიში ცუდი სიზმრის, ცივი, მიუსაფარი სამარის ხილვის გამო და არც მისი ბედნიერებისათვის შემეშალა ხელი, სიცოცხლის გაგრძელებასა და და თბილ სანოლში გავლიძებამი რომ გამოიხატა. ყოველ შემთხვევაში, ბოლომდე უნდა მეცლია დამტკბარიყო თავისი თავსაცდელი საფრთხისა და გადარჩენით განცდილი ბედნიერებით!...

მოყოლა რომ დამათავრა, უცნობი, ისე ადგა და წავიდა, რომ ჩემთვის არც შემოუხედავს და არც არაფერი უკითხავს. სხვისი აზრი, ალბათ, საერთოდ არ აინტერესებდა. ჩემში მხოლოდ უტყვე, მორჩილ მსმენელს ხედავდა. თავისი ამოთქვა, გული მოიხსა და მორჩა. ეს მისთვის, როგორც ჩანდა, სრულიად საკმარისი იყო. არც მე მითქვამს რამე, ჩუმად ვუთანაგრძნე და გავიზიარე მისი დიდი სიხარული, რომ დიდი შიშის განცდის შემდეგ ისე ცოცხალი იყო და იმის იმედიც ჰქონდა, რომ ხვალაც, ზეგაც და კიდევ დიდხანს, ცივი და საშინელი სამარის ნაცვლად ისევე თბილ ლოგინში გაიღვიძებდა.

მას შემდეგ ეს კაცი აღარსად მინახავს. ამიტომ არ ვიცი, თუ რა ბედი ეწია, რამდენხანს იცოცხლა, კიდევ რამდენხანს გაუგრძელა უფალმა ეს ბედნიერება, სანამ საკუთარ, სამუდამო ცივ სამარემდე მიაღწევდა, რომელიც სულ არ გავს თბილ ლოგინს და რომელიდანაც ამოხტომას, მიუხედავად დიდი სურვილისა, ადამიანები ვერა და ვერ ახერხებენ!

მობილური შუალამისას ანკრიალდა.
 - რავა ხარ, რეზო?
 ღმერთო, რა ნაცნობი ხმაა.
 - ვარ დროის და გარემოების შესაფერისად, სამი მილიარდი პატიმრიდან ერთ-ერთი.
 - ვიცი ყველაფერი... მაინც მთელი დღუნია როგორ გააჩერა ამ ძირამოსაგდებმა კორონამ. ვინ თქვა, თუ გახსოვს, „გააჩერეთ დედამინა, ჩავდივარ!“
 - მგონი, ოთარ ჭილაძემ.
 - ხომ მიცანი, რეზო?
 ოჰ, ეს წყეული სიბერე. თვითონვე მიშველა:
 - ზურა ვარ, ფორჩხიძე.
 - როგორ ვერ გიცანი, ჩემო ზურა.
 - ოცდარვა წელია ჩემი ხმა არ გაგიგონია. არ მელოდი, ხომ?
 რა უნდა ვუთხრა.
 - რეზო, არ გეგონოს, სამდურავს გეუბნებოდე, მარა... ხომ მაქვს უფლება, ცოტა არ იყოს, გაკვირვებული მაინც ვიყო. ასე როგორ ამომიღეთ გულიდან. ოთხმოცდახუთი წლის გავხდი კაი ხნის წინ. არც გახსენება, არც ამბავ-ხაზარი. ენა დამება.
 - რას ჰქვია დამავინყდი, უბრალოდ, არ ვიცოდი, როგორ დამერეკა. მითხრეს ტელეფონი შეცვალაო.
 - კაი, აბა, აღარ გაგაცდენ. გამეხარდა შენი ხმის გაგონება. ესაა ჩემი ნომერი. ჩაინიშნე და შემეხმიახე ხანდახან.
 ხმა ერთბაშად კი არ განყდა, მიწელდა და ნელ-ნელა გაქრა.
 ვეცი ტელეფონს.
 სადაა ნომერი.
 მივხვდი, რომ ეს ყველაფერი სიზმარი იყო. ჩემი სიყრმის მეგობრის მონატრების ტკბილ-მწარე სიზმარი.

იგი მაღალი, წარმოსადეგი, ხშირი თმა გვერდზე გადავარცხნილი, კოხტა, პენიანი ბიჭი იყო.
 ქუთაისში კინო კომუნასთან ერთად დგომამ დაგვამეგობრა.
 როცა გვეცალა, ლამის წინასწარ შეუთანხმებლად შევიკრიბებოდით და გაუყვებოდით ბილიკს ხან უქიმიერიონისკენ, ხან გეგუთისკენ, ხან სათაფლიისკენ, ხან გელათისკენ, ხან მონამეთისკენ...
 ვინ და ვინ ვიყავით?
 ზურაბ ფორჩხიძე, ოთარ ქანთარია, ვანო მატარაძე, ანზორ ხერხაძე, მურთაზ ჭაბუკიანი, რეზო რამიშვილი, ანზორ ბრეგვაძე, მე (მაპატიოს გამჩენმა, ყველას ვერ ვიხსენებ).

რა მახსოვს?
 საათობით რომ შევეყურებდით ჩამავალი მზის სხივებით გაოქროსფერებულ გელათს, ბაგრატიის ტაძრის ეზოში ტოტლებენის და თურქის ჯარის მიერ ნასროლ ვაზნებს რომ ვაგროვებდით...
 ერთი კუროზული შემთხვევაც მახსოვს: ორივენი ქუთაისიდან აფრენილი სტუდენტები ვიყავით.
 მე უნივერსიტეტში ჟურნალისტიკაზე ვსწავლობდი, ზურა სამხატვრო აკადემიაში გრაფიკის ფაკულტეტზე.
 ერთხელ, იანვარი იწურებოდა, თბილისში გამოცდებს მოვრჩით და ქუთაისში ჩასულები, მერამდენეჯერ ვზომავთ აკაკის ბაღის კიდეს.
 ზურა მეუბნება:
 ლიტოპონის ქარხანაში ვარ დაპატივებული დრამწრის სპექტაკლზე, ხომ არ წამოხვალო.
 რა საქმე მქონდა, წავყვივი.
 6 საათზე დანიშნული წარმოდგენა,

მანდ, უკეთეს საქართველოში

ექვსი ხდება, არა და არ იწყება.
 ვიღაც ფართოყურება ბიჭი ზურასთან მივიდა.
 თუ შეიძლება პალტო გვათხოვეთ, მეორე მოქმედებაში გვჭირდებაო.
 ზურას ახალთახალი დრაფის პალტო ეცვა.
 გაიხადა და მისცა.
 გახარებული ბიჭი კულისებში შევარდა. დაიწყო პრემიერა.
 ჯერ პროფესიონალური რა არის და დრამწრის სპექტაკლი რა იქნებოდა.
 მეორე მოქმედებაში ველირსეთ და გამოვიდა ვიღაც გამწვანებული, კაფანდარა მდრამწრე, ზურას დიდი პალტო ნანათხოვარივით აცვია.
 სად იყო, სად არა, გამომწვევად ჩაცმული ქალი გამოჩნდა. ჯერ ცარიელ ჭიქაში „პარაშოკით“ ფხვნილი ჩაცალა, მერე ღვინისფერი ლიმონათით შეავსო და ზურასპალტოიან კაცს გაუწოდა.
 მსხვერპლმა დალია თუ არა, მაშინვე ნაიქცა, ჯერ მტერიან იატაკს ბული აადინა, მერე რამდენჯერმე გაუსვ-გამოუსვა მხარ-ფეხი და, როგორც იქნა, ჩააბარა სული გამჩენს.
 ქალი მივარდა და ჩექმიანი ფეხი რამდენჯერმე შეუბრალებლად ჩასცხო.

ამასობაში ცილინდრიანი მაღალი კაცი შემოსცენდა. ჯერ ქალს გადაეხვია, მერე მობრუნდა და ახლა თავის მხრივ რამდენიმე წიხლი უთავაზა ზურას ახალ პალტოში გახვეულ მიცვალებულს.
 ზურამ მეტი ვეღარ მოითმინა და კედელთან ატუზულ თორმეტიოდე წლის ბიჭს უხმო.
 - მიდი ერთი და, ეს მოქმედება რო დამთავრდება, ჩემი პალტო გამოართვი.
 - ვის? მკვდარს?
 დააზუსტა ბიჭმა.
 - ჰო, პოლზე რომ გდია. არაფერი მკვდარი მაგი არ არი.
 ბიჭმა არ დაახანა. სცენაზე ავიდა და პაუზას მოხერხებულად ჩაურთო.
 - პალტოვო!
 - რაი?
 იკითხა მიცვალებულმა.
 - პალტოვო!

მტკიცედ გაიმეორა ბიჭმა.
 მონამულმა პალტო უხმოდ გაიხადა და მაყურებელმა სიცილ-ღრინაცელში ბიჭს გაუწოდა...
 მოგვიანებით ამ ამბავზე ნოველა დავწერე და ზურაბ ფორჩხიძეს მივუძღვენი.
 რომ შემხვედებოდა, გამახსენებდა და იცინოდა; მე ვუთხარი, ფარდა რომ დაიხურება, გახადე-მეთქი. ბიჭმა შუა სცენაზე არ გახადა?

ჭემმარტი ოსტატი, რასაც ჰქვია, სწორედ რომ ის იყო.
 მისი ფანქრის მოსმას, მის შტრიხებს უმაღლესი პროფესიონალიზმის კვალი აჩნდა.
 სრულიად ახალგაზრდა 1934 წელს დაბადებული, 58 წლის ასაკში - 1993 წელს ნავიდა ჩვენგან და დაგვიტოვა ფასდაუდებელი შემოქმედება გრაფიკის, ფერწერის, წიგნის გაფორმება-ილუსტრირების მიმართულებით.
 მხატვართა კავშირის, მწერალთა კავშირის, სხვადასხვა ფონდების, რედაქცია-გამომცემლობების სასურველი სტუმარი იყო.
 მის ნახელავს წუნი არ დაედებოდა, ამიტომაც თვეობით რიგში იდგნენ

ავტორები, რათა წიგნის გაფორმება ზურაბ ფორჩხიძის გრძნეული ხელისა და გონებისთვის მიენდოთ.

მახსოვს, ოცდაათი წლის გახლდით, ერთ გამომცემლობაში ჩემი ნოველების წიგნი გამოდიოდა. წიგნს იუმორისა და სატირის ელფერი დაჰკრავდა და ზურა ბოლქვაძემ ზურაბ ფორჩხიძეს სთხოვა, რეზოს კარიკატურა დახატეო.

სამ დღეში მოიტანა.

- ლომო, კარიკატურის ნაცვლად პორტრეტი დაგიხატავს, - შეჰკადრა ზაურმა.
 ზურა განითლდა.

რა ვქნა, რეზო ჩემი სიყრმის მეგობარია და ჯღანაობა არ გამომივიდაო.

გამოვიდა წიგნი სწორედ ზურაბის მიერ შექმნილი პორტრეტით.

2001 წელს ჩემი „რჩეული ნოველების“ სქელტანინი წიგნი სწორედ ზურაბ ფორჩხიძის მშვენიერი ილუსტრაციებით დაიბეჭდა.

უფრო ადრე ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში ზურაბმა გააფორმა იაპონიაში გამოცემული ჩემი ნოველების კრებული „ასაკურა“.

ზურაბ ფორჩხიძემ და მისმა თანამეცხედრემ ქალბატონმა დალი გვეტაძემ, რომელიც დიდებულად ინახავს ძვირფასი მეუღლის ხსოვნას, ორი სახელოვანი ქალიშვილი გაზარდეს.

ერთი მათგანი, უფროსი და, მაია შესანიშნავი არქიტექტორ-დიზაინერია, ხოლო უმცროსი - ნათია უნიჭიერესი მთარგმნელი და თარჯიმანი ინგლისურიდან სინქრონულად თარგმნის სამთავრობო სპეციალისტი, ახლახან, 52 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ზურაბ ფორჩხიძის ლამაზი ცხოვრება და დიდებული შემოქმედება თავის მკვლევარს ელის.

ჩემო ზურაბ!
 ველარასოდეს დაგირეკავ, მაგრამ ნახვით კი უსათუოდ გინახულებ.

გინახულებ, რაც შეიძლება, მაღე, მანდ, - უკეთეს საქართველოში.

იქ, სადაც ნათობენ ჩვენი საერთო მეგობრები: ზურაბ ბოლქვაძე, შოთა ნიშნიანიძე, ლევან სანიკიძე, მორის ფოცხიშვილი ჭაბუა ამირჯიბი, ჯემალ ლოლუა, გიგლა ფირცხალავა, გოჩა აბაშიძე, ზურაბ ქაფიანიძე...

ნახვამდის, ჩემო ზურაბ.



ზურაბ ფორჩხიძის ილუსტრაციები, რეჟაზ მიშველაძის იაკონური წიგნისათვის



თამარ ჩიჯავაძე - 90

90 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი მწერალი თამარ ფარნაოზის ასული ჩიჯავაძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ქალბატონო თამარ!
ჩვენო უსათნოესო და უკეთილშობილესო თანამოკალმე!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები დიდი სიყვარულით და მონივნებით მოგესალმებიან ჩინებულ კალმოსანს, დიდ ქართველ ბანოვანთა ღირსეულ შთამომავალს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს - დაბადების 90 და ლიტერატურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის 55 წლის თავს.

ეს ოთხმოცდაათი წელი, თქვენს მიერ განვლილი ცხოვრებისეული გზა ჭეშმარიტ ორიენტორს წარმოადგენს ყველასთვის, ვისაც შობილი ქვეყნისა და ერის უანგარო სამსახური დაუსახავს ცხოვრების მიზნად, ვისაც სათნოება და სიკეთე არსებობის ერთადერთი გამართლებად მიუჩნევია.

გამომცემლობა „ნაკადულმა“ 1965 წელს ცალკე წიგნად გამოსცა ცნობილი რუსი მწერლის ვასილ აქსიონოვის მოთხრობა „კოლეგების“ თქვენეული თარგმანი. ეს თქვენი სამწერლო დებიუტი იყო, რომელიც დღემდე წარმატებით გრძელდება.

თქვენ ხომ ქართული მთარგმნელობითი სკოლის ერთ-ერთი გამორჩეულად საინტერესო წარმომადგენელი ხართ. საზღვარგარეთული მწერლობის რამდენი საუკეთესო წარმომადგენლის უბრწყინვალესი ქმნილების ქართულ თარგმანს ატყვია თქვენი რუდუნების მადლი. პაველ ბუჩინოვის „ბარიერი“ და „განზომილებანი“, რასულ გამზათოვის „ჩემი დაღესტანი“, დანიელ გრანინის „მოვდივარ ელჩეზე“, ვალენტინ კატაევის „წყარო უკვდავებისა“, ნიკოლაევი სისინეოსის მოთხრობები, ბგრატი შინქუბას „უკანასკნელი უბიხი“, „ჩანჭა ჩამოვიდა“, „გაპობილი ქვა“ - აი, იმ მწერალთა და ნაწარმოებთა არასრული სია, რომლებიც ქართული მხატვრული ლიტერატურის საგანძურს შემადგენთ. რა ჩინებულად წვდებით ავტორთა სულიერ სამყაროს, მათ სტილურ თავისებურებებს და რა ადეკვატურად აისახება ყოველივე ეს თქვენს მთარგმნელობით საქმიანობაზე.

ჩინებულ პროზაიკოსი ბრძანდებით. თქვენი მოთხრობები სიბრძნით, ცხოვრებისეული გამოცდილებით და მწერლური ხელოვნებით გამოირჩევა. ამ მოთხრობებს ლაიტმოტივად მიჰყვება მათი ავტორის პოეტური სული, ბოროტების და ავკაცობის ძლიერი დაუოკებელი სურვილი.

ქალბატონო თამარ!

თქვენ ხომ დიდი შოთა ნიშნიანის მემულე და პოეტური მუზა ბრძანდებით მის ბოლო ამოსუნთქვამდე. სწორედ თქვენმა დიდმა სიყვარულმა და ერთგულებმა ნიჭმა გადაატანინა ბატონ შოთას ცხოვრებისეული მეჭირვებანი, ჩამოაყალიბა დიდ შემოქმედად და სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში ეს სიყვარული აძლებინებდა უკურნებელი სენით შეპყრობილ პოეტს. თქვენი, მართლაც რომ, ერთი ამოსუნთქვით შექმნილი წიგნი „შენ და მე“ სწორედ ამ დიდ სიყვარულზე მოუთხრობს მკითხველს და იმ მარადიულ ღირებულებებზეც დააფიქრებს, რომელთა ერთგულება თითოეულ ჩვენგანს ევალება...

თქვენი მრავალწლიანი ლიტერატურული მოღვაწეობა ივანე მაჩაბლის სახელობის პრემიით აღინიშნა.

კიდევ ერთხელ გულმზურვალედ გილოცავთ საიუბილეო თარიღს საყვარელ კოლეგას, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ახალ შემოქმედებით გამარჯვებებს გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი



დიმიტრი ლობჯანიძე - 85

85 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი მწერალი დიმიტრი მალაქიას ძე ლობჯანიძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო დიმიტრი!

ქართული სულიერებით გაპოხილ კოლეგავ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები ღრმა პატივისცემით მოგესალმებიან ვაჟკაცობითა და პატიოსნებით ნიშანდებულ შემოქმედს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში - დაბადების 85 და ლიტერატურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის 60 წლის თავს.

თქვენი დებიუტი სამწერლო სარბიელზე 1962 წელს შედგა, როდესაც ჟურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნდა თქვენი პირველი მოთხრობა „მერცხალა“. მას შემდეგ ქედუხრელად ეზიდებით ქართველი მწერლის უმძიმეს უღელს და თქვენს მეგობრებს გვიხარია, რომ თქვენი სახით ასეთი ღირსეული თანამოკალმე გვყავს.

დიხაც რომ მშობელი მინის მოზარე და ჭირისუფალი ხართ. ამიტომაც შეიყვარა მკითხველმა თქვენი მოთხრობების კრებულები „მერცხალა“, „გასროლა ნაქიძალში“, „თამარ მეფის საფლავის სიდავლო“, „ღამე გარეჯის უდაბნოში“, „ქართულები ქლუბორში“, შეიყვარა მწერლური სიმართლისთვის, ტიპების და სახეების მონოლითური ძეგლისთვის. თქვენ ხომ ასე დამაჯერებლად გვიჩვენებთ, თუ როგორ მასალა დაინტერესებული მკითხველისთვის ვარება, ზნეობრივი ფასეულობების, ჭეშმარიტი ტრადიციების ხელალებით უარყოფა. ჩვენთან ერთად გლოვობთ მგლების მიერ მიმოფანტული ირმების ჯგოგით დედამიწის სხვადასხვა კუთხეში იძულებით გადახვეწილ თანამემამულეებს, ვისთვისაც სამშობლო კაპას დედინაცვლად ქცეულა. სრულად გაქვთ გასიგრძეგანებული, რომ თუ რამ გვიხსნის იავარქმისაგან, ზნეობა გვიხსნის, მორალი, შინაგანი პატიოსნება და სიმამრე, კეთილშობილება გვიხსნის და ამიტომაც გვიხატავთ ყოველივე ამის დასამახსოვრებელ მაგალითებს.

ცალკე აღნიშვნის ღირსია თქვენი კრებული „ქართველები ქლუბორში“, რომელიც ქართველთა გადასახლება აღწერს 1944-1958 წლებში. ეს კრებული თითქმის ერთადერთი მასალა დაინტერესებული მკითხველისთვის, რომელშიც დოკუმენტური სიზუსტითაა ასახული, იმ უმძიმეს წლებშიც კი თუ როგორ შეინარჩუნეს სამშობლოდან აყრილმა ქართველებმა სულიერი მხნეობა და შემართება.

კალამი დრამატურგიაშიც სცადეთ და საკმაოდ წარმატებითაც. თქვენი პიესები „ზვიადა“, „თქმულება ივანე ქვაციხისელზე“, „მახარა და ავზამთარა“ იდგმებოდა ნამყვანი ქართული თეატრების სცენაზე. თქვენს კალამს ეკუთვნის არაერთი საგულისხმო პუბლიცისტური წერილი.

წლების განმავლობაში მუშაობდით თსუ გამომცემლობის რედაქტორად, გაზეთ „ავტორტრანსპორტის“ რედაქტორის მოადგილედ, საქართველოს ტელევიზიის ლიტერატურის განყოფილების რედაქტორად და ყველაგან სათნოების იდეალებს ემსახურებოდით.

თქვენი ნაწარმოებები არაერთხელ აღინიშნა პრემიებით რესპუბლიკურ ლიტერატურულ კონკურსებზე.

ჩვენო დიმიტრი!

კიდევ ერთხელ პატივისცემით გილოცავთ საიუბილეო თარიღს მსცოვან შემოქმედს, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და თქვენი სანატრიონის ახდენას გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი



რევაზ ართილავა - 90

90 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე რევაზ კალისტრატეს ძე ართილავა. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

მეორფასო ბატონო რევაზ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები დიდი პატივისცემით მოგესალმებიან მსცოვან ღვანდომოსილ შემოქმედს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში - დაბადების 90 და ლიტერატურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის 65 წლის თავს.

დიხაც, თითქმის მუდმივად ათეული წელია, რაც გრძელდება თქვენი საინტერესო შემოქმედებითი ცხოვრება. პირველი ლექსები ხომ 1956 წელს გამოაქვეყნეთ კრებულში „აჭარის ლიტერატურული ახალგაზრდობა“ და მას შემდეგ თქვენი ნაწარმოებები - ლექსები, მხატვრული თარგმანები, ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები სისტემატურად ქვეყნდება ქართულ სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში, გამოდის ცალკე წიგნებად.

ქართველი მკითხველი მონონებით შეხვდა თქვენს პოეტურ კრებულებს („ცა ვარსკვლავებით სავსე“, „ღია სარკმელი“, „წყურვლი“, „აგუნა“, „მნიფობისთვის“, „მისამართები“, „სინქაო“, „უსასრულოა“, „ფუძის სიტობო“, რომლებსაც უპირველეს ყოვლისა, ცხოვრებისეული სიბრძნე, გულწრფელობა და უშუალოდ გამოარჩევს. ამ კრებულებში შესული ლექსები ბევრ რამეზე დააფიქრებს თითოეულ ჩვენგანს, დააფიქრებს იმ მარადიულ ღირებულებებზე, რომელთა გამო ვსულდგმულვით და ვიღვნივთ, რომელთა გამო დაუფიქრებლად ვტოვებთ სიცოცხლეს, სიყვარულის აპოლოგეტი ხართ, სიყვარული არ გაძლევთ გულგრილობის, სიძულვილის, დაბერების უფლებას, თქვენი პოეზიის ღირსეული გმირი მედგრად ებრძვის საავადო ღრუბლებად მოჯარულ ამაზრზენ ფიქრებს და სუნთვაშეკრული ელის დიდ დავითს - საქართველოს გადამრჩენელს. თუმცა ისიც კარგად იცის, რომ დავითი - მესიის მახვილი მხლოდ მაშინ მოეწონება ღვთისმშობლის ნილხვდომილ ქვეყანას, როცა ამგვარი მადლის ღირსი იქნება ქართველობა. მანამდე კი თავადაც იბრძვის, ქართულ ენას უდგას მეციხოვნედ. იცის, რომ ეს ენა მხოლოდ სიმართლისთვის, მხოლოდ ლოცვისთვის, სიკეთისთვის, სიყვარულისთვის, მხოლოდ უკვდავებისთვისაა შექმნილი...

თქვენს ლექსებზე, რომლებიც უცხოურადაც ითარგმნა, არაერთი ჩინებული სიმღერა შექმნა კომპოზიტორმა სანდრო მირიანაშვილმა. ნაყოფიერ მთარგმნელობით საქმიანობას ეწევი. თქვენი თარგმანებით გაეცნო მკითხველი ზულფიას, ათანას დალჩევის, ვლადიმერ მაიაკოვსკის, ბელა ახმადულისას, იანის პეტერსის, ალექსანდრე მეთუროვის პოეზიის ცალკეულ ნიმუშებს, ივანე ეფრემოვის რომან „თაის ათენებს“, იორდან რადიჩოვიც ვრცელ მოთხრობას „მოგონებები ცხენებზე“.

თქვენი დახვეწილი ლიტერატურული გემოვნება იმ კრიტიკულ წერილებშიც გაცხადდა, რომლებიც თქვენი კოლეგების - შოთა როყვას, დავით ნაცვალაძის, ნოდარ ჯალალაიას, ნოდარ მოდებაძის შემოქმედებას მიუძღვნით.

სად რამ გიმოღვანიათ. იყავით აჭარის კულტურის სამინისტროს მეთოდისტი, აჭარის სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი, გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ ლიტმუშაკი, გამომცემლობა „აჭარის“ რედაქტორი, საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების მთავარი სარედაქციო კოლეგიის უფროსი რედაქტორი, საქართველოს მწერალთა კავშირის განყოფილების გამგე...

ასაკი ვერარას აკლებს თქვენს მონოლითურ პიროვნებას, თქვენს წრფელ და ჭეშმარიტ პოეტურ სიტყვას. ამის დასტურია ბოლო ხანს გამომცემლობის მრავალწლიანი კრებულები...

თქვენი მრავალწლიანი გარჯა და რუდუნება ღირსეულად დაფასდა. დაჯილდოებული ხართ ღირსების ორდენითა და მედლით, აგრეთვე მედლით „ქართული კულტურის ამბადარი“. მონიჭებული გაქვთ კოლაუ ნადირაიის სახელობის პრემია.

მეორფასო რევაზ!

კიდევ ერთხელ გულმზურვალედ გილოცავთ საიუბილეო თარიღს მსცოვან, ამაგდარ შემოქმედს, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ახალ წარმატებებს გისურვებთ თქვენს საქმიანობაში.

საქართველოს მწერალთა კავშირი



მაია კახიძე

პარლის კაპა

წლები როცა გავა და ცა ჩამოვა ცრემლებად, ნატვრას გამოგიგზავნი, ბელურებად, მერცხლებად.

ახლაც, ყოველ საღამოს, გულით მინდა გახელო, შენს მკლავებში ნალამურს, არ მსურს თვალის გახელო.

წლები როცა გავა და შენ თუ ვეღარ მომისწრებ, ღრუბლებს იქეთ წავალ და ჩემი პოვნა მოგიწევს...

იცი, რატომ მოგწერე? იცი, რატომ გითხარი?! სანამ წლები გასულა... სანამ გული აქ არის...

გახსოვს, გრძელ იავანზე, ვარდის კაპა რომ მეცვა? დრო იმდენჯერ გაფრინდა, თმები შემომევერცხლა.

აბსურდის თეატრი

დაფნის რტოები და ჟრუნტელი, თქორი, მერეხი, პიესა მეხთა, წარსულის ხატი, ძალიან ძველი, სცენარი ესრე გარდასულ დღეთა.

წილებს წვიმა, ცისფერი ფარდა, ყელზე მთრთოლავი ნათითურები, პარტერის ჩრდილი, მუსიკა ქართა და შეკიდული ფარჩის ღრუბლები.

შექსპირის თოკი, ტანზე გრეხილი, ცოდვის შვილია თავად მარკიზი, სცენაზე დაქრის, ვითარც შუმლილი, აბსურდს ნაგავს დღეს ეს კაპრიზი.

მთვარის სასახლე, ქვაფენილები, ქვას ეხეთქება ვერლენის ლექსი, ლამის დათხარონ სიტყვას თვალები, გრიმი, ფიესტა, ტურები ვერცხლის.

და იდგა წუთი... ბიზე, კარმენი, ბისზე სხეული ფეთქავდა რარიგ, აურზაური, ღმერთო, რამდენი, ისმის ეკვდრით ოსანა მთვარის.

ყოფნა-არყოფნა! დაწერეს ერთხელ, საწუთროს ფარსი, ვერაგი, მართლა, ნიშნისმოგებით იქნევენენ ხელებს, სტვენა! ფინალი! დაუშვით ფარდა!

ყოფნა-არყოფნა! დაწერეს ერთხელ, საწუთროს ფარსი, ვერაგი, მართლა, ნიშნისმოგებით იქნევენენ ხელებს, სტვენა! ფინალი! დაუშვით ფარდა!

ნანა ცინცაძე

ასკინკილა

ასკინკილით გავიხურე კარი, აღარ მინდა მოშურნესთან დავა. მტრის სახელით არზა გავაკარი, გზებს მიხლართავს არეული ქარი, სანამ ზღვიდან ჩემი გემი გავა.

მედია გურგენიძე

გონს მოღით

ჰეი, გონს მოღით, ნუ ეტრფით ეშმას, მთები დამძიმდა ცოდვის ღრუბლებით, ვიბრძოლოთ ერთად მამულის მზეზე, თორემ ყველანი დავიღუპებით.

ია ხასაია

სხვა როცა მიწებს ზომავდა, ზორბებს, შენ ფრთააზვინულ ქარიშხლებს ახლდი, მინის მაგივრად ცა მოიზომე და ვარსკვლავების გვერდით დასახლდი.

იამზე არველაძე

გვარს ერთმანეთის თაყვანს ვცავთ

გრიგოლ რობაქიძის ჩამომავალს და დიდ სამამულო ომის წლებში დავით არველაძის აღზრდილს - ქართული სიტყვის მოჭირნახულეს 90 წლის ბატონ დავით რობაქიძეს!

წმინდა გიორგის ტაძარო - გოგნის მთის მკერდით მზისფერობ. ღვთისმშობლის ეკლესია ვარ - ვანიდან, მხარი გიმშვენო! ქანდაკებულნი ქვის ხანით... მოვსულვართ ამ ჩვენს ერამდე, ქართული სინდის-ნამუსით

გელა ბუილიშვილი

N-ს

შენთვის გავთალე მე ლერწმის ყელი: შენ იყავ მთელი სიცოცხლეც ჩემი, შენ დარჩი ჩემი სიცოცხლის მსმელიც. არ შეინყნარე ჩემი მუდარა, ალერსი, ტრფობა უმხურვალესი, სეტყვით მესროლე შავი სუდარა და მგრგვინვარება მრისხანე ზევსის.

მზის გაცილება

რომ მილეულა მზე ზღვის ტალღებში და სადღაც გემის გამოჩნდა ბოლი, გაიხმინა მედგარმა ტალღამ და ზღვის ჰორიზონტს ეკვეთა ზოლი. ჩუმად აირნა პალმათა ღერი, დაემშვიდობა ერთგულ მეგობარს, ლერწამი უსტვენს ყელშენადღერი, მზის გაცილებას ესეც ეყოფა.

ნათელა გოხელაშვილი

სოსო სიგუას

ბევრი არ არის მოყმე ასეთი, რომე უძგერდეს ქართულად გული, გაყალბებული ისტორიისთვის ბრძოლადაღლილს რომ მოჰგვროდეს რული. კლამძლიერი, სიტყვა მართალი, ქუჯისეული ფარის მხმობელი, მართალი სიტყვის ბასრი მახვილით ღალატთან კაცის მგმობელი, ბევრი არ არის მოყმე ასეთი.

ეკატერინე გაბედავა

მზას

ვიღლები ისე, თითქოს სიბერემ შემომიღენა ნორჩი სხეული, მზეო, გთხოვ, სული შემომიბერე ცა გამინათე ჩამოქცეული... მზეო, გაზაფხულს ველოდი, ახლაც, ამ მოლოდინით ვაღებ დარაბებს, ისეც მომინდა შენს სხივთან შეხლა, ვიღლები, ვშფოთავ, მოვიავადე... კვლავინდებურად... თითქოს სიბერემ შემომიღენა ნორჩი სხეული, მზეო, გთხოვ, სული შემომიბერე, ცა გამინათე ჩამოქცეული.

ციცინო ბაბუციძე

ორნი... სიმარტოვანი...

ჩემს მუღლეს - თამაზ ლურსმანაშვილს

ვერ დავანებე, მთელი ღამე ნამწამს ნამწამი, სიბნელე, მთვარის ვერცხლისფერი სხივებით ვთიბე, მეძახდი!... გულთან ჩამეტოლე, როგორც ნაწალი და ვით ცის ელვა, ნაპერკვლებად ჩაჰყევი თითებს... გადაუარა ჟრუანტელმა ბინდისფერ ოთახს, და სიმარტოვან გამოალო გულის ფანჯარა, მომინდა უცებ, შევხებოდი თითებით ცის თალს, აღარ გამეშვი იმ ცის იქით დასაკარგავად... ვერ მოგიხელთე... თუმც ვიყავით ოთახში ორნი, უცხო სიმწვანე გელვრებოდა თვალთა უკედან, ოთხივ კუთხიდან უფერული სევდით მიმზერდი, - გული მტრედით ამიფრინდა სველი უბიდან... გააფერმკრთალა დილის სხივმა ჩემი სარკმელი და კვლავ ტკივილით ჩაირაზა გულის დარაბა, გაიყოლია ღამემ შენთვის ჩუმი სათქმელი, უშენოდ შევრჩი ამქვეყნიურ დავიდარაბას!

ნინო უძილაური

მხატვარმა შექმნა ნახატი, ტილო, აქცია ლამაზ, უკვდავ შედეგად, პოეტმა წერა სტრიქონი თითო, ააბრიალა მუზა ლექსებად. მოქანდაკემაც შთაბერა სული, გამოძერწილ და ღვთიურ ქმნილებას, ხელოვნებაა დიდი და სრული, როცა გიყვარს და ქმნი ღმერთის ნებას. რადგან უფალმა სამყარო ერთ დროს, შექმნა სიტურფით და წრფელი გულით, ამიტომ უნდა, უნდა გიყვარდეს, რადგან მუზაა ეგ სიყვარული.

ეკა ქაჯაია

ზამთრის სონეტი

ამ დღეებს შენი აკლიათ სუნთქვა (დღე უსულაო გარეშე რომლის) და როგორც ზამთრის ხეივანებს სურდათ, ისეთი თბილი მოვიდა თოვლი... მდინარესავით ნალექა ხედი, ცა, ჰორიზონტი, მთელი ბუნება, ნაშალა ყველა კვალი და ხიდი, დავტოვე, რაც შენს დასაბრუნებლად... არც შარშანდელი დარჩა ამბიდან, გამოყოლილი სევდა სიცივის და შუალამის შუშაბანდიდან, შენს ნაცვლად ახლა თოვლი მიცინის...

ფიქრია ბროლაშვილი

გილიკი შენაშაძე

ახლა უშენობა სულის კედლებს ღენავს, ცივი, ფერმიხდილი, უღმრთო ამინდია, ღამე მთვარის შუქზე სილუეტებს ძერწავს, ფიქრმა ოცნებები ისეც ამირია. მთვარე გარინდულა, თითქოს აღარ მისმენს, მითხარ ვის შევჩვილო ამ გულის დარდები, იცი, უშენობას მართლა ვეღარ ვითმენ, თვალებს სწყურისხარ და სხეულს ენატრები.

ჯუბა ღებელი

დღეს უნდა გნახო, შენი ნახვა დღესვე მჭირდება, დღეს უშენობა უსაშველოდ გამიჭირდება!... შემოდი ჩემში, ვით მზე ჩადის ზღვაში დაისზე, გაყინულ გულზე შემოგახვევ ედღევაისებს!... მოდი და დარჩი, ერთად ვიყოთ, სანამ ნავალთ იქ, მე ზღვა ვიქნები, შენ მდინარე - ანუ ნაწალი!... ვსვათ ერთმანეთი, ვარსკვლავებად ვენტოთ სამყაროს, ველარაფერმა ვერასოდეს ვეღარ გაგყვაროს!... ცრემლი სდიოდეთ, ოღონდ თვალებს, მაგრამ არა გულს, დრო მიდიოდეს, არ ნიშნავდეს წასვლა დასასრულს!...



ეთერ ზარიძე - 75

75 ლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი პოეტი ეთერ ზარიძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ქალბატონო ეთერ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი თანამოკალმე ქართველი მწერლები სიყვარულით მოგესალმებიან ქართული სამწერლო ოჯახის ღირსეულ წევრს და გილოცავენ დაბადების 75 წლისთავს.

თქვენი ლიტერატურული დებიუტი 1982 წელს შედგა, როდესაც გაზეთ „თბილისელ ფიქარში“ პირველი ლექსები გამოაქვეყნეთ. მას შემდეგ თქვენი ნაწარმოებები - ლექსები და მხატვრული თარგმანები სისტემატურად ქვეყნდება ქართულ პერიოდიკაში, გამოდის ცალკე წიგნებად.

თქვენმა ლექსებმა, დიდი შინაგანი ექსპრესიითა და გულწრფელობით გამორჩეულმა ლექსებმა, რომლებმაც დაივიწყა ისეთ პოეტურ კრებულებში, როგორცაა „მე და რეული“, „მონატრება და ცრემლი“, „ობოლი საფლავი“, „მე სიყვარულის სიმღერად მოვალ“, „მეწვია დარდი - ღამის მეკობრე“, „ბოლო აკორდი“, „შემოდგომაზე მომანატრე მწვანე აპრილი“, „ფიქრები საქართველოზე“, „თოვლის სონეტი“, „რჩეული“, იმთავითვე მიიქცია გემოვნებისანი და მომთხოვნი ქართველი მკითხველის ყურადღება. მიიქცია იმიტომ, რომ ეს ლექსები და მათი ავტორიც ქართული მიწის, მისი წარსულის, აწმყო-სა და მომავლის ჭეშმარიტ მეციხოვნეებად გვევლიანებინა. თქვენ ხომ ყველა საღად მოაზროვნე ქართველის დარად გული გიკვდებათ იმის შემხედვარეს, თუ როგორ პატარავდება შაგრენის ტყავივით თქვენი საესავი მამული, როგორ იჩხება ხრამში სიმართლე და სათნოება, როგორ არ გამოუჩნდა დღემდე ღვთისმშობლის წილხვდომილ ქვეყანას ერთი ჭეშმარიტი გულშემბატკივარი და ქომავი... ამიტომაცაა, რომ გსურთ გაზაფხულის წვიმებად, სიყვარულის სიმღერად მოველინოთ სამშობლოს და გადარეცხოთ ის ჭუჭყი და ლექი, რაც წამლავს და ატიალებს მის ღვთაებრივ სხეულსა და სულს, განა არ იცით, რა ძნელია ყოველივე ამის გაკეთება, განა არ იცით, რომ ამ ვეება გალაქტიკაში პოეტი ყაყაჩოს ერთი ცრემლია მხოლოდ, მაგრამ ისიც იცით, რომ ამ ცრემლს ყველა უწმინდურობისა და ბოროტების წალეკვა ძალუძს...

თქვენი საუკეთესო ლექსები, რომლებიც თარგმნილია აზერბაიჯანულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე, შესულია არაერთ მნიშვნელოვან გამოცემაში, ისეთებში, როგორცაა ქართული პატრიოტული პოეზიის ანთოლოგია, ქართული პოეზიის ანთოლოგია (ორ ტომად), მსოფლიო პოეტ ქალთა ანთოლოგია. გერმანული ენის სრულყოფილად ცოდნამ შეგაძლებინა მშვენივრად გეთარგმნათ დიდი გერმანული პოეტების იოჰან ვოლფგანგ გოეთესა და ჰაინრიჰ ჰაინეს ლექსები.

თქვენი ინიციატივითა და რედაქტორობით გამოიცა მეტად საყურადღებო პოეტური კრებულები „საქართველო და ქართველი პოეტები“ და „უსიყვარულო“.

სხვადასხვა დროს მუშაობდით პედაგოგად სკოლაში, ივანე ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში უფროს ლაბორანტად, ადამიანთა უფლებათა დაცვის ასოციაციაში ეკონომიკურ-სოციალური კომისიის თავმჯდომარედ, ჟურნალ „ჰარმონიის“ ლიტერატურულ მუშაკად.

თქვენი მრავალწლიანი ლიტერატურული საქმიანობა ღირსეულად დაფასდა. მონიჭებული გაქვთ გიორგი ლეონიძისა და ანა კალანდაძის სახელობის პრემიები, დაჯილდოებული ხართ ქართული კულტურის ამაგდარის ნოდებით და „თამარიონის ენდალმით“.

ქალბატონო ეთერ!

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს ძვირფას თანამოკალმეს, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და თქვენი სანუკვარი ოცნებების ახდენას გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი

ერის გალკიქების ზარებს არისხვებს

ეთერ ზარიძის ლექსი სწორედ იმგავრი ლექსია, თანამედროვეობას რომ სჭირდება; სიფხიზისკენ მომწოდებელი, ერის საუკეთესო თვისებების გაფხავების, წინაპართა რაინდული თვისებების შეთვისების და სამშობლოს გუშაგობის მებარიხებელი.

სიამაყით მავსებს ეთერ ზარიძის ლირიკული გამირის ქედუხრელობა, გადამდებია ქვეყნის უილაჯო მდგომარეობით გამოწვეული მისი სევდა. ხმლის ვადისკენ გაქცევა გულიან მკითხველს ხელი მისი ომანიანი ლექსის წაკითხვისას.

დღეს, როცა ლექსი გაავსო ვეგეტარიანულმა, გამოგონილი პოსტმოდერნიზმით დაპურებულმა, უჯიგრო, უსისხლო და უსქესო სტრიქონებმა, ქართული პოეზიის თავანზე ამოიზარდა ეთერ ზარიძის ლექსი.

სიყვარულიანი მოლოდინით ველოდები მის ყოველ ახალ წიგნს და ამ სიყვარულისა თუ მხარდაჭერის დასტურია ეს სტრიქონებიც.

გილოცავ, ჩემო ეთერ!

რევაზ მიშველაძე

რუსთაველის პრემიის


ლაურეატი, ნობელის პრემიის ნომინანტი.

ეთერ ზარიძე

გულისტკივილით

მეც მერქვა ერთ დროს ღამაში ქალი, თაყვანისმცემლებს მეც ვყავდი ხატად... დღეს კი წარსულის ღამაზე სურათებს გულისტკივილით ლექსებში ვხატავ.

მეც მიქროლია ღრუბლების მაღლა, მეც ვიყავ სხვისი დასაფიცარი, დღეს ჩემს ამაყ სულს მოუხმობს დაღლა, ხორცს კი - წყეული კუბოს ფიცარი.



ნაირა მარშანია - 75

75 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე ნაირა იროდიონის ასული მარშანია. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ჩვენო საყვარელო ქალბატონო ნაირა!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულმხურვალედ მოგესალმებიან ჩინებულ შემოქმედს, დიდებულ საზოგადო მოღვაწეს და გილოცავენ ღირსშენიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში - დაბადების 75 და ლიტერატურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის 60 წლისთავს.

თქვენ ქართველ მწერალთა იმ გუნდს ეკუთვნით, რომელიც ფესვებით, გულით და შთაგონებით აფხაზეთთან - საქართველოს ამ უმშვენიერეს კუთხესთანა დაკავშირებული და ქართველთათვის ჭირთათმენის, ვაჟკაცობის, ქედუხრელობის, ამტანობის ერთ უმშვენიერეს მაგალითს წარმოადგენს.

თქვენი პირველი ლექსი „ეს შენი ტიტა“ 1960 წელს გამოქვეყნდა. პირველი წიგნი კი, „იასამანი“ რომ ერქვა სახელად, სოხუმში დარჩა გამოუცემელი, დარჩა ისევე, როგორც თქვენი გული, თქვენი სული, თქვენი ფიქრები და ზრახვანი.

თქვენი პოეტური კრებულები „ჩემი წუთისოფელი“, „მოგონება მონატრების ცრემლია“ ცრემლიანი კრებულებია, ოღონდ ამ ცრემლის შემწვევა ძალზე ძნელია. ის ხომ თქვენს გულში იღვინთება და მერმე უმშვენიერეს სტალაგმიტებად დაკრისტალბულ ლექსებად ამოზრდილი სალბუნად ედება მკითხველის სულსა და გულს, რადგანაც სიკეთისა და სათნოების იდეალებს აზიარებს. ამ ლექსებზე, არაერთი მშვენიერი სიმღერა შეიქმნა.

სიკეთე და სათნოება იღვრება თქვენი ისეთი პუბლიცისტური კრებულებიდან, როგორცაა „მოგონებები დაბრუნებამდე“ და „ადრე თუ გვიან“, რომლებიც ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებს ეხება და საძმოდ განვდილ ხელს წარმოადგენს აფხაზი ხალხისადმი. „ადრე თუ გვიან“ რუსულადაც ითარგმნა. „შენთვის ემღერება გულს“ - ასე ჰქვია იმ კრებულს, რომელიც აფხაზეთიდან დევნილი შემოქმედების სულიერ ღაღადისს წარმოადგენს და თქვენი, როგორც შემდგენლის, მაღლიანი ხელი ატყვია.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ სწორედ თქვენი სცენარის მიხედვით გადაღებულ იქნა მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი „ადრე თუ გვიან“. ამ ფილმს წარმატება ხვდა წილად მართლმადიდებლური ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე, სადაც თქვენ, როგორც გამარ-

ჯვებულ სცენარისტს, სიგელ-გუჯარი გადმოგეცათ.

ნაყოფიერი საზოგადო მოღვაწე ხართ. სად არ გიმოღვანიათ. იყავით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილიალის - სოხუმის ბოტანიკური ბაღის მეცნიერ-მუშაკი, აფხაზეთის უზენაესი სასამართლოს საფინანსო-სამეურნეო სამმართველოს უფროსი, წლების განმავლობაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში მეტად საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მუშაობდით და მართლწესრიგის დაცვას ემსახურებოდით. დამფუძნებელი და პრეზიდენტი ხართ მწერალთა, ხელოვანთა და საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „გულანისა“, რომელმაც თავისი არსებობის ხანმოკლე პერიოდში უკვე გამოიჩინა თავი არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიებების ჩატარებით. აქ მარტო აკადემიის ლიტერატურული ანთოლოგიის ხსენებაც კი იკმარებდა, რომელსაც თქვენი მაღლიანი ხელი ატყვია. თქვენი მხარდაჭერით და თანადგომით გამოდის ჟურნალი „გზა მომავლისა“...

თქვენი პოეტური ნიჭიერების დასტურია ისიც, რომ ქართული პოეზიის ანთოლოგიასა და მსოფლიოს ქალთა პოეზიის ანთოლოგიებში დაბეჭდილია თქვენი საუკეთესო ლექსები.

თქვენი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი საქმიანობა ღირსეულად დაფასდა. მონიჭებული გაქვთ გიორგი შარვაშიძის, ნიკო ნიკოლაძის, ნიკო ლორთქიფანიძის, მარიკა ბარათაშვილის სახელობის პრემიები, წმინდა ილია მართლის სახელობის პროზა-პოეზიის პრემია „ივერია“, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაღლობის სიგელი, ქართული კულტურის დესპანის, „ღვანლმოსილის“, „ამაგდარის“ ნოდებები. თქვენს ჯილდოებს ამშვენებს „თამარიონის ენდალმა“ და „მშვიდობის ვარსკვლავი“...

ქალბატონო ნაირა!

თქვენს კოლეგებს და არამარტო მათ ხიბლავთ სათნოებით, სიკეთისა და მაღლის ქმნის დაუოკებელი სურვილით, ოპტიმიზმითა და გაუტყუაობით...

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს მშვენიერებით გამორჩეულ შემოქმედს, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და შემდეგი საიუბილეო თარიღის თქვენს საესავ სოხუმში აღნიშვნას გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი

ნაირა მარშანია

როს დასასრული დასაწყისია

გულს ფორიაქის დაუდგა ჟამი და საოცარი კვალი დატოვა, სევდით ვიხსენებ ჩემს ოდაბადეს და ტკივილებთან ისევ მარტო ვარ.

იმ მონატრებას წარსული ჰქვია, რაც იქცა ლექსად, ხსოვნის ღირსია და დასასრულის სამანთან ვხვდებით, რომ დასასრულიც დასაწყისია.

ნახსენის ფუხედები

იაკობ პაპიაშვილი

დაკარგული სოციალიზმი

„დიდი სამამულო ომის დროს, ხრუშჩოვი სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის სამხედრო საბჭოს წევრი და ნიჟნი არმიის კვიტან (1941) და ხარკოვთან (1942) კატასტროფული ალყის ერთ-ერთი დამნაშავე იყო“ - ვიკიპედია.

სიმართლე უნდა ვთქვათ, 1942 წლის 28 მაისს ადოლფ ჰიტლერი დიდების მწვერვალზე იყო ასული. ნიჟნი არმიის ნაწილები ხარკოვის მისადგომებთან ბარვენკოვის რაიონში იყვნენ გარემორტყმულნი. ხარკოვისთვის ბრძოლის პერიოდში გერმანელებმა შეიპყრეს 240 ათასი ნიჟნი არმიის ჯარისკაცი, ხელში ჩაიგდეს მრავალი ტანკი და იარაღი, ამავედროულად ბევრი საბჭოთა გენერალი და ოფიცერი დაიღუპა ან დაიკარგა ... სამხრეთ-დასავლეთის მიმართულების სარდლობა, ს. ტიმოშენკოს, ი. ბალრამიანის და ნ. ხრუშჩოვის შემადგენლობით, რომლებმაც სამარცხვინოდ შესძლეს ალყიდან გასვლა, უმაღლესმა მთავარსარდალმა დაინდო.

ისმის კითხვა: რატომ? ჯერ კიდევ 18 მაისს მუშურ-გლეხური ნიჟნი არმიის გენერალური შტაბის უფროსმა ა. ვასილევსკიმ მთავარ სარდლობას შეთავაზა წინადადება ხარკოვის მიმართულებით შეტევის შეწყვეტის შესახებ და ბარვენკოვის კლდის მგერილიდან ჯარების გამოყვანის დაწყება, მაგრამ ტიმოშენკო და ხრუშჩოვი უმტკიცებდნენ უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკს, რომ შტრის მუქარის საშიშროება გაზვიადებულია და ოპერაციის წარმატებით დასრულება შესაძლებელია. სამწუხაროდ მთავარსარდალმა დაიჯერა არა ვასილევსკის წინადადება, არამედ ოპერაციის უშუალო ხელმძღვანელების მცდარი ვერსია.

ი. ბ. სტალინმა ხარკოვის ოპერაციაში ნიჟნი არმიის დამარცხებას კატასტროფა უწოდა.

სამხრეთ-დასავლეთის მიმართულების სარდლობას, რომელიც ა. ს. ტიმოშენკოს, ი. ბალრამიანის და ნ. ხრუშჩოვისაგან შედგებოდა, უმაღლესმა მთავარსარდალმა გახსტყვად:

„თუ საბჭოთა ხალხს ვეტყვი სიმართლეს და შევაცხობინებთ იმ კატასტროფის შესახებ, რომელიც განიცადა ფრონტმა და კვლავ განიცდის, ვიძიებ თქვენ ძალიან მკაცრად მოგექცევიან.“

გავიგონებ, რატომ დაზოგა სტალინმა ხარკოვის მახლობლად მომხდარი ტრაგიკული ხოცვა-ჟლეტის დამნაშავენი, განსაკუთრებით ხრუშჩოვი, რადგან იგი მთავარბანაკის წარმომადგენელი იყო სამხრეთ-დასავლეთ ფრონტზე, როგორც სამხედრო საბჭოს წევრი.

ლახარ კავანოვიჩი ხომ არაერთხელ აფრთხილებდა იოსებ ბესარიონის ძეს, რომ ხრუშჩოვი ტროცკისტი იყო.

იქნებ მისი მუულის ნადეჟდა ალილუევას ხსოვნას მთავრად ვატივი, რომელმაც ხრუშჩოვის კანდიდატურას კომუნისტური პარტიის უმაღლესი ეშელონში გაუწია რეკომენდაცია?

ასეა თუ ისე, ერთი თვის შემდეგ გერმანელებმა აიღეს ქალაქი როსტოვი; კავკასიის და ვოლგის მიმართულებით გზა ხსნილი იყო. თუ ისინი ბაქოს ნავთობს ხელში ჩაიგდებდნენ, სტალინგრადის დაპყრობა გაუადვილებოდათ. მოგვიანებით პაულიუსის მე-6 არმია სტალინგრადისაკენ დაიძრა... მაგრამ, როგორც დიდი

სამამულო ომის შემდგომმა მოვლენებმა ცხადყო, 1942 წლის მაისში ხარკოვის მისადგომებთან გამარჯვება ვერმახტისათვის ბოლო შეიძინა აღმოჩნდა.

ხარკოვთან მარცხის შემდეგ, 1942 წლის 28 ივლისს, უმაღლესმა მთავარსარდალმა იოსებ სტალინმა გამოსცა ცნობილი ბრძანება 227, მკაცრი და დაუნდობელი, უფრო ცნობილი როგორც „არც ერთი ნაბიჯი უკან!“

დღეს ზოგიერთი ქართული ტელეარხი (ისინი ცდილობენ შეცდომაში შეიყვანონ ე. წ. პერესტროიკით გაბრწყინებული, გაბითურებული, გადატაცებული ადამიანები, განსაკუთრებით აფხაზეთში და სამაჩაბლოში, სადაც დევნილი ქართველი ხალხის სამოსახლოებს და სინმინდებს გადაამთიელები დაეპატრონენ და ეპატრონებინან - ი. პ.) არასწორად უხსნიან მკაცრად რუსეთის რევოლუციის არსს - ამბიხიზებენ სსრკ-ში 1917-1918 წლებში განვითარებულ მოვლენებს, რაც რუსული ასლია. აქ ჩამოვთვლი მოვლენების დამახინჯების რამდენიმე მაგალითს:

1. ისინი ამბობენ, რომ თითქოს სტალინმა შექმნა გულაგი (ГУЛАГ). არასწორია რა თქმა უნდა! გულაგამდე არსებობდნენ საკონცენტრაციო ბანაკები, რომლებიც ტროცკისა და ლენინის მიერ იყო შექმნილი ... უბრალოდ, სტალინმა ამ დაწესებულებებს სახელი გადაარქვა უფრო კულტურული სახით: „ბანაკების მთავარი სამმართველო - Главное управление лагерей - (ГУЛАГ)“.

2. „სტალინური რეპრესიები“ - ტერმინი ძალზე არაზუსტია. ამ ტერმინს მთელ მსოფლიოში იყენებენ, განსაკუთრებით კი რუსეთსა და საქართველოში. „სტალინური რეპრესიები“ ნიშნავს სტალინის მიერ ხელმოწერილ სიებს, მაგრამ აქ მხედველობაში არ მიიღება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის (НКВД) და ნიჟნი არმიის (РККА) ბრძოლა ტროცკიზმისა და სოციალიზმის სხვა მტრების წინააღმდეგ.

ლ. პ. ბერიას (25.11.1938) შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის (НКВД) - ის ხელმძღვანელად დანიშნა მდე ამ სტრუქტურებს ხელმძღვანელებდნენ გ. გ. იაგოდა და ნ. ი. ყუივი.

ამჟამად, რომ ე. წ. „სტალინური რეპრესიების“ სხვა მტრების ნიშნავს მათ, რომლებმაც პარტიის ცენტრალური კომიტეტისგან, მალენკოვისა და ხრუშჩოვისგან შესაბამისი მითითებები მიიღეს.

ექსპრეტების აზრით (ა. ს. ბარსენკოვი და ა. ვდოვინი) „ლ. პ. ბერიას НКВД - ის ხელმძღვანელის პოსტზე მოსვლასთანავე, რეპრესიების მასშტაბი მკვეთრად შემცირდა.“ ცნობილია, რომ სანამ ბერია ამ პოსტზე დაინიშნებოდა, სტალინი დიდი ხნის განმავლობაში ეძებდა შესაფერის პიროვნებას შსს (НКВД) - ის ხელმძღვანელის პოსტზე, იმისათვის რომ შეემცირებინა დასახვერეტა რიცხვი „ტროცკისტულ-ზინოვიევი ბლოკის“ შემადგენლობიდან, რომლებიც სახელმწიფო პოლიტიკური სამართველოს (ОПТУ) მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდნენ.

აქ უნდა გავიხსენოთ დეკემბერი, რომელიც ხრუშჩოვმა გაუგზავნა სტალინს რეპრესიების მიმდინარეობის პერიოდში. დეკემბერს ხანგრძლივ ისტორია აქვს, მისი ტექსტი თავდაპირველად გამოაქვეყნა ჩუიევა მოლოტოვის გადმოცემის მიხედვით.

(როგორც ამბობენ, საარქივო მასალები არ არსებობს - ი. პ.). აი, თვით დეკემბერი: 1938 წელს სტალინი კვივიდან იღებს ხრუშჩოვის დეკემბის საყვედურით:

„მეორეხარისხი იოსებ ბესარიონის ძე! უკრაინა ყოველთვის უნდა აგზავნი 17-18 ათას რეპრესირებულს, მოსკოვი კი ამტკიცებს არა უმეტეს 2-3 ათასს. ვთხოვთ, სასწრაფოდ მიიღოთ ზომები. სიყვარულით, ნ. ხრუშჩოვი.“

ამაზე პასუხად ხრუშჩოვი იღებს მოკლე დეკემბს: „დაწყნარდი, სულელი! ი. სტალინი.“

არანაირი პიროვნების კულტი არ არსებობდა. ხრუშჩოვმა მალენკოვის დახმარებით (ი. პაპიაშვილი „დავიწყებული ბელადი“) შეცდომაში შეიყვანა, მოაჭყუა საბჭოთა ხალხი (საბჭოთა კავშირის XXII ყრილობაზე, რომელიც ჩატარდა 1961 წლის 17 ოქტომბერს, ნ. ს. ხრუშჩოვმა გამოსვლისას განაცხადა, რომ 20 წლის შემდეგ სსრკ-ში კომუნისმი აქნდება), ნოვოჩერკასკში სისხლში ჩახსო მთავარსარდალმწიფი ქარხნის მუშების მშვიდობიანი, მრავალათასიანი მიტინგი, თბილისში ტანკები შეიყვანეს, დაიწყეს ქართველი მოქალაქეების სიკვდილით დასჯა, გააძევეს პასტერნაკი მწერალითა კავშირიდან, მიიღეს მცდარი გადაწყვეტილებები სოფლის მეურნეობაში, (კერძოდ, არასწორი გადაწყვეტილება ყამირი ნიშნის ათვისების საქმეში) რამაც გამოიწვია პურის გაქრობა სსრკ-ში. მის სინდისზე ავანგარდიზმის მიმდევარი მხატვრების დევნა, ერთ ლამეში (1961 წლის 12-13 აგვისტოს) ააშენა ბერლინის კედელი ე. წ. „სამარცხვინო კედელი“. აქამდე საზღვარი გდრ-სა და ფრგ-ს შორის მოსახლეობისათვის თავისუფალი იყო.

და რაც მთავარია, მან მოახსო ანტირელიგიური კამპანია, დახურა ეკლესიები, სინაგოგები, დააპატიმრა მღვდლები, რაბინები და რელიგიური მრწამსის მქონე ადამიანები.

რელიგიის მოძულე კარლ მარქსმაც კი თქვა, რომ რელიგიასთან ბრძოლის ძალადობრივი მეთოდები უშედეგო და მიუღებელია. რასაკვირველია რევოლუციის ვარაუდებზე სტალინს ესმოდა პარტიის მიერ (ლენინი, ტროცკი) გატარებული რელიგიური პოლიტიკის უფუერობა და როგორცაა მოახერხათ თავის არიდება, არ მიიღო მასში მონაწილეობა. ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე ჩვენ გვაქვს საფუძველი მტკიცედ ვთქვათ, რომ საკუთარი მართლმადიდებლური მრწამსისათვის (გორის სასულიერო სასწავლებელი და თფილისის სასულიერო სემინარია - ი. პ.) მას თავის სიცოცხლეში არ უღალატინა.

ამჟამად, რომ მას არ შეეძლო საჯაროდ შეინახა მღვდლები პარტიის ხაზს, რომელიც მიზნად ისახავდა რელიგიის სრულ განადგურებას, რადგან მას გააძევედნენ არა მხოლოდ ხელმძღვანელებიდან, არამედ პარტიიდან, ანუ დახვრიტდნენ.

მაგრამ როცა 1922 წელს ლენინმა იგი პარტიის გენერალური მდივნის პოსტზე დაინიშნა, უკვე ერთი წლის მერე, ლენინის სასტიკი მოწოდების მიუხედავად მართლმადიდებლური რელიგიის მოსპობის შესახებ, სტალინის ინიციატივით

სსრკ ყველა პარტიულ ორგანიზაციაში იგზავნება საიდუმლო ცირკულარული წერ-

ილი (განკარგულება) 30 - 16.08.1923 წ.

„რელიგიური ორგანიზაციების მიმართ დამოკიდებულების შესახებ“

წერილის ტექსტი ნათქვამია, რომ მე-11 ყრილობის გადაწყვეტილების თანახმად, აუცილებელია „გულდასმით მოერიდოთ მორწმუნეთა გრძობების შეურაცხყოფას“, რომ „რწმუნისა და თაყვანისცემის საგნების დაცვნა ... კი არ აჩქარებს, არამედ ართულებს მშრომელთა მასების რელიგიური ცრურწმენების განთავისუფლებას“. წერილში მიუთითებდნენ: აიკრძალოს ეკლესიებისა და სალოცავი შენობების დახურვა; აიკრძალოს რელიგიური ხასიათის დაპატიმრებები ... (როგორცაა გაიგებდნენ ადგილობრივი ხელმძღვანელები ადგილზე, ეს სხვა საკითხია - ი. პ.).

მოგვიანებით, რეპრესიების მიუხედავად, სტალინმა შესძლო საგანგებო ნაბიჯის გადადგმა: 1939 წლის 11 ნოემბერს საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკები) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიურომ (ЦК БКП(б)) მიიღო უპრეცედენტო გადაწყვეტილება:

„ამიერიდან მიზანშეუწონლად იქნეს ცნობილი სსრკ შსს (НКВД) ორგანოების მიერ რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის მსახურთა დაპატიმრება და მორწმუნეთა დევნის პრაქტიკა... ამავე დროს, ამხანაგ ულიანოვის (ლენინის) 1919 წლის 1 მაისის №366-2 ინსტრუქცია „ბრძოლა მღვდლებსა და რელიგიის წინააღმდეგ“, საკავშირო საგანგებო კომისიისთვის (БЧК) ამხანაგ ძერჟინსკისთვის გაგზავნილი და ყველა შესაბამისი ინსტრუქცია რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მსახურთა და მართლმადიდებელი მორწმუნეების დევნის შესახებ, გაუქმდეს.“

ამ რეზოლუციიდან ჩვენ მხოლოდ მცირე ნაწილი ამოვხეივთ, მაგრამ ვფიქრობ, მკითხველი მაინც მიხვდება, რომ რუსი და ქართველი ანტისტალინისტების განცხადებები იმის შესახებ, რომ თითქოს სტალინი კაციაშია და კანინალი იყო, სუსტი ტყუილია, უბრალოდ გამოგონილია.

საბჭოთა მწერლის პირველი ყრილობა

1934, აგვისტო. მოსკოვში გაიმართა საბჭოთა მწერლების პირველი საკავშირო ყრილობა. ყრილობის მუშაობაში 600-ზე მეტმა საბჭოთა მწერალმა მიიღო მონაწილეობა. ქართული დელეგაცია მოსკოვში 30 კაციანი შემადგენლობით გაემგზავრა. მინვესტი იყო 40 სტუმარი უცხოეთიდან. საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ მსოფლიოს პროგრესულმა საზოგადოებამ პირველად სტალინის ინიციატივით გაიგონა ილი სახელი: შოთა რუსთაველი და „ვეფხისტყაოსანი“. ცარიზმის ეპოქაში „ვეფხისტყაოსნს“ წვავდნენ და ანადგურებდნენ.

ყრილობა გახსნა მაქსიმ გორკიმ. საქართველოდან სიტყვით გამოვიდა დელეგატი მალაქია ტოროშელიძე. როგორც ბესო ჟღენტი გაზეთ „კომუნისტში“ იგონებდა, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მალაქია ტოროშელიძე ყრილობის დაწყებამდე ელქით კვირი ადრე გამოიძახეს მოსკოვში, კრებლში, რადგან საქმეში ჩაერია სტალინი. მის შეკითხვაზე, თუ როგორ ჩამოაყალიბებდა მოხსენებას მწერალთა ამ დეკლარაციის ქართული ლიტერატურის შესახებ, ტოროშელიძემ უპასუხა, რომ მოახსენებდა ყრილობას მნიშვნელოვან მოვლენებზე, იმ ქართველი მწერლების შესახებ, რომლებმაც უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებები შექმნეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში; კერძოდ, გამახვილებდა ყურადღებას ისეთ ნაშრომებზე, რომლებშიც სოციალისტური რეალიზმი მრავალფეროვნად არის წარმოდგენილი. ასეთმა გამონათქვამმა სტალინი თურმე ძალიან აღაშფოთა და ტოროშელიძეს მკაცრად მიუთითა; როგორც ოქტომბრის რევოლუციამდე ჩვენს წინაპრებს კულტურისა და მწერლობის სფეროში არაფერი შეუქმნიათ? გადაეცით ქართველი მწერლებს, რომ მოხსენება უნდა დაიწყოთ რუსთაველიდან მაინც, თუ უფრო ადრეული, ჰაგიოგრაფიული მწერლობიდან არა, „დაე, გაიგოს ყველამ ჩვენს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთაც, როგორი ღირებულების კულტურული განძი შეუქმნია ქართველ ხალხს ოქტომბრის რევოლუციამდე.“ შემდეგ ბესო ჟღენტი იხსენებს, თუ როგორ წერდნენ ქართველი მწერლები მატარებლის ვაგონში პირველ საკავშირო ყრილობაზე წასაკითხ მოხსენებას, რაც დაახლოებით ასე გამოიხატება: „მატარებლის ვაგონის კუპის კართან რიგი იდგა, ყველა დელეგატი ხელში ეჭირა ფურცლები და ითხოვდნენ ბოლო ნაწარმის მოხსენებაში ჩაგვეთო.“

მეორე დღეს, 18 აგვისტოს, მალაქია ტოროშელიძის ყრილობაზე სიტყვით გამოსვლის შემდეგ, კავშირების სახლის სვეტებიანი დარბაზის ფოტოსურათების რიგი გადაადგილდა. საბჭოთა მწერლების პირველი ყრილობის დელეგატებს სვეტებიანი დარბაზის კედლებიდან უკვე ლიმილით ესაღებოდნენ მთელი მსოფლიოსთვის ცნობილი უკვედავი პოეტები, მწერლები, ლიტერატორები: რუსთაველი, პუშკინი, შევჩენკო, გოგოლი, ჰენე, მოლიერი, ნეკრასოვი, სალტიკოვ-შჩედრინი, ბალზაკი.

ყრილობის მიმდინარეობის დროს, ერთ-ერთ ლიტერატურულ სადამოზე მწერალმა ნ. ტიხონოვმა ნაიკითხა გალაკტიონის ლექსების თარგმანები რუსულ ენაზე.

საბჭოთა ლიტერატურის ძირითად მეთოდად ყრილობამ მიიღო სოციალისტური რეალიზმი.

პირველი საკავშირო ყრილობის მიმდინარეობის დღეებში, ყრილობის ახალგაზრდა დელეგატმა, პოეტმა ირაკლი აბაშიძემ შექმნა უკვედავი ლექსი:

„უცებ ღელვა და ჟრუანტელი, უცებ თვლებში ბედნიერი აღმასის წვეთი, კავშირთა სახლში შემოვიდა დიდი ქართველი და ტრიბუნასთან დაიკავა პირველი სვეტი!“. „რუსთაველის სახე სვეტებიან დარბაზში“ აღნიშნულის ფონზე, რა თქმა უნდა, საინტერესოა რატომ შეიკავა თავი სტალინმა ნოე ჟორდანის საქართველოში დაბრუნებაზე, როცა ამის შესახებ მას რამდენჯერმე შეახსენა პეტრე შარია.

როგორც ადრე ვწერდი 1921 წლის 20-21 თებერვალს ქართული განძი (249 ყუთი) თბილისიდან ჯერ ქუთაისში, შემდეგ კი ბათუმში გადაიტანეს და თავდაპირველად ფრანგულ სამხედრო გემზე კრისერ „ერნესტ რენანზე“ დააკაბადონეს.

249 ყუთი პირობითი გამოთქმაა, ვინაიდან განძს აფასებდნენ ყუთებში, ტომრებში, ხელჩანთებში და ა. შ.

ღვთის კაცის, ექვთიმე თაყაიშვილის გარეშე ამ საქმის გახაზირება საქართველოში არავის შეეძლო, რადგან მხოლოდ მან იცოდა სად, რომელ ტაძარში, რომელ მონასტერში, რომელ ეკლესიაში ინახებოდა სრულიად საქართველოს განძეულობა. მასში შედიოდა: თბილისის მუზეუმების ძვირფასეულობა, ოქრო-ვერცხლის ხატები, თვალ-მორგალიტით მოჭრილი დიადემები, ზუგდიდის და დიანისეული სასახლის განძეულობა, გელათისა და მარტვილის სამონასტრო ქონება, თბილისის, ბორჯომის და ლიკანის სასახლეების ძვირფასეულობა, ქართული მინანქრების ძვირფასი კოლექცია და ვინ იცის კიდევ რა. ტყუილად ენაშტევირებენ პატივცემული ქართველი მკვლევარები, როცა გვიმტკიცებენ თითქოს ივანე ჯავახიშვილის გავლენით გადაწყვიტა ექვთიმე თაყაიშვილმა საქართველოს აურაცხელი სიმდიდრის საზღვარგარეთ გატანა. ივანე ჯავახიშვილი აქ არაფერ შუაშია, ყველაფერი ნოე ჟორდანისაა განკარგულებით მოხდა.

ის, რომ ბატონი ექვთიმეს თვალსაწიერიდან ქართული განძი (39 ყუთი) მეორე მსოფლიო ომის გარდამტეხ ეტაპზე დაკარგული იყო, აღარ იცოდა მისი ადგილ-სამყველი და მისი დაბრუნების იმედი გადაწურული ჰქონდა. კარგად ჩანს

მისივე ანდერძიდან, რომელიც შედგენილია 1943 წლის 26 დეკემბერს სოფელ ლევილში. ჩემი ნაშრომის „სტალინი, დეგოლი და ქართული განძი“ („მწერლის გაზეთი“, თბ. 2015, 3, გვ. 8) გამოქვეყნების მერე ე. თაყაიშვილის ანდერძის სრული ვერსია ინტერნეტდან რატომღაც გაქრა.

ახლა უმჯობესია დაუბრუნდეთ საკითხს, რატომ უთხრა სტალინმა უარი ნოე ჟორდანის საქართველოში დაბრუნებაზე? ნუთუ ემინოდა მისი? არა მგონია, სტალინს ჰიტლერული კოალიციის არ ემინოდა და ჟორდანისა როგორ შეეშინებოდა.

მაშინ, იქნებ იმიტომ უთხრა სტალინმა ნოეს სამშობლოში დაბრუნებაზე უარი, რომ მენშევიკებმა 210 ყუთში მოთავსებული განძეული, ე. წ. სახაზინო ქონება (საინტერესოა რატომ ჰგონიათ მავანსა და მავანს რომ ეს ქონება მენშევიკების იყო და არა ქართული ხალხის სამომავლო პერსპექტივა - ი. პ.) - ოქროსა და ვერცხლის ზოდები და სხვა საბიუჯეტო სიმდიდრეები რაც გადაადნეს, გაყიდეს და ლევილის მამული იყიდეს? არა, გამორიცხულია, არც ამისთვის. სტალინი არამარტო გენერალისიმუსი, არამედ კარგი ეკონომისტიც იყო და კარგად ესმოდა, რომ ქართველი ხალხის ავლა-დიდება რომ არ გაეყიდათ მენშევიკები ფიზიკურად ვერ გადარჩებოდნენ. საბოლოო პასუხი კი ასეთია: სტალინმა ნოე ჟორდანისას არ აპატია წიგნის გამოცემა: „რუსთაველის კრიტიკა“.

პულოცავთ

მეორე საუკუნის ათვლა დაიწყო სიმონ არველაძემ. გამოჩენილ ქართველ ლიტერატურისმცოდნეს, პოეტს და კრიტიკოსს, ნიკო ლეონიძის პრემიის ლაურეატს ბატონ სიმონს შარშან ამ დროს 100 წელი შეუსრულდა. სამწუხაროდ, კორონას მძვინვარების გამო სათანადოდ ვერ აღვნიშნეთ დედაქალაქში სახელოვანი მწერლის იუბილე, მაგრამ თავს იმით ვინუგეშებთ, რომ ქუთაისის საზოგადოებამ ბატონ თეიმურაზ ლანჩავას ხელმძღვანელობით სათანადოდ შეაფასა ჩვენი ლიტერატურისათვის დამაპყრალი ამ მვენიერი მწერლის და საზოგადო მოღვაწის მიერ სახელოვნად განვლილი ცხოვრების გზა.

ვულოცავთ ბატონ სიმონს 101-ე გაზაფხულს და ვუსურვებთ ახალ-ახალ შემოქმედებით წარმატებებს.

მაცვალა გონაშვილი
რევაზ მიშველაძე
სოსო სიგუა
ბალათერ არაბული
თეიმურაზ ჩალაბაშვილი

„შავი შავი ჩიოდა“
ნაიპურტი

„შავი შავი ჩიოდა“
„კორონამ“ ტელევიზორს მიგვაჯაჭვა.
„ცისფერი ეკრანის“ ჭკუაზე რომ იარო, გეგონება, დღეს ამ მშვიდი, ტერიტორიებ-ნაგვრილი, პირქვედამხობილი საქართველოს მთავარი საქმე, ნუ იტყვი, ის ყოფილა ნ, მელიას გამოუშვებენ თუ არა ციხიდან და გ, ბოკერია შევა თუ არა პარლამენტში...
რა დღეში ხარ შენ, ჩემო უბედურო სამ-შობლოვ!
ძლივს ერთადერთხელ, ამ ბოლო დროს, საქართველოს ხელისუფლებამ სცადა დამტკიცებინა, მე ამერიკის ყურმოჭრილი მონა კი არა, დამოუკიდებელი სახელმწიფო ვარო. ეს როგორ გაბედეო, ლამის მთელმა მსოფლიომ გაიგდო ნიხლქვეშ საქართველოს ისედაც შეშინებული ხელისუფლება. შეხედეთ, როგორ გვამადლიან „მეგობრობას“. მე შენ გეტყვი და რუსეთის მიერ წართმეული ტერიტორიები დაგვიბრუნეს, ან „ნატოში“ მიგვიღეს, ან ევროკავშირში. რას ელოდებით, ქართველებო, გადაადეთ ოცნების ხელისუფლებათ, გვიკიუნებენ. „ოცნებაზე“ უარი ვთქვათ და ვის ჩავეხუტოთ: ქართველთმოდულე მიხეილ სააკაშვილს? გიგა ბოკერიას? სალომე სამადაშვილს და გია ბარამიძეს?!

ყველა ტელევიზია საშუალოდ ხუთი წუთის ინტერვალით ასეთ იდიოტურ რეკლამებს გვთავაზობს:
1. „ნაწარმოები შეიცავს თამბაქოს ნაწარმის, თამბაქოს აქსესუარის ან მონყობილობის მოხმარებას...“
2. ჩერდება მანქანა, გადმოდის კაცი სარეცხი საშუალებით ხელში და არც მეტი არც ნაკლები ამბობს: ვაჟ! ხვდება ქალი, რომელსაც იმ სარეცხი საშუალებით უკვე ამოუყვანია კვარტის ლაქები და ახლა ეს ქალი გაჰყვირის: „ვაჟ!“
რას ნიშნავს „ვაჟ“. წერა-კითხვის უცოდინარო ტელესტილისტებო?
3. ეკრანზე ჩანს ყავის მარცვლები და დიქტორი გვმოდვრავს: „ყავაში მთავარი მისი შიგთავსია“. (აბა, რა გეგონა, გულუბრყვილო მსმენელო, თავს რომ იკლავდი, გაგეგო, რა იყო ყავაში „მთავარი“).
4. ეკრანზე, სხვადასხვა მაგიდასთან, ქალ-ვაჟი ყავას მიირთმევს. უცებ წამოხტებიან და ებღღვნებიან ერთმანეთს. თურმე ამ ვნებიანი ჩახუტების მიზეზი ყავა ყოფილა. „ყავა აღვიძებს სურვილებს“ - გვმოდვრავს დიქტორი.
ეს თუ დამტკიცდა, არ გვეშველება?
5. „კატები ხომ ადამიანები არ არიან, მათ თავიანთი საკვები სჭირდებათ!“ ასეთი აღმორჩენი გვანათლებს რეკლამის ავტორი.
ესეც თქვენ, უვიცო ტელემაცურებლებო, ვიუტად რომ მიმტკიცებდით, კატებიც ადამიანები არიანო.

ჩიტი რეკია

დავით ზეიკიძე

სასტიკად ღაპგამოთ!..

როცა მიაღწევთ სრულწლოვანებას, არ დაუჯეროთ ორპირთ და ლაჩრებს, სახიფათოა ასეთი ყოფა, სახიფათოა, ბავშვებად დარჩეთ. მაშინ გინდებთ თავისუფლება გგონიათ გახდით უკვე ზრდასრული სულ არ გადარდებთ, თუ კი თქვენს გამო, ვინმე იქნება ჯვარზე გაკრული. მხოლოდ ღრეობა და დროსტარება, რომანტიკად გაქვთ ყველას აღთქმული, ამ გზითა ცდილობთ, როგორმე გახდეთ, ცნობადი სახე - სახელგანთქმული. თქვენ რომ იცოდეთ, თუ ვინმეს ჰქონდა, ცოდვების გზაზე ფეხი დადგმული. თითქმის სუყველა შემდეგ აღმოჩნდა, მძიმე ცხოვრებით სილაგანწული. ბევრი მათგანის ცხოვრება ვიცი, ვინც ვერ მოძებნა ზნე გზა ნამდვილი. ამიტომ ვცდილობ, რომ დაგანახოთ გზა დამღუპველი, ფარდაახილი. ზოგიერთები არ ეპუებით, თუნდაც რომ გრძნობდეთ წინასწარ საფრთხეს, ძმებში სახელი რომ დაიმკვიდროთ, ცოდვას ჩაიდენთ, არ ჰკითხავთ სახელს. იმას არ ფიქრობთ, რომ არ შეგვრჩებათ, როგორც არ უნდა შენდობთ საქმე. მძიმე ცხოვრება ბოლოს და ბოლოს, აზრზე მოგიყვანთ ცოდვების ჩამდენს. მონანიებას შემდეგ ეცდებით, იცით, შეგინდობთ მაღალი ღმერთი, მაგრამ ძნელია, რომ დაივიწყოთ მშობლის დაღვრილი უზომოდ ცრემლი. ამიტომ გირჩევთ, დროზე გონს მოდით, არ გადალახოთ ზნეობის ზღვარი, თორემ იცოდეთ, აუცილებლად, უბედურების ჩამოჰკრავს ზარი. ნათლიმამები თავადა გმობენ, არ უნდათ, შვილი მათ გზას რომ გაჰყვეს. რამეთუ ესმით, ასეთ ცხოვრებით, აუცილებლად შეიქმნის საფრთხეს. ძნელია, შვილი რომ გაიმეტო, მათ შემფოთებას მეც ვეთანხმები. ძვირფასი არის ყველასთვის შვილი, არავისა ჰყავს გადასაცდები. ნუ დავაყოვნებთ, დროზე მივხედოთ, რომ დავაყენოთ მტკიცე ზნე გზაზე. მიტოვებული რომ არ იქნება, ნაკლები არის შეექმნათ საფრთხე. მხოლოდ ამ გზით არს შესაძლებელი, ცხოვრების გზაზე მყარად რომ დადგნენ. ვინც იცის, იქნებ ბევრი მათგანის, სახელი ქვეყნის ფარგლებსაც გასცდეს. ბედნიერება ამაზე მეტი, სხვა არ არსებობს, მერწმუნეთ, ხალხნო!.. მიტომ გთავაზობთ, ბოროტების გზა, ცეცხლით, მახვილით სასტიკად დავგმობთ.

იარ, გაქალი...

დამეთანხმებით, ძნელია დანერო ადა-მიანზე, რომლის გარდაცვალებიდან ჯერ ორმოცი დღეც არ არის გასული, მაგრამ წარმოუდგენლად მიმანია, თუნდაც სულ პატარა წერილით არ გაიხსენო მერაბ მეტრეველი. ადამიანი, რომელიც იმ გამორჩეულ პიროვნებათა მცირერიცხოვან კატეგორიას მიეკუთვნებოდა, რომლის შინაგანი იტელიგენტურობაც ნათლად მიუთითებდა, თუ როგორი ოჯახიდან მოდიოდა მისი გენეტიკური ფესვები.

მერაბი მოქანდაკე გახლდათ. ის გარკვეულწილად მშობლების, კლასიკოსებად გადაქცეული მხატვრების - მარგარიტა და შოთა მეტრეველების კვალის გამგრძელებელია და დღეს, როდესაც მის სახელოსნოში უკვე მის გარეშე მოხვდები, გრძნობ, როგორ ნელ-ნელა გადადიხარ იმ დიდებულ სამყაროში, სადაც ხელოვანის მიერ ქვაში, მეტალსა, თუ თაბაშირში გაცოცხლებული პერსონაჟები ბუდობენ. იქვეა მერაბის, როგორც მხატვრის ნამუშევრები და ეჭვიც აღარ გეპარება, რომ ის აუცილებლად ყალმისა, თუ საჭრეთელის მსახური უნდა ყოფილიყო.

მიუხედავად ამისა, არაფრით ვიქნები ორიგინალური, თუ დავწერ - მერაბს ვოკალური ხელოვნება რომ ამოერჩია პროფესიად, აღიარებულ ტენორად მოველინებოდა სამშობლოს.

და მაინც... მინდა, პოეტ მერაბ მეტრეველთან დავბრუნდე. იშვიათია ავტორი, რომლის ლექსებშიც ისე მძაფრად სუნთქავს საქართველოს წარსული, აწმყო და მომავალი, როგორც მის პოეზიაში. დანამდვილებით შემძლია ვთქვა, რომ მისი პატრიოტული ლექსების პათოსი გადამდებია მკითხველისა, თუ მსმენელისთვის.

მერაბ მეტრეველის პოეზია მრავალფეროვანია. ის თავისი შემოქმედებით ეხება ყველაფერს, რასაც ადამიანური ურთიერთობები ჰქვია. ცალკე აღსანიშნავია მისი სატრფიალო ლირიკა და ის ლექსები, რომლებიც უკვე მარადისობაში გადასულ მშობლებს და საყვარელ მეუღლეს მიუძღვნა.

გარდაცვალების შემდეგ, სულ რამდენიმე დღეში შეუსრულდა მერაბს სამოცდაცამეტი წელი. თუ როგორ უყვარდა სიცოცხლე და როგორი ოპტიმიზმით იყო განმსჭვალული ბოლო ამოსუნთქვამდე, ამის დასტურად მისი საკუთარი სტრიქონები გამოგვადგება:

„თუმცა ნელ-ნელა გალეულა შვარენის ტყავი, ბნელი ფიქრები შვის ნათელთან მარად ისპობა. მე სანუთროსთან ველარაფრით დავიდე ზავი და ფეხზე მდგომი, თვალს ვუსწორებ მარადისობას. თითქოს იდუმალ ჩამჭიკჭიკებს ჩიტი ნიბლია, გარდა ტრფობისა, ქვეყანაზე ნურც რას მონობდე და თუკი გული სიყვარულით მონახიბლია, იარ, გაძელი და ასეთად დარჩი ბოლომდე“.

სწორედ ასეთად დარჩება მერაბ მეტრეველი თითოეული ჩვენგანის სსოვნაში და თუკი ნეგატიური ფიქრები მოგვეძალება აუცილებლად გაგვამხნევეს მისი სიტყვები: „იარ, გაძელი და ასეთად დარჩი ბოლომდე“.

ნანა ცინცაძე

მწუხარებით ვიუწყავით

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთის“ რედაქცია მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გომი განჩილაძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთის“ რედაქცია მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გომი ქავთარაძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთის“ რედაქცია მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თამარ ნიკლაური

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთის“ რედაქცია მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თამაზ გამყრალიძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთის“ რედაქცია მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მირაზ მატრეველი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთის“ რედაქცია მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გურამ ჭავჭავაძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთის“ რედაქცია მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ჯულიანა ვაშაყმაძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთის“ რედაქცია მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ზაურ მოლაშხია

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთის“ რედაქცია მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნოდარ სიხისიაძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს